

რეკავს, რეკავს სკოლის ზარი

13

საქართველო

ეივანჯილიკა  
საბავშვო



1239

2014



# საქართველოს ილიუსტრაცია

ISSN 1512-0880

№3 (56)-2014

# საქართველოს



# ბიბლიოთეკა

## კვირული — 2014



რედაქციის მისამართი:  
 თბილისი ვაკედიძის ქ.  
 №18, ბ. 16  
 ტელ 223-02-98  
 297-16-83



**ჟურნალის რედაქცია:**  
 ადექსანდრე ღორია  
 - მთავარი რედაქტორი  
 გურამ თაყნიაშვილი  
 - მთავარი რედაქტორის  
 მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი  
 გუდნარა სცურუა  
 - სამეცნიერო-მეთოდური და  
 კორექტორულ-ტექნიკური მუშაობის  
 რედაქტორ-კოორდინატორი

12 სექტემბერი  
 ილია ჭავჭავაძის მკვლელთა დღე  
 საჯარო ღონისძიება

საყოველთაო მკვლელთა  
 „...ღღე როცა ვერ მოკლეს ილია“

ინფორმაციის „ალი“  
 დამფუძნებლები: საქართველოს  
 პარლამენტის ილია ჭავჭავაძის  
 სახელობის ეროვნული  
 ბიბლიოთეკა; საქართველოს  
 საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ





**შინაარსი**

საჯარო ბიბლიოთეკები – კარიბჭე ცოდნის სამყაროში ..... 5

**ოფიციალური განყოფილება**

საქართველოს კანონი დოკუმენტების სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ ..... 7

**წიგნის ისტორია**

ნინო ხვედელიძე – მინიატურული წიგნი ..... 14

**საბიბლიოთეკო მენეჯმენტი**

გიორგი კილაძე – სისტემის რეორგანიზაციის საკითხისათვის ..... 18

მზია ხოსიტაშვილი – კულტურის სფეროს მარკეტინგი ..... 21

**ღირსეული მამულიშვილები**

მაია მიქაბერიძე – დიმიტრი ყიფიანის თხზულებათა ადრინდელი გამოცემები ..... 23

გურამ თაყნიაშვილი – პატრიოტული მოტივები რაფიელ ერისთავის პოეზიაში — რაფიელ ერისთავი – 190 ..... 28

ლილი გორდელაძე – თავდადებული მამულიშვილი ..... 30

ნუნუ ჯუღელიძე – ასეთი მინდა მახსოვდეს — გოდერძი ჩოხელი – 60 ..... 32

**კვირეული – 2014**

შემობრუნება წიგნიერებისაკენ, წერილი 2. .... 34

**ჩვენი სახელმწიფო მოღვაწეები**

გურამ თაყნიაშვილი – სულით სპეტაკი, ამაღლებული და თავმდაბალი..... 36

**სიტყვა პროფესიონალზე**

მზია ტოგონიძე – ცოდნით მოპოვებული სიმაღლე ..... 38

**კორესპონდენციები**

გიორგი სარაჯიშვილი – უნიკალური „კალიგრაფიული ანბანი“ ..... 39

ეკა ლაპიაშვილი, ქეთევან აფაქიძე – სოციოლოგიური კვლევა 42-ე ბიბლიოთეკაში ..... 40

**რეცენზიები**

ელბერდ ბატიაშვილი – ფიქრები ისტორიასა და თანამედროვეობაზე ..... 41

ვარდის ფურცლით გამშრალი სტრიქონები ..... 42

თქვენთვის ვწერ, მუდამ თქვენთან ვარ ..... 44

ღვანლის ამსახველი წიგნი ..... 45

ერთად აკინძული ფრაგმენტები ..... 46

**რევიუ**

დავით გიგინეიშვილი – ვერდის „ბედის ძალა“ ბავარიის ნაციონალურ ოპერაში ..... 46

**ნეკროლოგი**

სიყვარულში დახარჯული ..... 48

## Содержание

Публичные библиотеки – врата в мир знаний .....5

## Официальный раздел

Закон Грузии об обязательном экземпляре документов .....7

## История книги

Нино Хведелидзе – Миниатюрная книга .....14

## Библиотечный менеджмент

გიორგი კილაძე – К вопросу реорганизации системы .....18

Мзиа Хоситашвили – Маркетинг сферы культуры .....21

## Славные соотечественники

Maia Mикаберидзе – Ранние издания сочинений Дмитрия Кипиани .....23

Guрам Такниашвили – Патриотические мотивы в поэзии Рифаэла Эристави Рафаэл Эристави  
– 190 .....28

Лили Горделадзе – Великий сын отечества .....30

Нуну Джугелидзе – Такого хочу помнить \_ Годердзи Чохели – 60 .....32

## Неделя библиотек – 2014

Поворот к книге, Письмо 2 .....34

## Наши славные деятели

Guрам Такниашвили – Гено Джорбенадзе – Душой чист, возвышен и скромн воспоминания к  
столетию .....36

## Слово о профессионалах

Мзиа Тогонидзе – Высота, достигнутая знанием .....38

## Корреспонденции

გიორგი სარაჯიშვილი – Уникальная «Калиграфическая азбука» .....39

Эка Лапишвили, Кетеван Апакидзе – Социологическое исследование в 42-й библиотеке .....40

**Рецензии**

Элберд Батиашвили – Мысли об истории и современности .....	41
Строки, осушенные розовыми лепестками .....	42
Для Вас пишу, всегда с Вами .....	44
Книга, описывающая заслуги .....	45
Воедино сплетенные фрагменты .....	46

**РЕВЬЮ**

Давид Гигинеишвили – «Сила судьбы» Верди в Баварской национальной опере .....	46
---	----

**Некролог**

В любви растрочен .....	48
-------------------------	----

**The Georgian Library N 3 (56)-2014****Content**

Public Libraries-Gate to the World of Knowledge .....	5
---	---

**Official Part**

The Law of Georgia on Law on Legal Deposit of Documents.....	7
--	---

**History of the Book**

Nino Khvedelidze-Miniature Book.....	14
--------------------------------------	----

**Library Management**

Giorgi Kiladze- System Reorganization.....	18
--	----

Mzia Khositashvili-The Marketing of Culture .....	21
---	----

**Decent Patriots**

Maia Mikaberidze-Early Publications by Dimitri Kipiani .....	23
--	----

Guram Takniashvili-Patriotizm in the Poetry by Rafiel Eristavi Rafiel Eristavi.....	28
---	----

Lili Gordeladze-Devoted Countryman .....	30
--	----

Nunu Jugelidze- To the Memory of Goderdzi Chokheli Goderdzi Chokheli-60 .....	32
---	----

**Week 2014**

Back to Literacy, Letter 2 .....	34
----------------------------------	----

## Prominent Figures

Guram Takniashvili-Pure, Sublime and Humble Soul-Geno Jorjadze-100. Remembrance .....36

## About Professional

Mzia Togonidze-Height Gained through Knowledge .....38

## Information

Giorgi Sarajishvili-Unique "Calligraphic Alphabet" .....39

Eka Lapiashvili, Ketevan Afakidze-Sociology Research at N42 Library .....40

## New Arrivals

Elberd Batiashvili-Thoughts about History and Contemporary Life .....41

Lines Dried by Rose Leaves .....42

I Write for You, I Am always with You .....44

Book of Feat .....45

Collected Fragments .....46

## Review

David Gigineishvili-Verdi. "Force of Destiny" in Bavarian National Opera .....46

## Obituary

Dedicated to Love .....48

## საჯარო ბიბლიოთეკა - კარიბჭე სოფლის სამყაროში

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი ვითარდება აღმავალი გზით. ისინი უზრუნველყოფენ ცოდნისა და ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობას მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისათვის. საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის აგების პრინციპები ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის ყველანაირ პირობებს – გეოგრაფიულს, სოციალურ, ეროვნულ შემდაგენლობას და სხვა ნიშნებს, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საჯარო ბიბლიოთეკების ნორმალური ფუნქციონირებისათვის. მკითხველთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული და საბიბლიოთეკო მოთხოვნების გამოვლენა, ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება საფუძვლად უდევს საჯარო ბიბლიოთეკებში დიფერენცირებულ საბიბლიოთეკო მომსახურებას. 21-ე საუკუნეში საჯარო ბიბლიოთეკები მიჩნეულია როგორც ფანჯარა, კარიბჭე ცოდნის სამყაროში. ასეთ ბიბლიოთეკებს უწოდებენ ბიბლიოთეკებს კედლების გარეშე. ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ აქ ორგანიზებული ინფორმაციის წყაროები, საბიბლიოთეკო რესურსების ტრადიციული და თანამედროვე საშუალებები თანაბრად, უფასოდ ხელმისაწვდომია მკითხველთა ყველა სოციალური ჯგუფისათვის. იმ მიზნით, რომ საჯარო ბიბლიოთეკებმა თავისი მიზნები და ამოცანები შეასრულოს, საჭიროა იმთავითვე განისაზღვროს მისი სამოქმედო მიკრორაიონის, დასახლებული პუნქტების მცხოვრებელთა ძირითადი კატეგორიები. ამ ჯგუფების საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მოთხოვნები საფუძვლად უდევს ყველა შიდასაბიბლიოთეკო პროცესს, დაწყებული დაკომპლექტებიდან დამთავრებული ნიგნსაცავში მათი განლაგების პროცესამდე. საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის აგება ემყარება გარკვეულ წესებსა და პრინციპებს. მათგან ძირითადია ტერიტორიული და სანარმოო პრინციპი. ქსელის დისლოკაციის ძირითადი პრინციპია – არც ერთი დასახლებული პუნქტი არ დარჩეს საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე. მომსახურების ფორმებში იგულისხმება როგორც სტაციონარული, ასევე მოძრავი საშუალებები. საჯარო ბიბლიოთეკამ დაფუძნებისთანავე უნდა შექმნას მიზანმიმართული მოქმედების კონკრეტული გეგმა. გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსახლეობის ძირითადი სოციალური ჯგუფების საინფორმაციო და საბიბლიოთეკო მოთხოვნები. საბიბლიოთეკო რესურსების ძირითადი ბირთვის ფორმირების შემდეგ ბიბლიოთეკა ზრუნავს მომსახურების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის საკითხებზე. ეს მიმართულება გულისხმობს მკითხველბთან მუშაობის ტრადიციული და

თანამედროვე ფორმების დახვეწას. ამ პროცესში მკითხველთა ინტერესის გათვალისწინება აუცილებელია, რათა თავიდან ავიცილოთ ფორმალიზმი და შაბლონი ადამიანებთან ურთიერთობაში. მხოლოდ ასეთი მიდგომითაა შესაძლებელი ახალი, ეფექტური სიმაღლეების მიღწევა მკითხველებთან მუშაობის სფეროში. თანამედროვე ეტაპზე ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პირობებში ბიბლიოთეკა უფრო მობილურსა და ოპერატიულ ფორმებს აძლევს მკითხველთან მუშაობის პროცესს. საჯარო ბიბლიოთეკის მენეჯერს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ნებისმიერი ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსები მაინც ხასიათდება გარკვეული ხარვეზებით. ყველაზე მდიდარი ქვეყნების დიდი ფონდების მფლობელ ბიბლიოთეკები მაინც შორს არიან სრულყოფილი დაკომპლექტებისაგან. ეს შეუძლებელიცაა. საჯარო ბიბლიოთეკას გააჩნია საკუთარი სპეციფიკა, ამოცანები. მისთვის მთავარია საგანმანათლებლო და საინფორმაციო ამოცანების მაღალ დონეზე შესრულება. ეს ფუნქცია გააჩნია ნიგნსაც. მომსახურების სრულყოფილად წარმართვა ბევრ შემთხვევაში წარმოდგენილია მხოლოდ საკუთარი რესურსებით. ამიტომ თანამედროვე ეტაპზე აქცენტირებულია საბიბლიოთეკო დოკუმენტების ურთიერთგამოყენების პრინციპი. ელექტრონული ქსელების განვითარება თავისთავად ქმნის ფონდების ურთიერთგამოყენების შესაძლებლობებს.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ცალკეა შემუშავებული საჯარო ბიბლიოთეკების კანონმდებლობა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ბიბლიოთეკების მოქმედების პრინციპებს. საქართველოში არა გვაქვს ცალკე შემუშავებული საჯარო ბიბლიოთეკების იურიდიული საფუძვლები. ჩვენს პრაქტიკაში მთავარია ადგილობრივმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურება ამჟამად მოქმედი კანონის (1996) შესაბამისად.

საჯარო ბიბლიოთეკები არ განიცდიან რაიმე სახის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, რელიგიურ და სხვა სახის ზენოლას. თითოეული ბიბლიოთეკა თავისუფლად ირჩევს მომსახურების იმ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც ნაცადია წლების განმავლობაში და გამოირჩევა გარკვეული ეფექტურობით. საბიბლიოთეკო პრაქტიკაში დანერგილი ახალი ფორმები და საშუალებები მომდინარეობს თვითონ ბიბლიოთეკარებისაგან. მკითხველებთან მუშაობა შემოქმედებითი პროცესია. ამ პროცესებში წარმატებას აღწევს ის ბიბლიოთეკები, რომლებსაც ახლო ურთიერთობა აქვთ მკითხველ საზოგადოებასთან, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან.



საჯარო ბიბლიოთეკების მუშაობის გარდაქმნა, მათი განვითარება ბევრნილად დამოკიდებულია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე. საქართველოში საჯარო ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი წარმატებით ფუნქციონირებს სწორედ მუნიციპალიტეტის აქტიური ხელშეწყობით. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, კახეთის ზოგიერთი მუნიციპალიტეტი, სადაც ძირითადად შენარჩუნებულია საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი, ადგილობრივი ხელისუფლება შეძლებისდაგვარად ზრუნავს მათ განვითარებაზე, ცენტრალური ბიბლიოთეკებისათვის იძენენ კომპიუტერულ ტექნიკას, ახლადგამოცემულ საბიბლიოთეკო დოკუმენტებს. თავის მხრივ ბიბლიოთეკები გამოირჩევიან აქტიური მუშაობით, ატარებენ ღონისძიებებს, ინდივიდუალურად მუშაობენ განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობასთან, სრულყოფილ ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატს და ქმნიან ელექტრონულ რესურსებს.

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებისათვის თანამედროვე ეტაპზე დამახასიათებელია არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები:

- ქსელის ორგანიზების თვალსაზრისით თვალში საცემია მათი მკვეთრი შემცირება; საქართველოს ბევრი სოფელი დარჩენილია საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე. ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს დაახლოებით 650 სასოფლო ბიბლიოთეკა;

- დაბალია საბიბლიოთეკო ფონდების განახლების მაჩვენებელი. მუნიციპალიტეტების ერთი ნაწილი არ გამოყოფს თუნდაც მინიმალური რაოდენობის თანხას წიგნების შესაძენად. ასეთ ბიბლიოთეკებში ახალ წიგნებს იძენენ მხოლოდ კულტურის სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხებით, რომლის რაოდენობა ყოველწლიურად შეადგენს 700 ლარს.

- საჯარო ბიბლიოთეკებში წელი ტემპით ინერგება საბიბლიოთეკო ტექნოლოგიები. ცენტრალური ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი ვერ იძენს საბიბლიოთეკო პროგრამებს. ეს ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს ბიბლიოთეკის მომსახურების ხარისხზე;

- დაბალია ბიბლიოთეკებში მომუშავე პერსონალის პროფესიული დონე. ბიბლიოთეკართა ერთი ნაწილი არ იცნობს სიახლეებს; მკითხველებთან მუშაობაში არ იყენებს ახალ ფორმებსა და მეთოდებს, ნაკლებად თანამშრომლობს ადგილობრივ განმანათლებლო დაწესებულებებთან;

- მოძველებულია საჯარო ბიბლიოთეკებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წინა წლებში შეძენილი კომპიუტერების დიდი ნაწილი გამოსულია მწყობრიდან. დახურული ბიბლიოთეკების დიდი ნაწილის აღდგენა შეუძლებელია შენობის ავარიული მდგომარეობის გამო;

- სრულყოფას საჭიროებს საჯარო ბიბლიოთეკების იურიდიული საფუძვლები. არ არის

შემუშავებული ნორმატიულ-ინსტრუქციული ხასიათის დოკუმენტაცია; ბევრ ქვეყანაში ცალკეა მიღებული კანონი საჯარო ბიბლიოთეკების შესახებ; შემუშავებული და დანერგულია სახელმწიფო სტანდარტები საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის მოწყობის შესახებ; აქ მითითებული ნაკლოვანებები იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში არ არის შემუშავებული დახვეწილი, დასაბუთებული საბიბლიოთეკო პოლიტიკა;


საჯარო ბიბლიოთეკები, როგორც ცოდნის სამყაროს ადგილობრივი კარიბჭე, გარკვეული დონით უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებისა, განათლების და ინტელექტუალური ზრდის ამოცანებს; ამავე დროს ეს ბიბლიოთეკები გარკვეულწილად ხელს უწყობენ ცოდნის განახლებასა და მეცნიერების განვითარებას, კულტურათაშორის დიალოგს, ბიბლიოთეკებში ორგანიზებული საბიბლიოთეკო რესურსები ასახავენ საზოგადოების განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. საქართველოს საბიბლიოთეკო პრაქტიკის შესწავლა ადასტურებს, რომ ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი აქტიურად უწყობს ხელს პიროვნების შემოქმედებითად განვითარებას. ბიბლიოთეკებში ორგანიზებული მასობრივი და სხვა სახის ღონისძიებები ხასიათდებიან მკითხველთა აქტიურობით, თემატიკა და სცენარი ასეთი ღონისძიებებისა ნაკარნახევია მკითხველთა მიერ. ბიბლიოთეკა ხელს უწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას. ასეთი ცოცხალი ურთიერთობა ზრდის ბიბლიოთეკის ავტორიტეტს, აფართოებს მომსახურების საზღვრებს; საჯარო ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი თანამშრომლობს საჯარო სკოლებთან. ბიბლიოთეკარები დიფერენცირებულად სწავლობენ მოსწავლე-ახალგაზრდობის კითხვაში ჩაბმის მდგომარეობას; ეწყობა ერთობლივი ღონისძიებები, სადაც მონაწილეობენ პედაგოგები, ახალი წიგნების ავტორები, მშობლები; ამ მხრივ სანიმუშოდ შეიძლება მივიჩნიოთ თბილისის მთავარი, საქალაქო საბავშვო, ახალგაზრდობის, მე-12, 61-ე, 42-ე, 38-ე, 53-ე, მე-4 და სხვ. საქალაქო ბიბლიოთეკები. მუნიციპალიტეტების საჯარო ბიბლიოთეკებიდან ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ: წყალტუბოს, ქუთაისის სამეცნიერო, სენაკის, აბაშის, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, თელავის, რუსთავის, მცხეთის, ონის, ამბროლაურის, ბათუმის და სხვ. მუნიციპალიტეტების მთავარი ბიბლიოთეკები.

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკები სქსელის აგებისა და განფენილობის კუთხით მკვეთრად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებსა და იუნესკოს რეკომენდაციების მოთხოვნებს. საჭიროა ცალკე შემუშავდეს საჯარო ბიბლიოთეკების სტანდარტი, სადაც ქსელის ორგანიზების კუთხით გათვალისწინებულ იქნება ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, დასახლებული ადგ-



ილების დაშორება და მოსახლეობის რაოდენობა. ამ მხრივ საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის პარამეტრები მკვეთრად იქნება განსხვავებული მიღებული და აღიარებული რეკომენდაციებისაგან. ბიბლიოთეკის შიდა პროცესების წარმართვისათვის შემუშავებულ უნდა იქნეს პროფესიული სტანდარტები. ამ პროცესებს ამჟამად არეგულირებს დებულებები, ინსტრუქციები და სხვა სახის მარეგლამენტირებული დოკუმენტები.

საჯარო ბიბლიოთეკების მუშაობაში ერთ-ერთი მიმართულებათაგანია ბავშთა საბიბლიოთეკო მომსახურება. საქართველოში ნაკლებად დაგვრჩა დამოუკიდებელი საბავშვო ბიბლიოთეკები. ამ კატეგორიის მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურებას უზრუნველყოფენ საბავშვო განყოფილებები, საჯარო სკოლების ბიბლიოთეკები. საჯარო ბიბლიოთეკები ქმედით დახმარებას უწევენ სტუდენტებს უწყვეტი სწავლების მიღებაში, ადგილობრივი მომსახურების გარდა ამ პროცესში წარმატებით იყენებენ დისტანციური სწავლების მეთოდებს. საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების განვითარებამ თითოეულ მკითხველს მისცა ინფორმაციის დიდი რაოდენობით მიღების საშუალება. ბოლო ოცი წლის



მანძილზე ძირეულად შეიცვალა ინფორმაციის მოპოვების, მიღების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები, ისევე, როგორც მასზე ხელმისაწვდომობის საშუალებები.

საჯარო ბიბლიოთეკების მუშაობის ძირითად პრინციპად უნდა იქცეს აქსიომა: – მკითხველს წიგნი უნდა გადაეცეს მაშინ, როდესაც ესაჭიროება, იქ, სადაც მას ესაჭიროება და ის, რომელიც მას ესაჭიროება.

## ოფიციალური განყოფილება

### საქართველოს კანონი

## დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკას დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის ფორმირების სფეროში და საქართველოს სხვა კანონებთან ერთად საქართველოს ეროვნული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდის დაკომპლექტების საფუძველია; უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბიბლიოგრაფიის წარმოებასა და განვითარებას, საქართველოს მატერიალური დოკუმენტური მემკვიდრეობის დაცვას, შენახვასა და საყოველთაო ხელმისაწვდომობას; ადგენს დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის სახეობებს, დოკუმენტის მწარმოებლისა და დოკუმენტის მიმღების კატეგორიებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოს ეროვნული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდის ფორმირების წესს და პასუხისმგებლობას განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის.

### თავი I

#### ზოგადი დებულებანი

##### მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის მწარმოებელზე, დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის ეროვნულ და ადგილობრივ მიმღებებზე, აგრეთვე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც მონაწილეობენ დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის მიღებაში, გავრცელებაში, წარმოებაში, გადაცემასა და დაცვაში.

##### მუხლი 2. საქართველოს კანონმდებლობა დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ

დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ამ კანონისაგან და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

### მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ეროვნული ბიბლიოგრაფია – ბიბლიოგრაფია, რომელიც აღწერს, არეგისტრირებს და აღრიცხავს შესაბამისი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოცემულ ყველა სახეობის დოკუმენტს, აგრეთვე ამ ქვეყნის შესახებ უცხოურ პუბლიკაციებს და ქვეყნის ფარგლების გარეთ გამოცემულ თანამემამულეთა ნაშრომებს;

ბ) დოკუმენტი – მატერიალური ობიექტი მასზე მოცემული ნებისმიერი ფორმის ინფორმაციით, რომელიც წარმოდგენილია ტექსტის, ხმოვანი ჩანაწერის, გამოსახულების ან მათი კომბინაციის სახით, რომლის რეკვიზიტებით ხორციელდება მისი იდენტიფიცირება და რომელიც განკუთვნილია დროსა და სივრცეში საზოგადოებრივი გამოყენების მიზნით გადასაცემად და შესანახად;

გ) ელექტრონული დოკუმენტი – დოკუმენტი, რომლის დაცვა, გადაცემა, ნახვა, ნაკითხვა ან მოსმენა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის ელექტრონულ (მაგნიტურ, ოპტიკურ და სხვ.) მატარებელზე, ელექტრონული საშუალების გამოყენებით. ელექტრონული დოკუმენტი შეიძლება იყოს 2 სახის: ავტონომიური და ქსელური;

დ) ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტი – დოკუმენტი, რომელიც გამოცემულია ინფორმაციის ელექტრონულ (მაგნიტურ, ოპტიკურ და სხვ.) მატარებელზე (ჩ, V და სხვ.) და რომლით სარგებლობა შესაძლებელია ავტონომიურად, ელექტრონული საშუალების გამოყენებით;

ე) ქსელური ელექტრონული დოკუმენტი – დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნებულია ინტერნეტში, იმის მიუხედავად, შეზღუდულია თუ არა მისი ხელმისაწვდომობა, და რომელიც შესაძლებელია შეიცავდეს მთლიან ვებგვერდს ან მის ნაწილს ან ელექტრონული დოკუმენტის გავრცელების ნებისმიერი ფორმატის (თ, და სხვ.) ფაილს;

ვ) ეგზემპლარი – ტირაჟირებული დოკუმენტის ნიმუში, რომელიც ორიგინალის იდენტურია;

ზ) დოკუმენტის მწარმოებელი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის მომზადებასა და პუბლიკაციას (გამოშვებას). დოკუმენტების მწარმოებლები არიან გამომცემლები, საგამომცემლო-პოლიგრაფიული და პოლიგრაფიული საწარმოები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა რედაქციები, მუსიკალურ გამოცემათა მწარმოებელი ორგანიზაციები, ტელე- და რადიოკომიტეტები, კინოსტუდიები, ვიდეო- და კინემატოგრაფიული საწარმოები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სახელმწიფო სტრუქტურები, უმაღლესი სასწავლებლები, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები, აგრეთვე კერძო პირები, რომლებიც ამზადებენ და გამოსცემენ სხვადასხვა სახეობის დოკუმენტებს;

თ) დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარი (შემდგომ – სავალდებულო ეგზემპლარი) – სხვადასხვა სახეობის, არანაკლებ 100 ერთეულის ოდენობით ტირაჟირებული დოკუმენტის ნიმუში, რომელიც დოკუმენტის მწარმოებელმა შესაბამის ბიბლიოთეკას ამ კანონით დადგენილი წესითა და რაოდენობით უსასყიდლოდ უნდა გადასცეს;

ი) ეროვნული სავალდებულო ეგზემპლარი – სხვადასხვა სახეობის დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელიც დამზადებულია საქართველოს ტერიტორიაზე ან მისი ფარგლების გარეთ, საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციების ან პირების შეკვეთით, აგრეთვე დოკუმენტი, რომელიც იმპორტირებულია საქართველოში საზოგადოებრივი გავრცელებისათვის და რომელიც შესაბამის ორგანიზაციებს ამ კანონით დადგენილი წესით უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს. ეროვნული სავალდებულო ეგზემპლარებით კომპლექტდება დოკუმენტების ეროვნული მიმღებები;

კ) ავტონომიური სავალდებულო ეგზემპლარი – სხვადასხვა სახეობის დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელიც დამზადებულია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე ან მათი ფარგლების გარეთ, ამ ავტონომიურ რესპუბლიკებში რეგისტრირებული ორგანიზაციების ან პირების შეკვეთით და რომელიც შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ბიბლიოთეკას ამ კანონით დადგენილი წესით უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს;

ლ) ადგილობრივი სავალდებულო ეგზემპლარი – სხვადასხვა სახეობის დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელიც დამზადებულია საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე ან მისი ფარგლების გარეთ, ამ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში რეგისტრირებული ორგანიზაციების ან პირების შეკვეთით და რომელიც დოკუმენტის მწარმოებელმა აღნიშნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შესაბამის ბიბლიოთეკებს ამ კანონით დადგენილი წესით უსასყიდლოდ უნდა გადასცეს;

მ) დოკუმენტის მიმღები – ამ კანონით განსაზღვრული ეროვნული ბიბლიოგრაფიის მწარმოებელი;

ნ) სავალდებულო ეგზემპლარის სისტემა – სავალდებულო ეგზემპლარების სახეობების ერთობლიობა, აგრეთვე მათი შეგროვების, დანაწილებისა და გამოყენების დადგენილი წესი;

ო) საქართველოს ეროვნული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი – ყველა სახეობის დოკუმენტების ფონდი, რომელიც დაკომპლექტებულია ეროვნული სავალდებულო ეგზემპლარებით, დანაწილებულია ამ კანონის შესაბამისად და განკუთვნილია მუდმივი შენახვისა და საზოგადოებრივი გამოყენებისათვის. ეს ფონდი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია;

პ) ადგილობრივი საბიბლიოთეკო ფონდი – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ან საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე ორგანიზებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდი, რომელსაც ქმნის დოკუმენტის ადგილობრივი მწარმოებელი ამ კანონით განსაზღვრული დოკუმენტების ადგილობრივი მიმღებებისათვის გადაცემის, დაცვისა და საყოველთაო ხელმისაწვდომობისათვის. ადგილობრივი საბიბლიოთეკო ფონდი კომპლექტდება ავტონომიური და ადგილობრივი სავალდებულო ეგზემპლარებით.

**მუხლი 4. სავალდებულო ეგზემპლარის სისტემის შექმნის მიზანი**

სავალდებულო ეგზემპლარის სისტემის შექმნის მიზანია:

- ა) საქართველოს ეროვნული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდის, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილის, დაკომპლექტების სრულყოფა;
- ბ) ამ კანონით განსაზღვრულ სავალდებულო ეგზემპლარის ეროვნულ, ავტონომიურ და ადგილობრივ მიმღებებში სავალდებულო ეგზემპლარების მუდმივი დაცვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- გ) მისი მომხმარებელთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული და საბიბლიოთეკო მომსახურების მიზნით გამოყენება;
- დ) დოკუმენტების სახელმწიფო რეგისტრაცია (ბიბლიოგრაფიული და სტატისტიკური), სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული აღრიცხვა, სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული და სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება;
- ე) მიმდინარე და რეტროსპექტიული სახელმწიფო სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისა და სტატისტიკური ცნობარების გამოცემის უზრუნველყოფა;
- ვ) სასიგნალო და რეფერატული ინფორმაციის გაერთიანებული კატალოგების მომზადება და გამოცემა მიღებული დოკუმენტების სახეობათა შესაბამისად;
- ზ) საზოგადოების ინფორმირება ყველა სახეობის სავალდებულო ეგზემპლარების მიღების შესახებ;
- თ) ცენტრალიზებული კატალოგის წარმოება მიღებული დოკუმენტების სახეობათა შესაბამისად;
- ი) მიღებული დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათ შორის, საინფორმაციო-ტელე-საკომუნიკაციო ქსელების საშუალებით.

**მუხლი 5. დოკუმენტების სახეობები, რომლებიც სავალდებულო ეგზემპლარებს განეკუთვნება**

სავალდებულო ეგზემპლარებს განეკუთვნება დოკუმენტების შემდეგი სახეობები:

- ა) ბეჭდური დოკუმენტები (ტექსტური – წიგნები, ბროშურები, ჟურნალები, გაზეთები, სანოტო გამოცემები, გეოგრაფიული რუკები, ატლასები და სხვ.; გაგრძელებადი გამოცემები – შრომები, ალმანახები, წელიწადეულები; ფურცლოვანი გამოცემები – აფიშები, ბუკლეტები, პროგრამები და სხვ.; სახვითი გამოცემები – პლაკატები, ესტამპები, რეპროდუქციების კომპლექტები, კალენდრები, ეტიკეტები, საფოსტო ბარათები, ფილატელიური კატალოგები და სხვ.), რომლებმაც გაიარა სარედაქციო-საგამომცემლო დამუშავება, პოლიგრაფიულად დამოუკიდებლად და გაფორმებული და ახლავს სარედაქციო გამოსასვლელი ცნობები;
- ბ) უსინათლოთათვის და სუსტი მხედველობის მქონეთათვის განკუთვნილი გამოცემები – გამოცემები, დამზადებული რელიეფურ-წერტილოვანი შრიფტით, ბრაილის სისტემის მიხედვით, რელიეფურ-გრავიკული გამოცემები, ხმოვანი წიგნები, მსხვილშრიფტიანი გამოცემები სუსტი მხედველობის მქონეთათვის, ელექტრონული გამოცემები უსინათლოთათვის (ადაპტირებული გამოცემები ბრაილის დისკლისა და მეტყველების სინთეზატორის გამოყენებით);
- გ) აუდიოვიზუალური ნაწარმოებები – კინო-, ვიდეო-, ფონო-, ფოტოპროდუქცია და მათი კომბინაციები, შექმნილი და რეპროდუცირებული ინფორმაციის ნებისმიერ მატარებელზე;
- დ) ელექტრონული დოკუმენტები – დოკუმენტები, რომლებშიც ინფორმაცია მოცემულია ელექტრონულ-ციფრული ფორმით და რომლებმაც გაიარა სარედაქციო-საგამომცემლო დამუშავება, ახლავს გამოსასვლელი ცნობები და რომელთა ტირაჟირება და გავრცელება ხორციელდება ელექტრონული საშუალებებით;
- ე) გამოუცემელი დოკუმენტები – დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ნაშრომებს (დისერტაციები, ავტორეფერატები, დეპონირებული სამეცნიერო შრომები);
- ვ) კომბინირებული დოკუმენტები – მულტიმედია – დოკუმენტების ერთობლიობა, შესრულებული ინფორმაციის სხვადასხვა მატარებელზე (ბეჭდური, აუდიოვიზუალური, ელექტრონული);
- ზ) საფოსტო მარკები.

**მუხლი 6. დოკუმენტების სახეობები, რომლებიც სავალდებულო ეგზემპლარებს არ განეკუთვნება**

სავალდებულო ეგზემპლარებს არ განეკუთვნება დოკუმენტების შემდეგი სახეობები:

- ა) შესავსები ფორმები და ბლანკები, კონვერტები და საფოსტო გზავნილების მასალები, მოსაწვევები, მენიუები, ბილეთები, დოკუმენტების ნაწილები, თამაშები;
- ბ) სახელმწიფო და პირადი საიდუმლოებების შემცველი, აგრეთვე საწარმოო დოკუმენტები;
- გ) საპატენტო დოკუმენტები – პატენტების აღწერილობები და განაცხადები სამრეწველო საკუთრების შესახებ;
- დ) პროგრამები ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებისათვის და მონაცემთა ბაზები ინფორმაციის მატერიალურ მატარებელზე;
- ე) ლარის ბანკნოტები და მონეტები და მათ დამზადებასთან დაკავშირებული ბეჭდური და ელექტრონული დოკუმენტები.

**თავი II**

**დოკუმენტის მწარმოებლის უფლებები და მოვალეობები**

**მუხლი 7. სავალდებულო ეგზემპლარის მომზადების, პუბლიკაციისა (გამოშვებისა) და დანაწილების (გადაცემის, მიწოდების) ხარჯები**

1. დოკუმენტის მწარმოებელი ვალდებულია სავალდებულო ეგზემპლარი უსასყიდლოდ გადასცეს დოკუმენტის მიმღებს. დოკუმენტის მწარმოებელი სავალდებულო ეგზემპლარის მომზადების, პუბლიკაციისა (გამოშვებისა) და დანაწილების (გადაცემის, მიწოდების) ხარჯებს ასახავს წარმოებული საგამომცემლო პროდუქციის თვითღირებულებაში, რომელსაც სავალდებულო ეგზემპლარი მოიცავს.
2. დეფექტიან სავალდებულო ეგზემპლარს დოკუმენტის მიმღების მოთხოვნით დოკუმენტის მწარმოებელი 1 თვის ვადაში ჩაანაცვლებს.

**მუხლი 8. სავალდებულო ეგზემპლარის ეროვნული და ადგილობრივი საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდების შექმნის მიზანი**

საქართველოს ტერიტორიაზე გამოცემული ყველა სახეობის დოკუმენტის დაცვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად იქმნება სავალდებულო ეგზემპლარის ეროვნული და ადგილობრივი საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდები.

**მუხლი 9. ბეჭდური დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემა**

1. დოკუმენტის მწარმოებელი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცემს ყველა სახეობის ბეჭდური დოკუმენტის 2 ეგზემპლარს ტირაჟის პირველი პარტიის გამოსვლის დღიდან 2 კვირის ვადაში, აგრეთვე მისი ელექტრონული ვერსიის 1 ეგზემპლარს.
2. დოკუმენტის მწარმოებელი პოლიგრაფიული საწარმოს საშუალებით გადასცემს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ ბიბლიოთეკებს ყველა სახეობის ბეჭდური დოკუმენტის 1 ეგზემპლარს ტირაჟის პირველი პარტიის გამოსვლის დღიდან 2 კვირის ვადაში, აგრეთვე მისი ელექტრონული ვერსიის 1 ეგზემპლარს.
3. დოკუმენტის მწარმოებელი პოლიგრაფიული საწარმოს საშუალებით გადასცემს შესაბამის დოკუმენტის ადგილობრივ მიმღებს ყველა სახეობის ბეჭდური დოკუმენტის 1 ეგზემპლარს ტირაჟის პირველი პარტიის გამოსვლის დღიდან 2 კვირის ვადაში, აგრეთვე მისი ელექტრონული ვერსიის 1 ეგზემპლარს ამ კანონის მე-18 მუხლში ჩამოთვლილ სავალდებულო ეგზემპლარების მიმღებთა მიხედვით.

**მუხლი 10. გამოუცემელი დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემა**

დისერტაციებს, ავტორეფერატებსა და დეპონირებულ სამეცნიერო შრომებს სავალდებულო ეგზემპლარის უფლებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცემენ საქართველოს შესაბამისი სამეცნიერო საბჭოები. ამასთანავე:

- ა) დისერტაცია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცემა 1 ეგზემპლარის ოდენობით და ელექტრონული ვერსიის სახით, სამეცნიერო ხარისხის მინიჭებიდან 30 დღის განმავლობაში;
- ბ) ავტორეფერატი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცემა 2 ეგზემპლარის ოდენობით და ელექტრონული ვერსიის სახით, სამეცნიერო ხარისხის მინიჭებიდან 30 დღის განმავლობაში;
- გ) დეპონირებული სამეცნიერო შრომა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცემა შესაბამისი სამეცნიერო საბჭოს მიერ დეპონირებულ ნაშრომად აღიარებიდან 30 დღის განმავლობაში.

## მუხლი 11. უსინათლოთათვის განკუთვნილი სავალდებულო ეგზემპლარების გადაცემა

ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი დოკუმენტი და ხმოვანი წიგნი გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას თითო ეგზემპლარის ოდენობით, ტირაჟის პირველი პარტიის გამოსვლის დღიდან 2 კვირის ვადაში.

## მუხლი 12. აუდიოვიზუალური ნაწარმოების სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემა

აუდიოვიზუალური ნაწარმოები გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და საქართველოს ეროვნულ არქივს ორ-ორი ეგზემპლარის ოდენობით. ამასთანავე, აუდიონაწარმოები მათ გადაეცემა გამოსვლის დღეს, ფილმი და ვიდეოდოკუმენტი კი – კოპირებისთანავე.

## მუხლი 13. სათამაშო, მულტიპლიკაციური, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სავალდებულო ეგზემპლარების გადაცემა

სათამაშო, მულტიპლიკაციური, დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმები ასლების (პოზიტივების) სახით გადაეცემა საქართველოს ეროვნულ არქივს თითო ეგზემპლარის ოდენობით, მათი დამონტაჟებიდან და დუბლირებიდან 1 თვის ვადაში.

## მუხლი 14. ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემა

1. ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტი გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას 2 ეგზემპლარის ოდენობით, თუ გამოცემულია მისი არანაკლებ 20 ეგზემპლარი.

2. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება ავტონომიურ ელექტრონულ დოკუმენტზე, რომლის ელექტრონული საშუალების გარეშე გამოყენება შეუძლებელია, გარდა კომპიუტერული პროგრამისა და კომპიუტერული თამაშისა.

3. დოკუმენტის მწარმოებელმა ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარი დოკუმენტის მიმღებს უნდა გადასცეს ისეთი სახით, როგორც ის საზოგადოებრივი გამოყენებისათვის ვრცელდება.

## მუხლი 15. საქართველოს მოქალაქის მიერ უცხოეთში გამოცემული დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემის წესი

1. საქართველოს მოქალაქის მიერ უცხოეთში გამოცემული და დოკუმენტის მწარმოებლის მიერ გამავრცელებლის საშუალებით საქართველოში შემოტანილი დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემის ვალდებულება ვრცელდება ყველა სახეობის დოკუმენტზე, რომლის არანაკლებ 100 ეგზემპლარია შემოტანილი.

2. უცხოეთში გამოცემული და საქართველოში შემოტანილი დოკუმენტი გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას 2 ეგზემპლარის ოდენობით, საქართველოში შემოტანის დღიდან 2 კვირის ვადაში.

## მუხლი 16. დოკუმენტის მწარმოებლის უფლებები

დოკუმენტის მწარმოებელს უფლება აქვს, მოსთხოვოს დოკუმენტის მიმღებს:

ა) გადაცემული სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ ინფორმაცია უფასოდ, გადაცემიდან 1 თვის ვადაში გამოაქვეყნოს სახელმწიფო ბიბლიოგრაფიულ, სასიგნალო და რეფერატულ გამოცემებში;

ბ) სავალდებულო ეგზემპლარის შესახებ ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია შეიტანოს ელექტრონულ კატალოგებსა და მონაცემთა ბაზებში;

გ) მიიღოს გადაცემული დოკუმენტის ასლი, აგრეთვე სტატისტიკური და ფაქტოგრაფიული ცნობები მის მიერ გამოცემული პროდუქციის შესახებ;

დ) ასახოს სავალდებულო ეგზემპლარის გადაცემის ხარჯები შესაბამისი დოკუმენტის მთლიანი ტირაჟის თვითღირებულებაში.

## თავი III

## სავალდებულო ეგზემპლარის მიმღები, მისი უფლებები და მოვალეობები

**მუხლი 17. საქართველოს ეროვნული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდების მფლობელები**

საქართველოს ეროვნული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდები იქმნება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (შემდგომ – ეროვნული ბიბლიოთეკა) და საქართველოს ეროვნულ არქივში.

**მუხლი 18. ავტონომიური და ადგილობრივი სავალდებულო ეგზემპლარების გადაცემა**

დოკუმენტების მწარმოებლები შესაბამისად ავტონომიურ და ადგილობრივ სავალდებულო ეგზემპლარებს გადასცემენ შემდეგ ბიბლიოთეკებს:

- ა) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა – პაპასკირის სახელობის აფხაზეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას;
- ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა – ა.წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას;
- გ) ქალაქ ქუთაისის, ჭიათურის, ტყიბულის, წყალტუბოს, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ხარაგაულისა და ხონის მუნიციპალიტეტები – ქუთაისის სამეცნიერო-უნივერსალურ ბიბლიოთეკას;
- დ) ქალაქ ფოთის, ქალაქ ზუგდიდის, ზუგდიდის, აბაშის, სენაკის, მარტვილის, მესტიის, ჩხორონწყუს, წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტები – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკას;
- ე) ქალაქ ოზურგეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკას;
- ვ) ქალაქ ამბროლაურის, ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტები – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკას;
- ზ) ქალაქ თელავის, თელავის, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტები – თელავის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკას;
- თ) ქალაქ ახალციხის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები – ახალციხის საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრალურ ბიბლიოთეკას;
- ი) ქალაქ გორის, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტები – გორის საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარ ბიბლიოთეკას;
- კ) ქალაქ რუსთავის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტები – რუსთავის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკას;
- ლ) ქალაქ მცხეთის, მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები – მცხეთის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკას;
- მ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი – საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

**მუხლი 19. სავალდებულო ეგზემპლარის მიმღების უფლებები**

სავალდებულო ეგზემპლარის მიმღებ ბიბლიოთეკას უფლება აქვს:

- ა) მოითხოვოს არასრულყოფილი სავალდებულო ეგზემპლარის უფრო სრულყოფილი ეგზემპლარით შეცვლა;
- ბ) მოითხოვოს ის ეგზემპლარი, რომელიც მას არ გადასცა მწარმოებელმა ორგანიზაციამ.

**მუხლი 20. სავალდებულო ეგზემპლარის მიმღების მოვალეობები**

სავალდებულო ეგზემპლარის მიმღები დანესებულება და ორგანიზაცია თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებული არიან:

- ა) აწარმოონ სავალდებულო ეგზემპლარის ბიბლიოგრაფიული და სტატისტიკური რეგისტრაცია;
- ბ) გამოსცენ მიმდინარე სარეგისტრაციო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები ამ კანონით დადგენილი დოკუმენტების სახეობების მიხედვით;
- გ) გააკონტროლონ სავალდებულო ეგზემპლარის მიღება და დაცვა მოქმედი სტანდარტების შესაბამისად;
- დ) უზრუნველყონ სავალდებულო ეგზემპლარის საყოველთაო ხელმისაწვდომობა მის შესახებ ინფორმაციის გავრცელებით;
- ე) მიღებული სავალდებულო ეგზემპლარების ბაზაზე შექმნან მონაცემთა ინტეგრალური ბიბლიოგრაფიული ბაზები და ამ მიმართულებით კოორდინირებულად იმუშაონ საქართველოს სხვა ბიბლიოთეკებთან;
- ვ) დაიცვან ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარი მომავალი თაობისთვის.

ბებისათვის გამოსაყენებელ მდგომარეობაში; უზრუნველყონ ფასიანი ავტონომიური ელექტრონული დოკუმენტის სავალდებულო ეგზემპლარის ხელმისაწვდომობა თავიანთ სამკითხველო დარბაზებში დოკუმენტის ეროვნული მიმღების რეგისტრირებული მკითხველებისთვის საავტორო უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### **მუხლი 21. ეროვნული ბიბლიოთეკის უფლებამოსილებები**

ეროვნული ბიბლიოთეკის უფლებამოსილებებია:

- ა) ბექდური დოკუმენტების სახელმწიფო რეგისტრაცია (ბიბლიოგრაფიული და სტატისტიკური);
- ბ) ბექდური დოკუმენტების სახელმწიფო ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის წარმოება;
- გ) საქართველოს ეროვნული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდის ბექდური დოკუმენტებით დაკომპლექტება;
- დ) ბექდური დოკუმენტების დაცვისა და გამოყენების უზრუნველყოფა ეროვნული სავალდებულო ეგზემპლარების მიღების საფუძველზე;
- ე) ელექტრონული დოკუმენტების მიღების, შენახვისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ვ) მიღებული სავალდებულო ეგზემპლარების სისრულის კონტროლი;
- ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საქმიანობების განხორციელება.

### **მუხლი 22. სავალდებულო ეგზემპლარით სარგებლობის უფლება**

ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება, ისარგებლოს სავალდებულო ეგზემპლარით იმ წესების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებს სავალდებულო ეგზემპლარის მიმღებ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში.

## **თავი IV. კონტროლი და პასუხისმგებლობა**

### **მუხლი 23. კონტროლის განმახორციელებელი ორგანო**

1. სავალდებულო ეგზემპლარის დოკუმენტის მიმღებისთვის გადაცემას აკონტროლებს ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის წიგნის (ISBN), სერიული (ISSN) და მუსიკალური გამოცემების (ISMN) საერთაშორისო სტანდარტული ნომრის განყოფილება.

2. მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს ეროვნული საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდის მფლობელი ან დოკუმენტის ადგილობრივი მიმღები დოკუმენტის მწარმოებელს უგზავნის წერილობით შეტყობინებას დარღვევის შესახებ, რომელიც დოკუმენტის მწარმოებელმა უნდა გამოასწოროს შეტყობინებიდან 1 თვის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტის მწარმოებელს დაეკისრება სავალდებულო ეგზემპლარის გადაუცემლობისათვის ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

### **მუხლი 24. დოკუმენტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა**

1. ამ კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის დოკუმენტის მწარმოებლის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

2. ამ კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი), ხოლო საქმეს განიხილავს სასამართლო.

3. დოკუმენტის მწარმოებლის მიერ სავალდებულო ეგზემპლარის გადაუცემლობა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით და იურიდიული პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

## **თავი V. დასკვნითი დებულებანი**

### **მუხლი 25. კანონის ამოქმედება**

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის 24-ე მუხლისა, ამოქმედდეს 2014 წლის 1 ოქტომბრიდან.
2. ამ კანონის 24-ე მუხლი ამოქმედდეს 2015 წლის 1 მარტიდან.

## ნიგნის ისტორია

ნიმუხი სვედლიჩა

## მინიატურული წიგნი

ბოლო წლებში, ელექტრონული ტექსტები და აუდიო წიგნები ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ საჭიროებად გადაიქცა. საუკუნეების მანძილზე ასეთივე მნიშვნელობა ენიჭებოდა მინიატურულ წიგნებს. როგორც ჩანს, მცირეფორმატიანი და ჩვენი თვალისათვის უფრო ნაცნობი – ტრადიცი-


ბიბლიოთეკაში; დიდი ბრიტანეთის დედოფლის, ელისაბედ მეორისთვის კი სპეციალურად დაამზადეს მინიატურული თოჯინის სახლი, რომლის ერთ-ერთ ოთახში 1-2 დიუმის სიდიდის მინი-წიგნების ბიბლიოთეკა იყო განთავსებული.

მინიატურული წიგნი მცირეფორმატიანი ხელნაწერი ან ბეჭდური გამოცემაა, რომლის პარამეტრები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით: თუ რუსეთში მისი სიმაღლე და სიგანე 100 მმ-ს არ უნდა აღემატებოდეს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის ქვეყნებში ეს ზომები 76 მმ-მდე მცირდება.

მინიატურულ გამოცემათა შორის გამოირჩევიან ისეთი წიგნები, რომლებიც მინიატურული წიგნების ფონზეც პანანინად გამოიყურებიან – ეს მიკროწიგნებია. მათი მცირე ზომის შრიფტის გამო, მინიატურული წიგნებისაგან განსხვავებით, მიკროწიგნების ნაკითხვა შეუძარალებელი თვალთ შეუძლებელია. მინიატურული წიგნის მთელი ხიბლი კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავისუფლად იკითხება და დიდფორმატიანი წიგნის ყველა თვისე-



ული წიგნები თითქმის ერთდროულად დაიბადნენ. თავისი პრაქტიკულობისა და ესთეტიკურობის წყალობით მინიატურული გამოცემების მოყვარული მრავალი ცნობილი პიროვნება იყო: ნაპოლეონ ბონაპარტეს თავისი საომარი მსვლელობების დროს თან დაჰქონდა სპეციალურ ტყავის შალითაში განთავსებული მინიატურული სამრგვალო ბიბლიოთეკა – „Bibliothèque Portative du Voyageur“, რომელიც ერთი დიდი ფოლიანტივით გამოიყურებოდა; ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი – აბრაამ ლინკოლნი თავისი ადვოკატობის პერიოდში, ხშირად სარგებლობდა პანანინა ლოცვანით; 1570 წელს, ინგლისის დედოფლის ელისაბედ პირველის დაკვეთით შექმნეს ხუთენოვანი – ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, ბერძნულ და ლათინურ ენებზე დაბეჭდილი მინიატურული ლოცვანი; მცირეფორმატიანი წიგნების თავყვანისმცემელი იყო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი. მას მინიატურულ წიგნების საკმაოდ დიდი კოლექცია ჰქონდა თავის



ბას ატარებს. მცირე პარამეტრების გამო, მინიატურული წიგნის გამოცემა მთელ რიგ მხატვრულ თუ ტექნიკურ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და იმთავითვე პოლიგრაფისტთა პროფესიული პრესტიჟის საქმეს წარმოადგენდა.

მინიატურული წიგნის ისტორია ანტიკური





ეპოქიდან იწყება. პირველ მინიატურულ ეგზემპლარებად ითვლება თიხის ფირფიტები. მათი სისქე 10 მმ-ია, ზომა კი 41x39 მმ. ჩვენს ერამდე 2325 წლით დათარიღებული ეს ფირფიტები ქალაქ ურშია აღმოჩენილი. მათი დასაბამი გაცილებით ადრეა საგულისხმო.

მინიატურული წიგნები ძველთაგანვე იპყრობდნენ წიგნის მკვლევართა თუ მოყვარულთა ყურადღებას. ძველი რომაელი მწერალი და მეცნიერი პლინიუს უფროსი ენციკლოპედიური ნაშრომის – „ბუნებისმეტყველების ისტორიის“ ერთ-ერთ ტომში აღწერდა სახელგანთქმული ორატორის – მარკუს ტულიუს ციცერონის მონათხრობს ჰომეროსის უკვდავი „ილიადას“ მიკრო წიგნის შესახებ. პოემა მოიცავდა 15 686 სალექსო სტრიქონს და ძალიან თხელ პერგამენტზე ისეთი წვრილი ასოებით იყო დაწერილი, რომ მისი მოთავსება კაკლის ნაჭურჭში იყო შესაძლებელი. ეს ზღაპრად უფრო მიიჩნიეს, ვიდრე სინამდვილედ. ფრანგმა ეპისკოპოსმა გიუემ ციცერონის ნაამბობის გადამოწმება გადაწყვიტა. ეს გამოცდა წარმატებულად ჩატარდა მეფე ლუდოვიკო მეთორმეტის კარზე.

წიგნების დასამზადებლად სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისგან განსხვავებულ სანერ მასალას იყენებდნენ: ცხოველის ძვლებს, ქვას, ლითონის ფირფიტებს, აბრეშუმს, პაპირუსისა და პერგამენტის ფურცლებს. მინიატურულ წიგნების შექმნას

სიფაქიზეს მოითხოვდა. ხელნაწერი წიგნები ძვირად ფასობდა და მხოლოდ წარჩინებულთათვის იყო ხელმისაწვდომი.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა წიგნის მხატვრულ გაფორმებას. მათ უმრავლესობას ამკომდნენ სათაო ასოებით, თავსამკაულებ-ბოლოსამკაულებითა და მრავალფეროვანი მინიატურებით. მათთვის ამზადებდნენ ტყავის, ქვის, ქსოვილისა და ძვლის ყდებს, რომლებსაც ამშვენებდნენ ძვირფასი თვლებითა და ლითონის შესამკობლებით. ფურცელთა შემონაჭერს ოქროვარაყით ფარავდნენ. ასეთი წიგნები ხელოვნების



ნიმუშებს წარმოადგენდნენ,

XV საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიასა და ნიდერლანდებში გაჩნდა ქსილოგრაფიის ტექნიკით შესრულებული ე.წ. „ბლოკური წიგნები“. მათთვის ტექსტი და გამოსახულება ერთ საგრაფიურო დაფაზე იკვეთებოდა. ეს მეთოდი მრავალი ეგზემპლარის შექმნის საშუალებას იძლეოდა. ქსილოგრაფიული წიგნებისა და ესტამპების ბეჭდვა სწრაფად გავრცელდა ევროპის მრავალ ქვეყანაში. თუმცა, მათი რაოდენობა ვერ აკმაყოფილებდა კითხვის მსურველთა მოთხოვნებს.

გუტენბერგის გენიალური გამოგონების წყალობით, რომლითაც მან მსოფლიოს მოძრავი ლიტერებით ნაბეჭდი პირველი წიგნი აჩუქა, შესაძლებელი გახდა წიგნის ტირაჟის სასურველ რაოდენობამდე გაზრდა. მსოფლიოში პირველი

ბეჭდური მინიგამოცემა – “იურნალე ოგუტინუმი” შექმნა — იოჰან გუტენბერგის მოსწავლემ – პეტერ შეფერმა 1468 წელს მაინცში. წვრილი გოთური შრიფტით დაბეჭდილი ინკუნაბულას პარამეტრები 65x94 მმ-ია. მოგვიანებით, მინიატურული

მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქალაქის გამოგონებას. მრავალი მცირეფორმატიანი ხელნაწერი წიგნი დაგვიტოვა შუა საუკუნეებში. მათი უმრავლესობა ეკლესია-მონასტრებში იქმნებოდა. ეს შრომატევადი საქმე დიდ დროს, ყურადღებასა და

ნიგნის ბეჭდვა დაიწყო იტალიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ბელგიასა და ნიდერლანდებში.

პოლიგრაფიულ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XV საუკუნის ცნობილმა ვენეციელმა მესტამბემ ნიკოლა იანსონმა, რომლის სახელს უკავშირდება შრიფტი – „ანტიკვას“ შექმნა. მან 1474–1475 წწ. დაბეჭდა მინიატურული ლოცვანი – „Officium Beatae Mariae Virginis“, რითიც საფუძველი ჩაუყარა მცირეფორმატიანი საეკლესიო წიგნების გამოცემას.

ადრეული მინიატურული წიგნის შექმნის საქმეში მნიშვნელოვანი ღვაწლი შეიტანა ალორძინების ეპოქის ჰუმანისტმა მეცნიერმა, იტალიელმა მეს-

ელზევირების ოჯახის თხუთმეტი წარმომადგენელი. ისინი სხვადასხვა ენაზე გამოსცემდნენ წიგნებს. ორიგინალური შრიფტის გამოგონებამ მათ საშუალება მისცა, გამოეცათ პატარა და ვიწრო ფორმატის წიგნები. ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში დაცულია ელზევირების საგამომცემლო სახლში გამოცემული 2 მინიატურული წიგნი – „Russia feu Moscivia Itemque Tartaria“, რომელიც 1630 წლითაა დათარიღებული. მეორე წიგნის – „ოსპორო ტპრაციო“-ის ზომები – 65x115 მმ. ოდნავ აღემატება მინიატურული წიგნისათვის დადგენილ პარამეტრებს. იგი 1632 წლითაა დათარიღებული.



ფრანგული მინიატურული წიგნის ხელოვნების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჟან ჟანოს მოღვაწეობას. მან მნიშვნელოვნად შეამცირა შრიფტისა და კეგელის (2 მმ.) ზომები, მინიატურულ ფორმატში ზუსტად გათავლა მინდვრის, ემბლემების, ორნამენტებისა და ფიგურული კომპოზიციების ზომათა თანაფარდობა.

საფრანგეთის გარდა მინიატურული წიგნი მეტად პოპულარული იყო მე-17-18 საუკუნეების ინგლისში. გამოდიოდა სასულიერო და საერო ხასიათის წიგნები: ბიბლიები, ლოცვები, ფსალმუნები, თვენი, ისტორიული და მხატვრული ნაწარმოებები, პოეტური კრებულები და ლექსიკონები, კულინარიული და სამკურნალო წიგნები, კალენდრები

ტამბე-გამომცემლმა აღდ მანუცი უფროსმა. მან 1494 წელს დაარსა საგამომცემლო სახლი „ალდეები“. მანუციმ შემოიღო ახალი საბეჭდი შრიფტი – „კურსივი“, შეამცირა წიგნის პარამეტრები და პირველმა დაიწყო ჯიბის ფორმატის წიგნების სერიული გამოცემა – „პატარა ალდინები“. მათ შორის პირველი 1501 წელს დაბეჭდილი ვერგილიუს მარონის თხზულებათა კრებული იყო. ულამაზესი შრიფტის, ელევანტური ანაწყობისა და განსაკუთრებული პროპორციების ნყალობით აღდინები ალორძინების ეპოქის შედეგებად მიიჩნეის. მინიატურული წიგნის გამოცემის ღირსეულ საქმეს ასი წელი ემსახურებოდნენ აღდ მანუცის შთამომავლები.

მინიატურული წიგნის ხელოვნებამ ნამდვილ აყვავებას მიაღწია ჰოლანდიაში, „ელზევირების“ საგამომცემლო ფირმაში, რომელიც 1581 წლიდან 130 წლის მანძილზე ფუნქციონირებდა ჯერ ლეიდენში, შემდეგ კი – ამსტერდამში. ფილიალები და სააგენტოები მათ თითქმის მთელ ევროპაში ჰქონდათ. საგამომცემლო საქმეს ემსახურებოდა

და გზამკვლევი.

პრაქტიკული დანიშნულების მინიატურული წიგნების გამოცემამ განაპირობა მათ მიმართ ინტერესის გაზრდა. წიგნებს ძვირფასი ყდებით ამკობდნენ. მათზე ამაგრებდნენ ლითონის შესაკრავებს, საკინძეებს, ჯაჭვებსა და გამადიდებელ შუშებს. მინიატურულ წიგნებს ამკობდნენ ძვირფასი თვლებით, ოქროსა და ვერცხლის დეტალებით. გაჩნდა თანსატარებელი მინიატურული წიგნები.

ზოგჯერ მინიატურულ წიგნებს სუვენირებად ან გასართობ საშუალებებად იყენებდნენ. საღამოებსა და წვეულებებზე ხელთათმანში ჩამალული მინიატურულ წიგნით სტუმრობა კარგ ტონად ითვლებოდა და იმდენად შემოვიდა მოდაში, რომ წიგნის ფორმატის შემცირება გამომცემელთა თვითმიზნად გადაიქცა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების ფონდში მრავალი მინიატურული წიგნია დაცული. გაგაცნობთ რამდენიმე მათგანს. აი, თუნდაც,

ფრანგულ ენაზე ლექსად დაბეჭდილი „წმინდა ბიბლია“ ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ის 1759 წლითაა დათარიღებული. ძველი და ახალი აღთქმა საგამომცემლო კონვოლუტია გვერდთა ორმაგი აღნუსხვით. თავფურცლის მონაცემების მიხედვით, ძველი აღთქმა დაბეჭდილია ჰააგაში, ხოლო ახალი აღთქმა – ბაზელში იმავე წელს. ბიბლია პროტესტანტული შინაარსის გამო, აკრძალული იყო საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის მიერ. 50 მმ. ზომის, მინიატურულ წიგნს ქალბატონები ადვილად მაღავდნენ შინიონში და ამიტომ მას „შინიონის ბიბლიის“ სახელითაც მოიხსენიებენ.

განყოფილების ფონდში დაცულია 1855 წელს ქალაქ ტურნეში დაბეჭდილი მინიატურული „წმინდა წიგნი“ – „იესოსთან მიმსგავსება“. პანანინა წიგნი ეძღვნება ჰერცოგინია ბარბანტელს და მომზადებულია გამომცემლობა „კასტერმანში“. იგი 1780 წელს ტურინში დააარსა დონატ კასტერმანმა. აქ იბეჭდებოდა ძვირფასი წიგნების კოლექციები, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ.

პანანინა წიგნებს, დაზიანებისაგან დაცვის მიზნით, ხშირად ათავსებდნენ ხის, ლითონის ან ტყავის სხვადასხვა ფორმის ბუდეებში, რომლებზეც ყელსაბამზე ჩამოსაკიდი საკინძეებია მიმაგრებული, რაც ამ წიგნთა დანიშნულებაზე მიგვითითებს. უწვრილესი ნაბეჭდის ნასაკითხად ბუდეზე დისკის ფორმის გამადიდებელი მუშაა დამაგრებული. ამ მხრივ საყურადღებოა იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში დაცული ორი პანანინა, თანსატარებელი წიგნი: ფრანგულ-ინგლისური ლექსიკონი და ყურანი, რომელთა პარამეტრები 26 მმ–ს არ აღემატება და ფონდში დაცული ყველაზე მცირე ზომის გამოცემებია.

აქვეა დაცული ჯიბით სატარებელი, ტყავის შალითაში მოთავსებული მინიატურული „ყურანი“, აღმოსავლური წიგნისათვის დამახასიათებელი ყვავილოვანი საგამომცემლი ვინიეტიტ დამშვენებული ყდი.

1880 წელს ცოლ-ქმარმა ატიეებმა პარიზში დააარსეს გამომცემლობა – „A. HATIER, EDITEUR“. მან სახელი გაითქვა მიკრო ლექსიკონებისა და გზამკვლევების გამოცემით, რომელსაც „ცეროდენა კოლექცია“ შეარქვეს. სწორედ ამ კოლექციის ერთ-ერთი 5,3x4 მმ. პარამეტრებიანი მიკრო წიგნი – მ. ც. ციმერმანის შედგენილი გერმანულ-ფრანგული ლექსიკონი დაცულია იშვიათ გამოცემათა განყოფილების ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნთა შორის ყველაზე პატარა ფოტოალბომი – „Герои войны 1812 года“ – პანანინა ლითონის შესაკრავიანი შავი ტყავის ყდაშია ჩასმული. ფურცელთა შემონაჭერი ოქროვარაყით, ორივე ყდა კი ოქრომელნიტ შესრულებული ტვიფრული, მინიატურული წარწერე-

ბითაა დამშვენებული. ციციქა წიგნში 1812 წლის სამამულო ომის 20 გმირის, მათ შორისაა პეტრე ბაგრატიონის, ფრჩხილისოდენა პორტრეტზე გასაცარად აღიქმება თითოეული დეტალი.

ყურადღებას იქცევს სასკოლო სახელმძღვანელო მოსწავლეთათვის – „Краткая Роосийская география для детей“, რომლის I ტომი 1836 წელსაა გამოცემული. 29 გვერდიანი მინიწიგნი 45x32 მმ. ზომისაა და სადადაა გაფორმებული. მიკროგამოცემა რუსეთშიც იშვიათობადაა მიჩნეული. ამავე სერიის, 1835–1837 წლებში, გამოიცა მათემატიკისა და გრამატიკის სახელმძღვანელოები.

პირველი ქართული მინიატურული გამოცემა – „ღვთისმშობლის სავედრებელი ლოცვანი“ ნუსხური შრიფტითაა დაბეჭდილი 1809 წელს, რაჭაში, სოფელ წესში. აქ ბეჭდავდა წიგნებს ქუთაისის სამეფო სტამბა 1809 წლიდან. გამოცემის ბოლოსიყვავობის მიხედვით ირკვევა, რომ წესის სტამბის იარაღების შექმნაზე უზრუნვია არქიებისკოპოს სოფრონ ნიკორწმინდელს, ხოლო სტამბა გაუმართავს გამოცდილ და ხელმარჯვე მუშაკს რომანოზ ზუბაშვილს. წიგნი თანსატარებლად იყო გათვალისწინებული. გამოცემა იშვიათობას წარმოადგენს და ეროვნულ ბიბლიოთეკაში სამ ერთეულადაა დაცული. იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში მისი ორი ეგზემპლარია, ყდის სხვადასხვაგვარი გადაკვრით. მათგან ერთ-ერთი უფრო ძველია. მისი მუქი ყავისფერი ტყავის ყდა მცენარეული ორნამენტებით და ვინიეტიტაა გაფორმებული.

განსაკუთრებულია 1943 წელს ბერლინში, ქართველ მამულიშვილთა მიერ გამოცემული წიგნი. „საერო ბიბლიად“ წოდებული ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველ მეომრებს ჯიბით დაჰქონდათ. მინიატურულ გამოცემას მხოლოდ ორი ილუსტრაცია – თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის პორტრეტები ამშვენებს. წიგნის მფლობელი პოლონეთში მცხოვრები იყო, რომელმაც წიგნი შავი ხავერდის ყდით შეამკო და ეროვნულ ბიბლიოთეკას შემოსწირა.

ვეფხისტყაოსანის გამოცემებს შორის გამორჩეულია საიუბილეო გამოცემა, რომელიც 1966 წელს დაიბეჭდა და ვეფხისტყაოსნის 800 წლის იუბილეს მიეძღვნა. მინიატურული წიგნი სერგო ქობულაძის ილუსტრაციებითაა დამშვენებული, ყდის მხატვრობა ზურაბ კაპანაძეს ეკუთვნის. განყოფილების ფონდში დაცული ამ გამოცემის ერთ-ერთი ეგზემპლარი ფილიგრანული ყდითაა შემკული.

დღეისთვის მინიატურული წიგნის გამოცემით მსოფლიოს მრავალი წამყვანი გამომცემლობაა დაკავებული. მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს მინიატურული წიგნის მოყვარულთა კლუბები და მუზეუმები.



## საბიბლიოთეკო მენეჯმენტი

გიორგი კილაძე

# სისტემის რეორგანიზაციის საკითხისათვის

უდავო ფაქტია, ორგანიზაციის მთავარი პრიორიტეტების ცვლილებები ორგანიზაციაში სტრუქტურულ ცვლილებას ითხოვს. სამეცნიერო ლიტერატურაში ორგანიზაციული ცვლილებების ორ ტიპს განიხილავენ<sup>1</sup>: რევოლუციურს და ევოლუციურს. რევოლუციური ცვლილებების შედეგად „ყველაფერი (მოქმედების წესები და ნორმები, არსებული კავშირები და ა.შ.) სწრაფად და კარდინალურად იცვლება“. ევოლუციური ცვლილების შედეგად „ბევრი რამ თანმიმდევრულად და შედარებით ხანგრძლივ დროში მიმდინარეობს“<sup>2</sup>. ორგანიზაციული ცვლილებები ძირითადად სტრუქტურულ ცვლილებას გულისხმობს.

ნებისმიერი ორგანიზაცია, თავის ბუნებით, რაღა თქმა უნდა, სტრუქტურულადაც სისტემას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, რეორგანიზაციის დაწყებისას, პროცესის მიმდინარეობისას თუ დასრულებისას, მას როგორც სისტემას, ისე უნდა „მოვეყნოთ“.

ნებისმიერი სისტემის, განსაკუთრებით რთული, დინამიკური (სწორედ ასეთ სისტემებს წარმოადგენენ საჯარო, სამეცნიერო და, რა თქმა უნდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკები) შესწავლისთვის აუცილებელი არის ცალკეული შემადგენელი ნაწილებისა (ქვესისტემების) და მათ შორის არსებული და შესაძლო ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა.

აქედან გამომდინარე, მოცემული სისტემის (ვთქვათ, სისტემა „ბიბლიოთეკა“) დასახასიათებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შემადგენელი ქვესისტემების (რომლებიც თვითონ აკმაყოფილებენ სისტემის ძირითად ნიშან-თვისებებს - წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მხოლოდ ელემენტებად შეიძლება იყვნენ მოაზრებულნი) შესწავლა, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება მთლიანად სისტემის შესწავლა და მასში მიმდინარე რთული და დინამიკური პროცესების გამოკვლევა.

### სისტემის, განსაკუთრებით რთული და დინამიკური სისტემების შესწავლის და გამოკვლევის გარეშე სტრუქტურული რეორგანიზაციის ჩატარება წარმოუდგენელია.

ნებისმიერი რთული სისტემა ორი ან მეტი ქვესისტემისგან შედგება, მაგალითად, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (სისტემა „ბიბლიოთეკა“) ოთხ დეპარტამენტს (ქვესისტემას) აერთიანებს:

1. მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტი;
2. საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციის დეპარტამენტი;
3. საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტი;
4. ადმინისტრაციული მართვის დეპარტამენტი.

დეპარტამენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, ზოგჯერ ურთიერთდაპირისპირებულიც, ბევრი ფაქტორის (წმინდა ადამიანურსაც ვერ ავუვლით გვერდს) ზემოქმედებით მიმდინარეობს. დეპარტამენტებს შორის ურთიერთობები, თავის მხრივ, მოითხოვს სისტემა „ბიბლიოთეკაზე“ ქვესისტემათა ერთობლივი გავლენის შესწავლას, რაც შესაძლებელია მხოლოდ სისტემური მიდგომისა და სისტემური ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

ჯერ კიდევ 1982 წელს, ი. ტ. ფროლოვის რედაქციით გამოცემულ „ფილოსოფიურ ლექსიკონში“ **სისტემური მიდგომა** განიმარტა როგორც „მეთოდოლოგიური მიმართულება მეცნიერებაში, რომლის ძირითადი ამოცანაა რთული ორგანიზებული ობიექტების – სხვადასხვა ტიპისა და კლასის სისტემების – კვლევისა და კონსტრუირების მეთოდების შემუშავება. სისტემური მიდგომა გარკვეული ეტაპია შემეცნების მეთოდების, კვლევითი და კონსტრუქციული მოღვაწეობის მეთოდების განვითარებაში, იმ ობიექტების ბუნების აღწერისა და ახსნის საშუალებების განვითარებაში, რომლებსაც ვაანალიზებთ ან ხელოვნურად ვქმნით“. ამავე ლექსიკონში მოცემული განმარტებით, **სისტემური ანალიზი** არის „სხვადასხვა სახის რთულ პრობლემებზე გადაწყვეტილებების მომზადებისა და დასაბუთების მეთოდოლოგიურ საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც ეყრდნობა სისტემურ მიდგომას, თანამედროვე მართვის თეორიასა და მათემატიკურ მეთოდებს“. ამასთან, „ანალიზის ძირითად პროცედურას რეალური სიტუაციის ურთიერთკავშირების ამსახველი განზოგადებული მოდელის შექმნა წარმოადგენს“<sup>3</sup>.

აკადემიკოს გიორგი აფანასიევის აზრით, სისტემური ანალიზი მოიცავს ოთხი ურთიერთდაკავშირებული ასპექტის ერთობლიობას.

<sup>1</sup> იხ. პაპუნა ტოლიაშვილი, ორგანიზაციული სტრუქტურის ევოლუცია, რატომ და როგორ ხდება და როგორ უმჯობესია ხდებოდეს, პტტპ://სტრატეგია.გე/2012/12/03/ევოლუციონ-ოფ-სტრუქტურ/  
<sup>2</sup> იქვე.  
<sup>3</sup> წყარო: ფილოსოფიური ლექსიკონი, ი. ტ. ფროლოვის რედაქციით, – 1982.)

ა) ნებისმიერი ქვესისტემა გარკვეულ ფუნქციათა (კომპონენტთა) ერთობლიობაა — სისტემურ-კომპონენტური ასპექტი.

ბ) ნებისმიერ აქ წარმოდგენილ ქვესისტემას საკუთარი სტრუქტურა, შინაგანი ფორმა გააჩნია — სისტემურ-სტრუქტურული ასპექტი.

გ) ნებისმიერ აქ წარმოდგენილ დეპარტამენტს გააჩნია საკუთარი ფუნქცია – სისტემურ-ფუნქციური ასპექტი.

დ) ნებისმიერ აქ წარმოდგენილ დეპარტამენტს გააჩნია თვისობრივი სპეციფიკის, ფუნქციონირების შენახვის მექანიზმი – სისტემურ-ინტეგრაციული ასპექტი.

ქნელი არ არის იმის ჩვენება, რომ სისტემა „ბიბლიოთეკა“ ოთხივე ზემოთ აღნიშნულ ასპექტს მოიცავს, ამასთან, სისტემა „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“ ვერ იფუნქციონირებს არსებული დეპარტამენტების ოპტიმალური ფუნქციონირების (ბუნებრივია, „შესაძლებლობის ფარგლებში“) გარეშე. ამასთან, აუცილებელია კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნოს, რომ შეუძლებელია მოცემულ დეპარტამენტთა (ქვესისტემათა) ერთმანეთისგან იზოლირებულად განხილვა, მათ შორის მრავალმხრივი ურთიერკავშირების არსებობის გამო.

სამეცნიერო, სასწავლო ლიტერატურაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ „თანამედროვე ორგანიზაციები არსებითად განსხვავდებიან მისი წინამორბედებისაგან. კერძოდ, მომუშავეებს აქვთ ხარისხობრივად სხვა, განსხვავებული ხასიათი (უფრო მაღალი პირადული შესაძლებლობები, პერსპექტივის ხედვის უნარი, ცოდნის მაღალი დონე“.<sup>4</sup> „ხარისხობრივად სხვა, განსხვავებული ხასიათის“ თანამშრომლის „ხედვის არეალი“ არა მხოლოდ საკუთარი სამუშაო ადგილით, თუნდაც განყოფილებით, დეპარტამენტებით ამოიწურება. მისთვის მეტ-ნაკლებად ღირებული შედეგი არამხოლოდ ფაქტია, არამედ პერსპექტივა. კარიერული წინსვლა, უფრო მაღალი ანაზღურების მიღების სურვილი და შესაძლებლობა ასეთი თანამშრომლების ლეგიტიმურ მოთხოვნას წარმოადგენს. ამგვარ ლეგიტიმური მოთხოვნების დაკმაყოფილება ხშირად თანამშრომელთა განყოფილებებიდან განყოფილებებში, განყოფილებიდან - დეპარტამენტებში, დეპარტამენტიდან დეპარტამენტში, ზოგადად ქვესისტემებში „მიგრაციის“ აუცილებლობას საჭიროებს. სხვა საკითხია, თუ რამდენად არის მზად სისტემა ამგვარი „მიგრაციისთვის“. ბუნებრივია, ამგვარი „მიგრაცია“ ვერ გახდება საფუძველი სისტემის სტრუქტურული რეორგანიზაციისა, თუმცა, პერსონალის „ხედვის არეალის“ ზრდა, სისტემასთან დაკავშირებული ახალი იდეები, რომლებიც ვერ „ეტივა“ არსებულ სისტემაში, როგორც წესი, ამგვარი რეორგანიზაციის საფუძველი უნდა გახდეს.

ზემოთ ვთქვით და კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, ზოგადად, ქვესისტემებს შორის მრავალმხრივი ურთიერთკავშირი არსებობს და ეს ურთიერთკავშირები დროთა განმავლობაში წარმოშობს ქვესისტემების ოპტიმალური ფუნქციონირების აუცილებლობას (რეალურად რეორგანიზაცია ამ მიზნით უნდა ხორციელდებოდეს), ამასთან, თავად სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია 1. ქვესისტემებს შორის ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოყალიბება, 2. შესაძლო საზღვრებში თითოეულის მაქსიმალური განვითარება.

**შეუქლებელია არ დაეთანხმომოსაზრებას, იმის შესახებ, რომ ცალკეული ქვესისტემის ცალ-ცალკეანთუნდაც დაწყვილავულად განხილვა, მაგ., ისეთი ურთიერთდაკავშირებული დეპარტამენტებისა, როგორცაა საბიბლიოთეკო მომსახურებისა და ინფორმაციის დეპარტამენტი და საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტი, სასურველ შედეგებს ვერ მოგვითხანს.**

სისტემის ორგანიზაციული გაუმჯობესება გულისხმობს ხარისხზე ორიენტირებულ რეორგანიზაციას (უფრო ხშირად, ვიდრე რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდაზე ორიენტირებულ რეორგანიზაციას; როგორც წესი, ხარისხზე ორიენტირებული რეორგანიზაცია აუცილებლად მოიტანს რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდას), რაც ორგანიზაციული გაუმჯობესების მართვის სისტემის მეშვეობით მიიღწევა.

ორგანიზაციაში მოსალოდნელი სტრუქტურული რეორგანიზაცია არც თუ იშვიათად, თანამშრომელთა შორის გაურკვევლობასა და უკმაყოფილებას იწვევს. თანამშრომლებმა ნაკლებად იციან რეორგანიზაციის დასაწყისში, პროცესსა თუ დასრულების შემდეგ რა ტიპის გადაწყვეტილებები შეუძლიათ მიიღონ დამოუკიდებლად, ნაკლებად ერკვევიან მენეჯერების მიერ უფლებამოსილების დელეგირების საკითხებში.<sup>5</sup>


ზოგადად, ორგანიზაციული გაუმჯობესების მართვის სისტემას აქვს ხუთი უერთიერთდაკავშირებული კომპონენტი (იხ. ნახ. 1). მიგვაჩნია, რომ ამ ხუთი კომპონენტის გათვალისწინება უნდა დაედოს საფუძველად ნებისმიერი სისტემის რეორგანიზაციასა თუ სტრუქტურულ ცვლილებას.

4 იხ. მაგ. ფარესაშვილი, ნინო. ორგანიზაციული ქვევა : [დამხმ. სახელმძღვ.] / ნინო ფარესაშვილი, გიული ქემელაშვილი ; [მთ. რედ. დავით წარმანია]. - თბ. : უნივერსალი, 2010. - 208მ.

5 უფრო დაწვრილებით, იხ. მაგ. ფარესაშვილი, ნინო. ორგანიზაციული ქვევა : [დამხმ. სახელმძღვ.] / ნინო ფარესაშვილი, გიული ქემელაშვილი ; [მთ. რედ. დავით წარმანია]. - თბ. : უნივერსალი, 2010. - 208მ.

6 იხ <http://techdigest.jhuapl.edu/td/t1604/potocki.pdf>.

პირდაპირი კავშირი



პირველი კომპონენტი **განზომვადი/დარგობრივი მახასიათებლები**, ორგანიზაციას საშუალებას აძლევს ობიექტურად შეაფასოს, თუ რამდენად არის აუცილებელი ცვლილებების განხორციელება ან მივალწვეთ თუ არა არსებული აქტივობებით სასურველ შედეგს.

განზომვადი/დარგობრივი მახასიათებლები (უკუკავშირის შეფასებისას) ფაქტობრივად ავლენენ არსებულ სისტემის „ჩავარდნებს“; ხელს უწყობენ ამჟამად არსებულის - „რა არის“ და სასურველი მომავლის „რა უნდა იყოს“ დადგენას. ამასთან „რა უნდა იყოს“ საუბრისას, გასათვალისწინებელია ორგანიზაციაში მიმდინარე ფარული, არაოფიციალური „რეორგანიზაციები“ პიროვნულ ან განყოფილების დონეზე.

ამასთან, განზომვადი/დარგობრივი მახასიათებლები შესაძლოა გამოყენებულ იქნას, როგორც წინასწარ განსაზღვრული პირდაპირი კავშირის მექანიზმი.

**პირდაპირი კავშირის მექანიზმი** ხელს უწყობს ორგანიზაციის მომავლის განჭვრეტას, მომავალი გარემოებების პროგნოზირებასა და საჭირო გაუმჯობესებების განსაზღვრას. **პირდაპირი კავშირის მექანიზმი** ორგანიზაციას საშუალებას აძლევს, შეცვალოს არსებული რეალობა, გაითვალისწინოს მომხმარებელთა მოთხოვნები და საჭიროებები ახალ პროდუქციასთან<sup>7</sup> და/ან ახალ მომსახურებასთან დაკავშირებით.

მეორე კომპონენტი არის **ლიდერობა** (ბუნებრივია, აქ საუბარია ლიდერ-მენეჯერებზე. „ლიდერობა“, პრაქტიკულად მენეჯმენტი, რომელსაც ლიდერ-მენეჯერი ახორციელებს. ლიდერ-მენეჯერს აქვს ხედვა და უჩვენებს ამ ხედვისკენ მიმავალ გზას, მიმართულებას, აძლევს გუნდს მოტივაციას და ქმნის შესაფერის გარემოს, მენეჯერი კი ანაწილებს რესურსებს, რომ ლიდერის ხედვას მიაღწიონ, თანაც სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით. სამწუხაროდ, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ორგანიზაციებში ცოტა არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ერთდროულად ლიდერიც იყვნენ და მენეჯერიც).

მეორე კომპონენტი მუშაობს პრინციპით: „სისტემა უნდა იმართოს“. სწორედ ლიდერმა უნდა დასახოს სისტემის განვითარების სტრატეგიული გეგმა.

**სტრატეგიული დაგეგმვა** (Strategic planning) ეს არის პროცესი, რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის მიზნებისა და რესურსების სტრატეგიულ თანხვედრას ორგანიზაციის ცვალებად გარემოსთან.

**სტრატეგიული დაგეგმვა** გულისხმობს ორგანიზაციის მისიის, მიზნების, გიზნისპორტფალის შექმნასა და ფუნქციური სტრატეგიების კოორდინირებას.

<sup>7</sup> ბუნებრივია, დღეს ადრავის უკვირს ბიბლიოთეკაზე საუბრისას ისეთი ცნებების გამოყენება, როგორებიცაა მაგალითად, პროდუქტი, კონკურენცია, მარკეტინგი, ბიზნესი და მისთანანი.



ლიდერი პასუხს აგებს თანამშრომელთა მუშაობის მოტივაციასა და აქტივაციას; საკადრო უზრუნველყოფასა და პერსონალის სწავლებაზე. სწორედ ლიდერმა უნდა დაიყვანოს მიღებული გადაწყვეტილებები „ზედა რგოლიდან ქვედა რგოლებამდე“ და უზრუნველყოს სტრუქტურული რეორგანიზაცია მშვიდ და მოტივირებულ გარემოში. სწორედ, ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, **მშვიდი და მოტივირებული გარემო** განსაზღვრავს ორგანიზაციის წარმატებებს განვითარების მთელ ეტაპზე<sup>8</sup>.

პრაქტიკოს-მენეჯერების პროფესიულმა ორგანიზაციამ - **მენეჯმენტის ამერიკულმა ასოციაციამ** (მერიცან ანაგემენტ სსოციაციონ-) განსაზღვრა მენეჯერებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან უნარ-ჩვევათა საკუთარი ნაკრები. ნაკრები მოიცავს ოთხ ასპექტს: 1) კონცეპტუალურ ჩვევებს, 2) კომუნიკაციის ჩვევებს, 3) ეფექტიანობის ჩვევებსა და 3) პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ჩვევებს.

**ლიდერის პოზიცია ეს არის რაქაცია მომხმარებლის ქცევაზე და ეს არის ფუნქციონირება დელეგირება თანამშრომლებზე, ბიზნესპორტფალის შექმნასა და ფუნქციონირების სტრატეგიის კოორდინირებას.**

მესამე კომპონენტი – არის **თანამშრომლები**. ორგანიზაციის წარმატებები ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შემოქმედებითად უდგება სისტემის განვითარების საქმეს თითოეული თანამშრომელი, რადგან სისტემის განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანესია თანამშრომლის ჩვევები და მოტივები.

მეოთხე კომპონენტი – არის **პროცესთა სრულყოფა**, რაც გულისხმობს ყველა იმ ბარიერის, ჩავარდნის აღმოფხვრას, რომელიც ხელს უშლის სრულყოფილ მუშაობას. ეს კომპონენტი პირაპირ უკავშირდება ტექნიკურ, ადმინისტრაციულ, ორგანიზაციულ ეფექტიანობას.

მეხუთე კომპონენტი არის – მართვის **ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესება**, მომხმარებლის ცვალებად მოთხოვნათა შესაბამისად.

ზემოთ ჩამოთვლილ ხუთ კომპონენტს განხორციელების სტრატეგიები გააჩნია. ორგანიზაციული ცვლილებების სტრატეგიებისა და სისტემის მართვის კომპონენტებთან ურთიერთობის საკითხებს, ასევე **სტრუქტურული რეორგანიზაციის** თანმხლებ (ხშირად წინმსწრებ) ატესტაციის ჩატარების პრობლემებს მომავალ სტატიებში განვიხილავთ.

8 იხ. მაგ. **ფარესაშვილი, ნინო** ორგანიზაციული ქვევა : [დამმ.სახელმძღვ.] / ნინო ფარესაშვილი, გიული ქეშელაშვილი; [მთ. რედ. დავით ნარზანია]. - თბ. : უნივერსალი, 2010. - 20სმ.

**მზია სოსიტაშვილი**

# კულტურის სფეროს მარკეტინგი

ბოლო ათწლეულებში სახელმწიფოს მიერ ბიუჯეტის სახსრების პრიორიტეტული გადანაწილების შედეგად კულტურის სფერო ფინანსური თვალსაზრისით არც თუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. კულტურის სფეროს დაწესებულებები, რომლებიც სრულ სახელმწიფოც უზრუნველყოფაზე იმყოფებოდნენ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მწირ შემოსავლებს დასჯერდნენ. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ამ ორგანიზაციებმა კულტურის სხვადასხვა დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით მართვის მეთოდების გასაუმჯობესებლად დანერგეს ბიზნესის სფეროში მიღებული მარკეტინგის სტრატეგიები.

დღესდღეობით კულტურის სფეროს დაწესებულებები: მუზეუმები, თეატრები, საკონცერტო დარბაზები, ბიბლიოთეკები, გალერეები და საგამოფენო დარბაზები ისევე იმართებიან მარკეტინგული ტექნოლოგიებით, როგორც მოგებაზე ორიენტირებული სამეწარმეო ფირმები. მიუხედავად

იმისა, რომ კულტურის სფერო არ არის ორიენტირებული მხოლოდ ვინაო სამიზნე ჯგუფზე, აუცილებელია თითოეული მომხმარებლის გემოვნებისა და მისწრაფებების გათვალისწინება, სამიზნე აუდიტორიის მუდმივი კვლევა, რადგან ამ სფეროს განვითარება მთლიანად ქვეყნის, მოსახლეობის განათლებისა და კულტურის დონის ამაღლებისკენ არის მიმართული.

კულტურის სფეროს მარკეტინგი გულისხმობს ბაზრის იმ სექტორის ათვისებას, სადაც მომხმარებელს აქვს კონკრეტული მოთხოვნა კონკრეტულ პროდუქტზე ან მომსახურებაზე. თუ კომერციულ სფეროში მარკეტინგული საქმიანობა ბაზარზეა ორიენტირებული და მის მთავარ მიზანს მოგება წარმოადგენს, კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების მისიიდან გამომდინარე, ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა არ არის მთავარი ამოცანა. მარკეტინგის არსი აქ მოსახლეობის განათლებისა და კულტურის დონის ამაღლების,

ესთეტიური მოთხოვნების დაკმაყოფილებაში მდგომარეობს.

როგორც ცნობილია, ბაზარზე ჭარბი საქონლის არსებობის შემთხვევაში ანარმობენ იმ საქონელს, რომელსაც ითხოვს მომხმარებელი. მომხმარებელი ერთგვარად კარნახობს მყიდველს ანარმობის ის, რაც მის გემოვნებას დააკმაყოფილებს.

მხატვრული საქონლის ან შემოქმედების პროდუქტის ბაზარზე წარდგენაც ბაზრის ანალიზიდან თავად საქონლის შესწავლით იწყება, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლებისა და თავისებურებების გათვალისწინებით. შემდეგ მონაცემები მხატვრული პროდუქტის შესახებ ქვეყნდება საინფორმაციო საშუალებებში. მისი საშუალებით ბაზარზე – სახელმწიფოში, მომხმარებლებთან, აგენტებთან, სპონსორებთან.

ხშირად მარკეტინგს აიგივებენ გაყიდვებთან, სინამდვილეში ეს სხვადასხვა ფუნქციებია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, მათ შორის არსებობს შემდეგი სახის განსხვავებები: მარკეტინგი განსაზღვრავს, თუ როგორ ხდება პროდუქტი განსაზღვრულ წერტილში და როგორ იგებს ამის შესახებ მყიდველი. გაყიდვები – ეს არის მყიდველის დარწმუნება, აირჩიოს სწორედ ეს პროდუქტი მრავალთა შორის. მარკეტინგი სხვა დანარჩენთან ერთად მოიცავს რეკლამას, კავშირებს პრესასთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საფასო პოლიტიკას, გავრცელების ადგილებს. გაყიდვები ხდება იქ, სადაც ყველა ზემოთაღნიშნული საკითხები გადანყვეტილია. ანუ პირველ რიგში საჭიროა მყიდველამდე მიღწევის გზებზე ფიქრი და მასთან კონტაქტის დამყარება.

როგორ უნდა მოხერხდეს ეს? პირველ რიგში, აუცილებელია იმ ადამიანების ყურადღებით შესწავლა, რომლებზედაც არის გათვლილი პროდუქცია. ვინ არიან ის ადამიანები? სად ცხოვრობენ? რა შემოსავალს ფლობენ? სად არიან დასაქმებულნი? რა გატაცებები აქვთ? უნდა დადგინდეს მათი სოციალური სტატუსი, ინტერესები, სქესობრივ-ასაკობრივი, ეთნიკური ჯგუფები.

როდესაც ამგვარი სამუშაო შესრულდება და გამოიკვეთება, თუ სად არიან ასეთი ადამიანები უფრო მეტნი, რომელ ადგილებს ირჩევენ დასვენებისთვის, მოგზაურობისთვის, ურთიერთობისთვის, სად ატარებენ დასვენების დღეებს, რომელ პრესას კითხულობენ, მაშინ ცხადი გახდება, სად შეიძლება მათთვის პროდუქტის ან მომსახურების მიყიდვა, რა ხერხებით შეიძლება მათ მიენდოთ ინფორმაცია პროდუქციაზე ან მომსახურებაზე

ნებისმიერი მარკეტინგული სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ბიზნესის პოპულარობის შექმნა. წარმატების მოსაპოვებლად ბიზნესი ყოველნაირად უნდა ცდილობდეს საკუთარი პროდუქტის წინ წაწევის. ამაში უდიდესი დახმარების განევა შეუძლიათ მასობრივი ინფორ-

მაციის საშუალებებს. შესაძლებელია სარეკლამო ადგილის ყიდვა გაზეთში ან საეთერო დროის ყიდვა რადიოში, ადვილი შესაძლებელია საკუთარი ბიზნესის უფასოდ გაშუქებაც. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ბაზარზე კომპანიას ახალი პროდუქტი ან მომსახურება შემოაქვს, ან ხდება მისი მოდერნიზება, ეს ფაქტი მასმედიაში მოვლენების გაშუქების საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა.

კულტურის სფეროში მარკეტინგის მიმართულების ანალიზისას აუცილებელია განხილულ იქნეს ის მარკეტინგული გარემო, რომელიც ემსახურება მართვის პროცესის საკვანძო მომენტს. მარკეტინგული გარემო შედგება ფაქტორთა ერთობლიობისგან მაკრო და მიკრო დონეებზე, რომლებიც პირდაპირ მოქმედებენ ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობაზე.

მაკრო გარემო მოიცავს ისეთ სოციალურ ფაქტორებს, როგორებიცაა პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციოკულტურული, სამეცნიერო-ტექნიკური, რომლებიც განსაზღვრავენ კულტურის სფეროს განვითარებას. ამავე დროს კულტურის სფერო თავისი მაკროგარემოთი განსხვავდება მდგრადი უკუკავშირებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი პირდაპირ მოქმედებენ პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ერის კულტურულ დონეზე, რაც, საბოლოო ჯამში, ზემოქმედებს კულტურის სფეროსადმი დამოკიდებულებაზე. მიკროგარემოს მაკროგარემოსთან ერთად ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს. მიკროგარემო თავის მხრივ შეიძლება დაიყოს ორ შემადგენელ ნაწილად: გარე და შიდა.

მარკეტინგის გარე გარემოს წარმოადგენს ის გარემოცვა, რომელზედაც გადის ფირმა თავისი მარკეტინგული ღონისძიებებით. კულტურის სფეროში იგი მოიცავს რეალურ და პოტენციურ მნახველებს, სპონსორებს, ქომავებს, პარტნიორებს, კონკურენტებს, აგრეთვე საზოგადოებრიობას მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სახით და სხვა პირებს, რომლებიც აყალიბებენ საზოგადოებრივ აზრს როგორც კულტურის რომელიმე დარგის მუშაობაზე, ასევე კულტურაზე მთლიანობაში.

მარკეტინგის შიდა გარემო მოიცავს იმ პირებსა და ძალებს, რომლებითაც ხდება მარკეტინგის განხორციელება ფირმის შიგნით. როგორც წესი, კულტურის ორგანიზაციებში არის სამსახურები, რომლებიც გეგმავენ, შეიმუშავენ და განახორციელებენ მარკეტინგულ პროგრამებს მნახველების, კულტურული ორგანიზაციების, მეგობრების, სპონსორებისა და სხვ. გარეში.

მარკეტოლოგი სასურველი შედეგის მისაღწევად კარგად უნდა იცნობდეს საკუთარ ბაზარს. ეს აუცილებელია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის მხოლოდ ერთი რომელიმე კატეგორიის მომხმარებლის ბაზრის მფლობელია. ყველა ბაზარი



განსხვავებულია. მათი უმეტესობა ქვეჯგუფების ან სეგმენტებისაგან შედგება. საჭიროა საკუთარ ბაზარზე არსებული სეგმენტების გამოვლენა, განსხვავებების გამოვლენა და თითოეულისათვის განსაზღვრული მიდგომების შემუშავება. ბაზარი შეიძლება დაიყოს: გეოგრაფიული, დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოგრაფიული ან ქცევითი ნიშნებით.

მარკეტინგის სტრატეგია ეფექტური რომ იყოს, პირველ რიგში, საჭიროა მომხმარებლის ქცევის შესწავლა. გაყიდვებზე და მომსახურებაზე პასუხისმგებელი პირები უნდა იცნობდნენ იმ მოტივებს, რომელნიც განსაზღვრავენ ორგანიზაციის მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე (საქონელზე) რეალური ან პოტენციური მომხმარებლის ქცევას.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს კულტურის სფეროში მარკეტინგული მოღვაწეობის ორგანიზების ორი ძირითადი მოდელი: ამერიკული და ფრანგული. ამერიკული მოდელი მეტწილად მიმართულია ინდივიდუალური, კორპორატიული და სახელმწიფო ფინანსების დაბანდებაზე არაკომერციულ ორგანიზაციებში. მოცემულ ვარიანტში მარკეტინგის ობიექტად გვევლინებიან ორგანიზაციის მეგობრები, სპონსორები, მეცენატები, ფონდები და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები.

კულტურის სფეროში მარკეტინგული მოღვაწეობის ორგანიზების ფრანგული მოდელი ამერიკულის საპირისპიროა. ძირითადი ყურადღება აქ ექცევა არა პოტენციური სპონსორების მოზიდვას, არამედ დამთვალეირებელთა მოთხოვნების შექმნასა და დაკმაყოფილებას. მაგალითად პარიზის “ლუვრის” მუზეუმი განსხვავდება თავისი მოქნილი საფასო პოლიტიკით: ფასდაკლების სისტემით, მუშაობის შეღავათიანი და უფასო საათებით, მუზეუმის ხელმისაწვდომობით არასამუშაო დროს. ამას გარდა, მუზეუმში არსებობს კონფერენციების, სემინარების, სააბონენტო მომსახურების, საბავშვო,

სასკოლო, მუდმივმოქმედი ქსელი სტუდენტური ჯგუფებისთვის. “ლუვრის” ტერიტორიაზე მუდმივად იმართება კონცერტები, მუსიკალური საღამოები, საჯარო ლექციები და ა.შ.

ამერიკულ მოდელში არსებობს კულტურული ორგანიზაციების მომსახურების იგივე მრავალფეროვნება, მაგრამ განსხვავებაცაა, ისინი პირველ რიგში ფინანსურ მიზნებს ემსახურებიან და არა სამომხმარებლო მოთხოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. განსხვავების მიზეზები ამერიკული და ფრანგული კულტურული ორგანიზაციების ფინანსური წყაროების სტრუქტურათა თავისებურებებში მდგომარეობს.

ამერიკული და ფრანგული მოდელების საერთო მახასიათებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის არსებობა, რომელიც მუშაობს ორგანიზაციის იმიჯის შექმნაზე. საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცევა მასმედიასთან, სხვა დანესებულებებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, აგრეთვე სპონსორობით, ქველმოქმედებითა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საშუალებით როგორც შიდა, ასევე საგარეო ბაზრებზე. დღესდღეობით კულტურის სფეროში ყალიბდება მარკეტინგის ორგანიზების ფრანგულ-ამერიკული - შუალედური მოდელი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამრეწველო ბაზარზე მძაფრი კონკურენციის ფონზე, როდესაც თანამედროვე ადამიანის ყურადღება მიპყრობილია ბანკების ახალი მომსახურების, კვების ობიექტების ბონუსების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის რეკლამებისა და ფასდაკლებებისაკენ, კულტურის სფეროში წარმატებით ინერგება ბაზრის წესები. ამ დანესებულებათა მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაში ჩამოყალიბდა განვითარების, მარკეტინგის, მეგობართა საზოგადოების, მასპინძლობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები.

## ღირსეული მამულიშვილები

მანია მიქაბერიძე

დღიმიტრი ყიფიანი — 200

# ღიმიტრი ყიფიანის თხზულებათა გამოცემები

(XIX საუკუნის 40-90-იანი წლები)

„დ. ყიფიანი არის ისეთი პირი, რომლის მსგავსი იშვიათია არამც თუ მის დროში, არამედ ჩვენს დროშიაც. იგი განმარტოებული პირია. გამბედაობაში მას ცალი არავინა ჰყავს, მის ღირსებას ცხადად მოწმობენ მისი საქმენი და მაგალითნი. ვიტყვი, რომ მისი ქართველობის სიყვარული არ იყო ლიტონის მსგავსი სიტყვები, იგი არის საქმე, საქმისათვის შრომა და სიყვარული“ — ასე ახასიათებს დღიმიტრი ყიფიანს ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში “ღიმიტრი ყიფიანი”. [3, გვ.7] ეს სიტყვები გადაჭარბებული არ არის, რადგან XIX საუკუნის საქართველოს საზოგადო-

ბრივი ცხოვრების თითქმის ყველა ისტორიული მნიშვნელობის ნამოწეებაში დღიმიტრი ყიფიანი ინიციატორი თუ არა, აქტიური მონაწილე მაინც იყო. იგი იყო მრავალმხრივი მოღვაწე: ლიტერატორი, მთარგმნელი, ენათმეცნიერი, ჟურნალისტი, სახელმწიფო მოხელე, რომელიც თავის თანამდებობრივ მდგომარეობასაც სამშობლოს სამსახურისთვის იყენებდა.

ღიმიტრი ყიფიანს მდიდარი არქივი დარჩა. მრავალფეროვანია მისი ქართულ და რუსულ პრესაში დაბეჭდილი პუბლიკაციები და თარგმანები. შედარ-



ებით მცირეა ცალკეული ბექდური გამოცემები. წინამდებარე სტატიის მიზანი დიმიტრი ყიფიანის სწორედ ამ დამოუკიდებელი ბექდური გამოცემების მიმოხილვაა.

დ. ყიფიანის ნაშრომთა ერთი ნაწილი რუსულ ენაზეა დაწერილი. მას მიაჩნდა, რომ ამით რუს საზოგადოებას უკეთ გააცნობდა საქართველოს ისტორიულ წარსულს, მის რელიგიას, კულტურას. მნიშვნელოვანია დ. ყიფიანის საქართველოს ისტორიის შესახებ დაწერილ ორი სამეცნიერო თხზულება "Несколько мыслей о материалах для истории Грузии" (1854w.) და „О том, о сем и между прочим о сословиях Закавказских“ (1855წ.). ეს ნაშრომები თავდაპირველად იბეჭდებოდა რუსულ პრესაში, შემდეგ კი დამოუკიდებელი გამოცემის სახით გამოვიდა.

"Несколько мыслей о материалах для истории Грузии" საქართველოს ისტორიული წარსულის კომპლექსური გამოკვლევის ერთგვარი ცდაა. ბროშურას წინასიტყვაობის მაგიერ წინ უძღვის ფრაგმენტი დ. ყიფიანის წერილიდან გრაფ ვ.ა. სოლოგუბისადმი. წერილში ნათქვამია, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველო გახდა რუსეთის ისტორიის ნაწილი. საქართველომ 22 საუკუნის მანძილზე გაუძლო მრავალი ძლიერი ქვეყნის შემოტევებს, შეძლო შეენარჩუნებინა თავისუფლება და მართლმადიდებლური სარწმუნოება წარმართულ და მაჰმადიანურ გარემოში.

ავტორის მთავარი სათქმელი ისაა, რომ ისლამის ინტენსიური შემოტევის პირობებში რუსული

საზოგადოებისათვის მეტად საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა საქართველოს ისტორიის მასალების გაცნობა. ამიტომ, იგი ვალდებულად თვლიდა, რომ თავისი მცირეოდენი წვლილი შეეტანა საქართველოს ისტორიის გავრცელების საქმეში.

დასაწყისში ავტორი მიმოიხილავს მარი ბროსეს მიერ საქართველოს ისტორიის შესახებ ფრანგულ ენაზე გამოცემულ ნაშრომს. ბროშურის მომდევნო თავები კი ეთმობა ქართული ენის, ქართული დამწერლობის, ქართული ლიტერატურის, ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი მიმართულებისა და საქართველოს ისტორიის სხვა საკვანძო საკითხებს.

თხზულებაში "О том, о сем и между прочим о сословиях Закавказских" დ. ყიფიანი გამოთქვამს თავის შეხედულებებს საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ. მისი აზრით, მართალია, ფეოდალიზმმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველი ერის ცხოვრებაში მისი ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე, მაგრამ მე-19 საუკუნისათვის ის უკვე დამბარკოლებელი ფაქტორი გახდა. მკვლევარი ს. ხუნდაძე წერს: "დ. ყიფიანი იყო პირველი, რომელმაც პრესაში ნათლად და გარკვევით უარყო საქართველოს ძველი წყობილების ფეოდალური სისტემა, რაიმე სარგებლიანობა ახალ სამოქალაქო პერიოდში და მოითხოვა ამ წყობილებიდან დარჩენილი ნაშთების აღმოფხვრა" [4, გვ.35]

დ. ყიფიანის სამეცნიერო ნაშრომებიდან ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია წიგნი "ახალი ქართული გრამატიკა სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის", რომელიც მან 1882 წელს გამოსცა სანკტ-პეტერბურგში. ასეთი სახელმძღვანელოს გამოცემის აუცილებლობა ქართული სალიტერატურო ენის შესახებ წარმოქმნილმა აზრთა სხვადასხვაობამ განაპირობა. როგორც დიდი მამულიშვილს, დ. ყიფიანს ანუხებდა ქართული ენის მდგომარეობა. იგი არ იყო მწვავე პრობლემების პასიური მეთვალყურე, არამედ უშუალოდ მონაწილეობდა სამეცნიერო პროცესში.

მანამდე არსებული ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოებიდან უმეტესობა მხოლოდ სწორი მეტყველებისა და მართლწერის შესწავლით იფარგლებოდა და მასალად გამოყენებული ჰქონდათ ძველი ქართული სალიტერატურო ენა, რომელიც ძალიან იყო დაშორებული სასაუბრო ენას. ახალი ტიპის გრამატიკის სახელმძღვანელოს შექმნის საკითხი პირველად დასვა ალ. ჯამბაკურ-ორბელიანმა, რომელმაც დიმიტრი ყიფიანი დაასახელა ამ საქმის შემსრულებლად: "უმდაბლესად ვთხოვ ბაქარ ქართლელს [დ. ყიფიანი-მ.მ.] იმან გამოიკვლიოს ქართული წიგნებიდან ყველა, რადგან ზედ მიწვნით იცის ქართული ენა და იმან განიხილოს წერილად... ვსთხოვთ ბაქარ ქართლელს, თუ ოდესმე მოცლა ჰქონდეს ბევრი საქმისაგან, შემოკლებული სწორე ქართული გრამატიკა შეგვიდგინოს საძღე-

ნო ძმებისა და ამით დაგვაჯავლოს ყველანი. თუმცა შრომა დიდი ექნება ამაზე, მაგრამ ჩვენი მაღლობა უფრო უკეთესი!" (6, გვ.103).

საენათმეცნიერო თემაზე დ. ყიფიანს რამდენიმე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. ცნობილია მისი სამეცნიერო პაექრობა დ. ჩუბინაშვილთან ქართული ენის საკითხებზე.

დ. ყიფიანის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო აგებულია იმ პრინციპების მიხედვით, რომელსაც იგი ენის საკითხებში იცავდა. სატიტულო ფურცელზე დაწერილია გრ. ორბელიანის სიტყვები: "რა ენა ნახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას". ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დ. ყიფიანი ქართულ გრამატიკას მხოლოდ სამეცნიერო საკითხად არ აღიქვამდა. იგი, როგორც უფროსი თაობის წარმომადგენელი (მამა), თავს ვალდებულადაც კი თვლიდა, რომ ეზრუნა სახელმძღვანელოს შექმნაზე მომავალი თაობებისათვის. "მამა რომ შეიღებისათვის არც მკურნალად ვარგა და არც მასწავლებლად, ეს კარგად ვიცით, მაგრამ რა გავგეწყობა. სახელმძღვანელო წიგნი რომ არა გვაქვს, ეს უფრო ძნელი ჭირია, მაგრამ ან აქ რა გავგეწყობა. აი, ავიღე კალამი და გინერთ ქართულ გრამატიკას" - წერს დ. ყიფიანი წიგნის შესავალში.

მიუხედავად თავმდაბლური განცხადებისა, სპეციალისტთა შეფასებით, დ. ყიფიანის მიერ შექმნილი "ახალი ქართული ენის გრამატიკა" საუკეთესოა მისი დროის ყველა სახელმძღვანელოსთან შედარებით. "დ. ყიფიანი ამჟღავნებს ენის ფაქიზ ნიუანსებში წვდომის, საკმაოდ რთულ საკითხებში გარკვევის უნარს...დ. ყიფიანის გრამატიკის დონეზე განსაკუთრებით ქართული ზმნის თავისებურ ბუნებაში გარკვევისა და ზმნის კატეგორიების გამოყოფის თვალსაზრისით-ბევრი ძველი გრამატიკოსი ვერ ავიდა. მისი გრამატიკა არის მეცნიერული გრამატიკის ჩანასახი." [1, გვ.90]


დ. ყიფიანმა, გარდა სამეცნიერო ნაშრომებისა, ლიტერატურის სფეროშიც მოსინჯა კალამი. იგი ბაქარ ქართლელის ფსევდონიმით აქვეყნებდა პრესაში თავის პუბლიკაციებს, მათ შორის მხატვრულ ნაწარმოებებსაც. თუმცა მისი ლიტერატურული მცდელობებიდან წიგნის სახით მხოლოდ თარგმანები გამოვიდა.

"დიმიტრი ყიფიანის შემოქმედებითი მოღვაწეობისა და, საერთოდ, XIX საუკუნის ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დიმიტრის დაინტერესება შექსპირის შემოქმედებით, რისი შედეგაცაა გენიალური ინგლისელი დრამატურგის პირველი ქართული თარგმანი." [5, გვ.160]

"რომეო და ჯულიეტა" ჟურნალ "ცისკარში" დაიბეჭდა 1859 წელს, თუმცა ითარგმნა ბევრად ადრე, XIX საუკუნის 40-იან წლებში. მოგვიანებით დ. ყიფიანმა თარგმნა შექსპირის კიდევ რამდენიმე ნაწარმოები და ზოგიერთი გამოაქვეყნა კიდევ

"ცისკარში", მაგრამ შექსპირის მისეული თარგმანები ცალკე წიგნის სახით არ გამოცემულა.

დ. ყიფიანმა მთარგმნელობითი მოღვაწეობა ახალგაზრდული ასაკიდან დაიწყო. იგი თარგმნიდა ჯერ რუსული და შემდეგ კი სხვა ევროპული




ენებიდან. რუსული ენიდან არის თარგმნილი ივან მარკოვის თხზულება "Песнь кавказских воинов", რომელიც 1848 წელს გამოცემულა თბილისში ქართულ და რუსულ ენებზე. ამ თარგმანისა და წიგნის შესახებ ინფორმაცია დაცულია ადოლფ ბერჟეს მიერ გამოცემულ კატალოგში "Краткий каталог тифлисской публичной библиотеки" (1861, გვ. 954, №1034) და გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის დოკუმენტებში [5, გვ.172], თუმცა თვით წიგნი დღეისათვის დაკარგულია.

დიმიტრი ყიფიანმა ქართული ენიდან რუსულად თარგმნა გიორგი ერისთავის კომედია "გაყრა", რომელიც 1850 წელს დაიბეჭდა თბილისში. როგორც ცნობილია, სწორედ ამ ნაწარმოების დადგმით დაიწყო ქართული თეატრის ისტორია. მ. ვორონცოვს, რომელმაც მხარი დაუჭირა თეატრის დაარსების იდეას და თვითონვე ესწრებოდა პირველ წარმოდგენას, დ. ყიფიანისათვის უთხოვია პიესის რუსულად თარგმნა. წიგნს თან ახლავს მთარგმნელის განმარტებები.



1892 წელს ზ. ჭიჭინაძემ გამოსცა დიმიტრი ყიფიანის მიერ თარგმნილი ვიქტორ ჰიუგოს "ოთმოცდაცამეტი წელი". შესავალში მთარგმნელი მოკლედ საუბრობს საფრანგეთის რევოლუციის შესახებ. წიგნში ჰიუგოს ნაწარმოების მხოლოდ რამდენიმე თავია უშუალო თარგმანი, რომელსაც წინ უძღვის რომანის დიდი ნაწილის მოკლე შინაარსი. "ეს



არის შემოკლება თხზულების უმეტესი ნაწილისა. ახლა სიტყვითი-სიტყვად თარგმანს დავადგეთ და, თუ შესაბამისად გადმოლება მოვახერხეთ, თვითონ დიდი ჰიუგოს სიტყვა მოვისმინოთ" - წერდა დ. ყიფიანი შესავალში.

ასევე არასრული თარგმანია ფრანგი მწერლის მადლენ ჟანლისის თხზულება "ზვიმა. ქინაქინის ამბავი", რომელიც 1896 წელს გამოიცა. სათაურის ქვეშ მითითებული აქვს კიდევ შესაბამისი განმარტება - "ჟანლისის თხზულებიდან გამოკრებილი".

დ. ყიფიანი აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა სახის საზოგადოებების საქმიანობაში. დიდა მისი როლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების საქმეში. მან საზოგადოების წარმატებული ფუნქციონირებისათვის სხვა დოკუმენტებთან ერთად,

1880 წელს შეადგინა "საქმის წარმოების რიგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებაში", რომელიც მოგვიანებით, 1894 წელს ცალკე გამოცემის სახით დაიბეჭდა. ბროშურაში პუნქტებად არის ჩამოყალიბებული დოკუმენტების შემოსვლისა და გასავლის აღრიცხვის წესი, საზოგადოების წევრების მოვალეობები, საერთო ყრილობისა და მმართველობის სხდომების ჩატარების ფორმა, წიგნების ვაჭრობის წარმოება და სხვა საკითხები.

დ. ყიფიანის ინტერესები მარტო კულტურულ სფეროს არ მოიცავდა. იგი ერთხანს იყო მ. ვორონცოვის მიერ 1850 წელს დაარსებულ "კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების" საბჭოს წევრი. 1856 წელს საზოგადოების წლიურ სხდომაზე მან გააკეთა ვრცელი მოხსენება - "О путях к достижению цели Общества", რომელშიც ამ საზოგადოების მიზნებზე იყო საუბარი. ეს მოხსენება ერთი წლის შემდეგ უკვე ცალკე ბროშურის სახით დაიბეჭდა.

თბილისში სათავადაზნაურო ბანკის დაარსების საკითხს ეხება 1864 წელს გამოცემული დიმიტრი ყიფიანის 4-გვერდიანი მიმართვა - "ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლისაგან საზოგადოთ თავადაზნაურობის წევრთა მიმართ". მიმართვის ბოლოს წერია: "ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურობის მარშალი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი დიმიტრი ყიფიანი".

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ დ. ყიფიანი თავის წინამძღოლად ანუ მარშლად ორჯერ აირჩია - 1864 და 1867 წლებში. გუბერნიის მარშლის ნოდება საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ დაწესდა და მასზე, როგორც წესი, თავადური წარმოშობის მქონე ყველაზე ცნობილ ადამიანებს ირჩევდნენ. დ. ყიფიანი პირველი იყო, რომელიც აირჩიეს მისი განათლების, შრომისმოყვარეობისა და საქმისადმი პატიოსანი დამოკიდებულების გამო.

თავადაზნაურობის წინამძღოლის არჩევნების დროს საქართველოში ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო ბატონყმობის გაუქმების პროცესი. თავადაზნაურობას სურდა, რომ ისეთ ადამიანს შეესრულებინა წინამძღოლის მოვალეობა, რომელიც მათ ინტერესებს დაიცავდა. თუნდაც, მაგალითად, სახემწიფოსაგან მათთვის მიცემულ ყმების გათავისუფლების საკომპენსაციო თანხის გონივრულად გამოყენებაში დაეხმარებოდა. ამიტომ მიანიჭეს უპირატესობა უტიტულო დ. ყიფიანს, რომელმაც ერთ-ერთ უპირველეს საქმედ სათავადაზნაურო ბანკის დაარსება მიიჩნია [2, გვ. 40]. დ. ყიფიანი განუმარტავს თავადებს ფულის დაბანდების სიკეთეს. იგი შეახსენებს თავადებს, რომ მათივე დაარსებული ბანკი, რომლის ქონების განკარგვის წესებსაც თვითონვე დაადგენდნენ, უფრო ღმობიერი და მოქნილი იქნებოდა მათ მიმართ. ეს კი საშუალებას მისცემდა მათ, რომ თვითონაც

საჭიროებისამებრ გამოყენებინათ და შთამომავლობისთვისაც შემოენახათ ქონება.

თავადების დიდ ნაწილს, რომელიც მიჩვეული იყო ყმების შრომის ხარჯზე ცხოვრებას, გაუჭირდა ახალ რეალობასთან შეგუება. მუდმივი შემოსავლის გარეშე დარჩენილმა თავადებმა დაიწყეს მამულების გაყიდვა-განიავება და საკომპენსაციო თანხის ხარჯვა. ყველაზე რთული ასეთი ადამიანების დარწმუნება და ბანკის დაარსებისათვის საჭირო თანხის გაღების თანხმობის მიღწევა იყო. დ. ყიფიანი მიმართავს წერდა: "ნუ აჩქარდებით უარის სათქმელად, აჩქარება მხოლოდ კეთილის საქმისთვის არის კარგი, - და აქ თუ უარი წარმოვსთქვით, გამოტყეხილი უნდა ვსთქვათ, რომ ისეთი ცუდი საქმე დაგვემართება ყოველთავე, რომ გამოკეთება აღარასდროს არ შეიძლებოდეს". საბოლოოდ, 1875 წელს, სათავადაზნაურო ბანკი მართლაც დაარსდა თბილისში.

დ. ყიფიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი მძიმე ეპიზოდი იყო სამეგრელოს მთავრის ოჯახთან ურთიერთობა მათი მამულების მეურვეობასთან დაკავშირებით. სამთავროს გაუქმებისა და დადიანების ოჯახის რუსეთში წასვლის შემდეგ მათი ქონების მეთვალყურეობა დ. ყიფიანისათვის ხელისუფლებისაგან ძალით თავსმოხვეული მოვალეობა იყო, რომელსაც იგი ჩვეული კეთილსინდისიერებით ასრულებდა. თუმცა, საბოლოოდ, დადიანები უკმაყოფილონი დარჩნენ დ. ყიფიანის საქმიანობით. მათ სასამართლოშიც უჩივლეს დ. ყიფიანს და მოუგეს პროცესი, რის შემდეგაც მას ფულადი ჯარიმის გადახდა მოუწია დადიანების ოჯახისათვის. როგორც ზ. ჭიჭინაძე წერდა, დ. ყიფიანს დაავალეს მისთვის შეუფერებელი საქმე, რომლის რიგიანი გაძღოლა მან ვერ შესძლო ასეთ საქმეში გამოუცდლობისა თუ სხვა ობიექტური მიზეზების გამო.

დ. ყიფიანისათვის შეურაცხმყოფელი და მეტად მტკივნეული იყო დადიანების ოჯახის დამოკიდებულება მის მიმართ. იმისათვის, რომ საკუთარი სიმართლე მიენოებინა საზოგადოებისათვის, დ. ყიფიანმა 1868 წელს ჯერ რუსულ ენაზე, მომდევნო წელს კი ქართულადაც გამოსცა ბროშურები: „*Мингрельский княжеский дом и Димитрий Кипиани*“ და „*სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი*“. ეს არის დადიანების ოჯახთან დ. ყიფიანის იურიდიული (აპეკუნობა) ურთიერთობის ვრცელი ანგარიში, სადაც იგი ემოციურად აღწერს

საქმესთან დაკავშირებულ ვითარებას.

დიმიტრი ყიფიანი, თავისი რთული და საინტერესო ცხოვრებით, საქართველოს ისტორიის განსაკუთრებული მოვლენაა. მისი დამოუკიდებელი ბეჭდური გამოცემები, მართალია, სრულყოფილად არ ასახავს დ. ყიფიანის მოღვაწეობის მთელ სურათს, თუმცა გარკვეულ წარმოდგენას მაინც გვიქმნის ამ დიდი ადამიანის მრავალფეროვან ინტერესთა სფეროების შესახებ.

**დიმიტრი ყიფიანის გამოცემების ქრონოლოგიური სია:**

Марков, И. (Иван). Песнь кавказских воинов / Соч. Ив. Маркова ; С пер. на груз. яз. Дм. Кипиани. – Тифлис, 1848. – 12 с. ; 18см.. – Текст на рус. и груз. яз.

Эристави, Г.Д. Раздел : Комедия в 3 актах : Пер. с груз. [Дмитрия Кипиани] / Соч. кн. Георгия Эристова. – Тифлис, 1850. – [4], 43 с.

Несколько мыслей о материалах для истории Грузии. – Тифлис, 1854. – 36с.

О том, о сем и между прочим о сословиях Закавказских. – Тифлис, 1855. – 51 с. – Перепечатано из газеты “Кавказ” NN 79, 80, 81, 85 и 84

О путях к достижению цели Общества : Чит. в обществ. собр. Кавк. о-ва сел. хоз-ва 27 дек. 1856 г. / [Д. чл. К. О. С. Х., Д. Кипиани]. – [Тифлис, 1857]. – 14 с.

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლისაგან საზოგადოთ თავადაზნაურობის წევრთა მიმართ. – ტფილისი, 1864. – [4]გვ.

Мингрельский княжеский дом и Димитрий Кипиани . – Тифлис, 1868. – 28с.

სამეგრელოს მთავრის სახლი და დიმიტრი ყიფიანი. – [ტფილისი], 1869 – 34გვ.

ახალი ქართული გრამატიკა / სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის დიმიტრი ყიფიანისა. – სანკტპეტერბურლი, 1882. – IV, 193გვ.

ჰიუგო, ვიკტორ . ვიკტორ ჰიუგოს რომანი-დამოთხმაც და ცამეტიდამ / თარგმანი დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანის მიერ. – ტფილისი, 1892. – 50გვ.

საქმის წარმოების რიგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებაში / შედგენილი დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანის მიერ და მიღებული გამგეობისაგან 1880 წელს. – [თბილისი, 1894]. – 15 გვ.

[ყანლისი]. ზვიმა. ქინაქინის ამბავი / (ყანლისის თხზულებიდან გამოკრებილი). დიმ. ივ. ყიფიანის-მიერ. – ქუთაისი, 1896 – 44გვ.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეჟავა, ლ. დიმიტრი ყიფიანის “ახალი ქართული გრამატიკა” / ლ. ლეჟავა // იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. - 1986. - ტ. 25. - გვ.60-90.
2. უთურამვილი, იოსებ. დიმიტრი ყიფიანი / იოსებ უთურამვილი. - თბ. : [საოჯახო ბიბ-კა], 2011. - 212გვ. - (სერია "დიდი ქართველები", ტ. 5).
3. ჭიჭინაძე, ზაქარია. დიმიტრი ყიფიანი : [ცხოვრება და მოღვაწეობა]. - ტფილისი, 1892. - 51გვ. - (სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები).
4. ხუნდაძე, სიმონ. დიმიტრი ყიფიანი : მონოგრაფია. - ტფ. : სახელმწ. უნ-ტის გამომც., 1936.- [3], 269გვ.
5. ჯოლოგუა, თამაზ. დიმიტრი ყიფიანი (1830-1830) / თსუ. - თბ., 2002. - 282გვ.
6. ჯ. ორბელიანი, ალექსანდრე ვახტანგის ძე. ქართული უბნობა ანუ წერა // ცისკარი. - 1860. - 6. - გვ. 90-104.

გურამ თაყნიაშვილი

რაფიელ ერისთავი – 190

## პატრიოტული მოტივები რაფიელ ერისთავის პოეზიაში „ღმერთო, შენ მიეც ქართველებს ღმერთი“

რაფიელ ერისთავის მრავალმხრივ შემოქმედებაში ერთი გამორჩეული ადგილთაგანი უკავია პატრიოტულ თემაზე შექმნილ ლექსებს. მართალია, როგორც მისი შემოქმედების კრიტიკოსები აღნიშნავენ, პოეტის მხატვრული აზროვნების იდეალი მშრომელი ხალხი, გლეხობის ცხოვრების ასახვა იყო, მაგრამ სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე რ. ერისთავმა ყურადღება მიიპყრო როგორც მხურვალე მამულიშვილმა და სამშობლოს სიყვარულით აღვსილმა შემოქმედმა. თავდაპირველად ახალგაზრდა პოეტი რომანტიკოსების ზეგავლენას განიცდიდა. მდაბიო ფენის ყოფაცხოვრების ამსახველ ნაწარმოებებში აშკარად შეიმჩნევა მისი დამოკიდებულება არსებული მდგომარეობისადმი.



მის მიერ დახასიათებული გლეხი წარმოდგენილება როგორც მორჩილი, არსებულთან პასიური დამოკიდებულების მქონე პიროვნება, რომლისათვისაც ძნელი წარმოსადგენია ბრძოლა, წინააღმდეგობა, აქტიური დამოკიდებულება რეალური ყოფის შეცვლისათვის. სამშობლოს სიყვარული, მისი მდგომარეობით გამოწვეული განცდები მაღალი მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული მის მიერ პატრიოტულ თემაზე შექმნილ ლექსებში, სადაც ავტორი სადად, ლაღად, მთელი გრძნობით უმღერის სამშობლოს, იმ დროისათვის რ. ერისთავის პა-

ტრიოტულ სიტყვას, მის მოწოდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა შორის პატრიოტული გრძნობის გაღვივების საქმეში. ამ ლექსების მნიშვნელობა კარგად ესმოდათ იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეებს, იმათ, ვისთვისაც მაღალი იდეალი იყო ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება და ბრძოლა მისი თვითდამკვიდრებისათვის. სწორედ ამ ნიშნით შეაჩნია ი. გოგებაშვილმა რ. ერისთავის რამოდენიმე ლექსი და შეიტანა „დედა ენასა“ და „ღმერთო, შენ მიეც ქართველებს ღმერთი“ საშობლოს სიყვარული, თავისუფლებისადმი ღვაწლი და მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობები გამოხატული იყო ჭაბუკი პოეტის პირველსავე ლექსებში, რომლებმაც მზის სინათლე ჰპოვეს ჟურნალ „ცისკრის“ პირველსავე ნომრებში. საერო სამსახურში მყოფი პოეტი ახლოს იცნობდა ხალხის ცხოვრებას, გლეხების დუხჭირ მდგომარეობას, საზოგადოებაში არსებულ შემდეგულებს ქვეყნის მომავალზე. პოეტი კარგად ხედავდა დიდი ისტორიისა და თავგადასავლების მქონე ქვეყნის სვე-ბედს და ერთი აზრი ამოძრავებდა – ერის სულიერი მთლიანობა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობის გამოხატვა საქმით, მოქმედებით, ბრძოლით, გაბედული აზრებითა და მაღალი მოქალაქეობრივი მრწამსით. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გამოქვეყნებულ მის ლექსებში: „დედა ენა“, „ღმერთო, მაშორე“, „სამშობლო ხევსურისა“, „კაცი ის არის“, პოემა „თამარიანი“ და „ასპინძის ომი“ და სხვა. პოეტურ ნიმუშებში ნათლად იგრძნობა პოეტის პატრიოტული პათოსი, მისი დამოკიდებულება იმ უფაქიზესი გრძნობებისადმი, როგორცაა ქვეყნის სიყვარული. განსაკუთრებული გრძნობით, შემართული სიტყვითა და ღრმად მხატვრული ფორმითაა გადმოცემული სამშობლოს სიყვარული ლექსში „სამშობლო ხევსურისა“. პოეტს უყვარს თავისი ქვეყანა როგორც არის – „თოვლიან-ყინულიანი“, სადაც ორბი ბუდობს და „ჩანჩქერით გადმოჰქუხს ბროლი წყლიანი“, ლექსში პოეტი ადარებს ბარად და მთაში ცხოვრების სურათებს. იგი ესწრაფვის მთაში მშვიდად ყოფნას: „ბარად რომ ვიყო ლაღადა, სული მთისკევე იხარის“, „იქ მიჯობს შავი სიკვდილი; ბარში სიცოცხლევ იმწარის“. პოეტი არ გასცვლის სამშობლოს „უკვდავების ხეზე“. „სამშობლო — დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა“. პოეტს სწამს, რომ „როგორც ერთია უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყნაზედა“. მას ვერ გასცვლის „სხვა ქვეყნის სამოთხეზე“. ეს ლექსი, როგორც მოწოდება, როგორც შეძახილი მაშინდელი და არა მარტო მაშინდელი ქართველებისთვის არის გვირგვინი მისი პატრიოტული გრძნობისა, მისი აზროვნებისა, იმ იდეალებისა, რომლებსაც პოეტი ატარებდა მთელი

თავისი არსებით, სიცოცხლითა და თავგანწირვით. ამ ლექსის შესახებ მოგვიანებით იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ამ ლექსში იხატება ისეთი ძლიერი წრფელი და გატაცებული გრძობა, რომელიც შეჰფერის ოცდაათი წლის ჯეფელს („სამშობლო ხევსურისა“ რომ დაწერა რ. ერისთავი 57 წლისა იყო) უნიჭიერეს მგოსანს, მას აქვს განსაზღვრული და დაბოლოებული წარმოდგენა ქვეყნიერებაზედ... ი. გოგებაშვილის აზრით, რ. ერისთავის ნაწერებს აქვთ ოთხი დიდი ღირებულება: ორიგინალობა, ქართული ცხოვრების ბეჭედი, წმინდა ქართული ენა და შესანიშნავი კილო. ლექსში „ღმერთო მაშორე“ პოეტი არაფერს არ ნატრობს, მისთვის არარაობაა ნივთიერი, მატერიალური, მას არ სურს არც ფული, არც ქონება: „მიყვარს სამშობლო და დედა ენა, ღმერთო, შენ მიეც ქართველებს ლხენა“. პოეტი მხოლოდ შრომაში, სწავლასა და გარჯაში ხედავს ერის განვითარებისა და თვითმყოფადობისაკენ გზის გაკვლევის საშუალებას: „რათა იქმნენ სწავლით სხვის თანასწორე“. ამავე პერიოდში დაწერილ ორ ლექსში „რას ერჩი მავ ბიჭს თათარო“ და „რაზე მიწყრები ყეენო“ პოეტი აღწერს დამარცხებულ ქართველების უტეხ ნებას, მათ თავგანწირვას რწმენის შენარჩუნებისათვის: პოეტი თანაუგრძნობს ძალადობის მსხვერპლს ქართულ ახალგაზრდებს: „რას ერჩი მავ ბიჭს, თათარო, ხომ ხედავ დაკოდილია, მამულისათვის იბრძოდა, რადგან მამულის შვილია“. დამარცხებული ქართული ჭაბუკი სულით არ ეცემა და გვერდ მდგომი. შემართებითა და სიმტკიცით აკვირვებს მტერს:

**„მე რჯულისათვის ვიბრძოდი,  
სხვა რა შემნამე აკია,  
სჯულს არ შევიცვლი, ყეენო  
არ მოკვდეს ჩემი თავია“.**

რჯულის შეცვლისათვის სიმტკიცეში ქართველებს თავს დასცქერის და ამხნევეს წამებულთა უკვდავი სულები:


**„ეგრე იბრძოდნენ ქართველნი,  
მამულისათვის, რჯულისთვის,  
ენამებოდნენ ქრისტესათვის  
თავისუფლების გულისთვის“.**

მამულის სიყვარული ქართველთათვის იგივე რჯულისადმი ერთგულებაა. ბრძოლაში დაცემული მემორი ხელიდან არ აგდებდა წმინდა ჯვარს. უფრო მოგვიანებით დაწერილ ლექსში „კაცი ის არის“ (1886) პოეტი აყალიბებს თავის შეხედულებებს ქართველი კაცის ბუნების, მისი ხასიათისა და ზნეობის შესახებ. მისი აზრით, „კაცი ის არის, ვინც მისდევს, დიდი მოძღვრისა მცნებასა, ვინც მოძმეს გულსა გაუხსნის, თავს აუცილებს ვნებასა“. კაცი ის არის, ვინც იბრძვის ერისათვის, ვინც თავის წილ

ვალდებულებას ღირსეულად იხდის სამშობლოს წინაშე, ვინც ერს გამოადგება შვილადა. პოეტისათვის უცხოა ისეთი ვნებები, როგორცაა მიდრეკილება მომხვეჭელობისადმი, მას ღირსეულ კაცად მიაჩნია ის, ვისაც „ვერ დასძლევს მტრის ოქრო და ვერც მისი მკაცრი ბრძანება: „ვინც დასთხვეს მისთვის წმინდა სისხლს და მოწამეს დაემგვანება“. პატრიოტულ თემაზეა შექმნილი პოემა „ასპინძის ომი“. (1880) მართალია, პოემა არ გამოირჩევა მაღალი მხატვრული ოსტატებით, მაგრამ პათოსი, ლეიტმოტივი, რომელიც ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე გასდევს, ნათლად მეტყველებს რ. ერისთავის დამოკიდებულებაზე ქართველთა სულიერი სიმტკიცისადმი, პოემაში საომარი სცენების პარალელურად პოეტი ამაღლებული, პატრიოტული პათოსით წერს ქართველთა გონიერებასა და მობილიზებულობის შესახებ, რომლის წყალობითაც მცირერიცხოვანმა ჯარმა სასტიკად დაამარცხა მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი. პოემის შესავალში პოეტი ეძებს სამოთხეს, ედემს, სად არ იარა, ქვეყნის რომელ მხარეს და ყველგან ნახა „გადახრუკული ქედები“, მერე მხარი იცვალა ჩრდილოეთისაკენ და ნახა სამოთხე, შეხედა „სანატრელ ნეტარებას“, ნალკოტად გადაჭიმულ არე-მარეს. ეს საქართველო ყოფილა, „ჭხვედრია ღმერთისა დედასა“. აქ ვაჟკაცებს ცალ ხელში ჯვარი აქვთ და მეორეში ხმალი, სწორედ ამ ქვეყანაში მეფობდა ირაკლი „გულადი, შეუპოვარი“. იყო მხნე, დაუღალავი, ხმალზედ ეკიდა მას ხელი, იყო ქვრივ-ობოლების მფარველი და „მით ისახელა სახელი“. ასპინძის ომში ერეკლე განბილებულია ტოტლებენის ღალატით, მაგრამ ამ ფაქტმა ვერ გატეხა ქართველთა შემართება, საბრძოლო სულისკვეთება. მათ წინ უძღვის მეფე გონიერი და ქვეყნის დამცველი ხმლითა და მართალი სიტყვით, რწმენისადმი ერთგულებით აღვსილი. იგი მიმართავს თავის ჯარს: „მეც თქვენში ვარ, თოფი მკარით, თუ სისუსტე შემამჩნიოთ“. როგორც აღინიშნა, პოემა არ გამოირჩევა მაღალმხატვრული დონით, მაგრამ პოეტის ჩანაფიქრი, იდეალი სწორედ ქართველთა პატრიოტულ სულისკვეთებაზეა გამახვილებული.

რაფიელ ერისთავი თითქმის სამოცი წლის განმავლობაში ემსახურება ქვეყანას, ქართულ მწერლობას. „იგი არ წარმოგვიდგება როგორც მებაირახრტე მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ მეტად ნიჭიერი და კარგი მხარის გამწევი იყო“ – (კიტა აბაშიძე). იგი იმთავიდანვე რეალობის გზაზე იდგა. რეალური სურათების ასახვით პოეტი ახლოს მივიდა საზოგადოების სულიერ განწყობასთან, შესძინა რა მას პატრიოტული სულისკვეთება და ამაღლებული იდეალებისადმი ერთგულების გრძნობა.

პოეტის იუბილე, რომელიც ქართველმა ინტელიგენციამ გაუმართა 1895 წელს, გადაიტყა სრულიად საქართველოს სახალხო ზეიმად. იუბილეზე ერთ-



თბილისი 1991

გვარად შეაჯამეს მსცოვანი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედება, მისი თავდაუზოგავი შრომა და ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვეს მისი პატრიოტული სულისკვეთებით დანერგილი ლექსების დანიშნულებას მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის გარდა პოეტს მიესალმნენ არქიმანდრიტი ლეონიდე, ივანე მანაბელი, ეკატერინე გაბაშვილი, კარლოს ჩხეიძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, მოსე ჯანაშვილი და სხვები. აღინიშნა, რომ პოეტის პატრიოტულმა ლექსებმა ღრმად გაიდგეს ფესვი ქართველი მოზარდების გულებში. ახალგაზრდობის სახელით პოეტს მიესალმა 17 წლის სემინარიელი იოსებ ჯულაშვილი. მან ლექსი მიუძღვნა რაფიელ ერისთავს. ლექსის ავტორი დარწმუნებულია, რომ ქართველი ხალხი მას ციურ ძეგლს დუდგამს: „მოიმკე წმიდა მსცოვანო, რაც სიყვრით დაგიტესია“. საიუბილეო საღამოზე გამომსვლელმა სიტყვები, მისალმებები, ლექსები და ყველა სახის მასალა, მათ შორის ი. ჯულაშვილის ეს ლექსიც შესულია საიუბილეო კრებულში, რომელიც გამოიცა 1899 წელს.

რ. ერისთავის პატრიოტულ ლირიკას არ დაუკარგავს თავისი ღირსება და წმინდა დანიშნულება, მიუხედავად ჟამთა სრბოლისა და ისტორიული ქართველებისა. მისი „სამშობლო ხევსურისა“ თავისი არსით, პათოსით, ღრმად პატრიოტულ სულისკვეთებით დღესაც იმავე გრძნობით აღავსებს ჭეშმარიტი ქართველის გულს.

**რაფიელ ერისთავის თხზულებათა ძირითადი გამოცემები**

1. რჩეული ლექსები - თბ., 1929 74 გვ.
2. თხზულებანი 4 ტომად - თბ., 1935-1938.
3. რჩეული ლექსები და იგავები თბ., 1940- 167 გვ.
4. ლექსთა კრებული. თბ., 1949 - 256 გვ.
5. მოკლე ქართულ-რუსულ - ლათინური ლექსიკონი თბ., 1884-167 გვ.
6. რჩეული თხზულებანი: ერთტომეული - თბ., 1958 - 483 გვ.
7. ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები. - თბ., 1986 - 250 გვ.
8. ლექსები - თბ., 2010-198 გვ.

**ლილი გორდელაძე**

**თავდადებული მამულიშვილი**

მოსე ჯანაშვილს ბავშვობიდანვე დაჰყვა შრომისმოყვარეობა, თავმდაბლობა და მამულის სიყვარული. მეცნიერული კვლევისადმი ინტერესი მან ადრეულ ასაკში გამოავლინა. ყოველმხრივ განსწავლულმა ახალგაზრდამ დიდი ინტერესი გამოავლინა საქართველოს ისტორიის, ქართული ენათმეცნიერებისა და ქართული ფოლკლორის შესწავლის თვალსაზრისით. თავისი ცხოვრების თითქმის რვა ათეული წლიდან მოსე ჯანაშვილმა 60 წელი სამეცნიერო კვლევა-ძიებას შეაღია, დატოვა მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა: 1070-მდე ნაშრომი, რომელთაგან 71 წიგნადაა გამოცემული, გამოუქვეყნებელი ნაშრომების რაოდენობა შეადგენს 300-ზე მეტს. მისი ფუნდამენტალური ნაშრომებიდან შეიძლება დავასახელოთ „ქართული

ლექსიკონი“, „პეტრინის ლექსიკონი“, „ქართველები და ქართველური ენა“, „ქართული სიტყვანი“, „ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონი“. ეს და სხვა ნაშრომები მეცნიერული სიღრმით აშუქებენ ქართული ერის ისტორიას, ქართული ენის საკვანძო საკითხებს. ფასდაუდებელია მისი ნაშრომები ქართული ეთნოგრაფიისა და ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში. მისი ძირითადი ნაშრომები თარგმნილია, რუსულ, გერმანულ და ლათინურ ენებზე. მოსე ჯანაშვილი 45 წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი, როგორც პიროვნება და მამულიშვილი, მისაბადი იყო ყოველმხრივ - ადამიანური ღირსებით, მამულიშვილობით, სათნოებითა და თავმდაბლობით. მოსე ჯანაშვილი პატივს სცემდა ისეთი მწერლების გა-





მოჩენას, რომლებიც ცდილობდნენ „ჩვენი წარსული, ჩვენი ისტორია თვალწინ გაგვიტარონ, რადგან დროა გამოირკვეს ჩვენი წყვილიადით მოცული წარსული, დროა ვიცოდეთ, ვინ ვიყავით, ჩვენ ქართველნი წინა დროისა“ ქართველმა მეცნიერებმა და მათ შორის მოსე ჯანაშვილმა საკადრისი პასუხი გასცეს საქართველოს ისტორიის გამყალბებებს. „ვერ გავზომავთ ვერც სიღრმეს და ვერც სიგანეს წარსულის შეუსწავლელად არამც თუ ეხლანდელის ჩვენის მდგომარეობისას ვერ გავიგებთ, არამედ მომავლის შესახებაც უსინათლოებით ვიქნებით“ – წერდა ახალგაზრდა მეცნიერი. მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედში, როდესაც მოსე ჯანაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა. საქართველოში არ არსებობდა ისტორიის შემსწავლელი რაიმე სახის საზოგადოება. ამის შესახებ გულისტკივილით წერდა მოსე ჯანაშვილი გაზეთ „დროებში“. წერილის საპასუხოდ პეტრე უმიკაშვილმა გამოაქვეყნა „მცირე შენიშვნა“ „შინაურ ქრონიკაში“, სადაც იგი წერდა: „ქართული კულტურის ახლანდელი ცხოვრება გადაბმულია გუმინდელზე, მისი დღევანდელი კულტურაც უნდა აღმოცენდეს წარსულის კულტურაზე“, ერთი მეორეს ასაზრდოებს და ვისაც სწადია ემსახუროს ხალხს, მან მაგრად უნდა ჩასჭიდოს ხელი წარსული ცხოვრების კულტურას“, სწორედ ამ დროს გამოსცა მოსე ჯანაშვილმა „საქართველოს ისტორიის“ პოპულარული სახელმძღვანელო. ამ წიგნით დაიწყო სკო-

ლებში საქართველოს ისტორიის სწავლება. წიგნის გამოცემას 1895 წელს ჟურნალ „კვალის“ ფურცლებიდან მიესალმა გიორგი წერეთელი, იგი წერდა: „ჩვენ მივიღეთ ჩინებული გამოცემა, ახლად შევსებული და შემუშავებული „საქართველოს ისტორია“ მ. ჯანაშვილისა, ეს პირველი წიგნია, რომელსაც მისწრაფებით უნდა საჭირობდეს ყოველი ქართველი და მუდამ ხელში ეჭიროს, ლოცვანივით“. საქართველოს ისტორიის მონათესავე დისციპლინათა შორის მოსე ჯანაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული ენათმეცნიერების საკითხებს, ამის შესახებ იგი წერდა: „ქართველი ერის უძველესი ისტორია — მათიანეებში კი არ შენახულა, რამდენადაც ენაშია დაცული“. 1906 წელს მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა „ქართული გრამატიკა“, სადაც განხილულია ეტიმოლოგია მეგრულ-სვანური ნიმუშებითურთ, სინტაქსი და ლექსთა წყობა. მისი კალამი შეეხო ასევე ქართული ენის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა გრამატიკა, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, ეტიმოლოგია და სხვა პრობლემები. ამის თაობაზე იგი წერდა: „გრამატიკაში ჩვენ შევიტანეთ იმდენი და ისეთი მასალა, რომელიც ქართველს მისცემს შეძლებას შეისწავლოს თავისი ღვიძლი, სრულიად საქართველოს ენა“. აღნიშნულმა სახელმძღვანელომ მაშინათვე მიიქცია ქართველი ინტელიგენციის ყურადღება. ლ. ბოცვაძე, ი. აბულაძე და ალ. ხახანაშვილი წიგნის ღირსებად მიიჩნევდნენ ქართული ენის შედარებითი დახასიათების საკითხებს. მ. ჯანაშვილი ასევე დიდ ყურადღებას იჩენდა ქართული ლექსიკოლოგიის საკითხებისადმი. მისი აზრით ს.-ს. ორბელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონები ვერ აკმაყოფილებდნენ საზოგადოების ფართო ფენების მოთხოვნებს. 1895 წელს გაზეთ „ივერიაში“ მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა სტატია „ქართველები და ქართული ენა“, სადაც იგი წერს ქართული ენის სიმდიდრის შესახებ და სინანულს გამოსქვამს იმის გამო, რომ ქართველები არ ვფიქრობთ შევისწავლოთ, გამოვამზიუროთ ჩვენი ენის ლექსიკური საუნჯე“. მ.ჯ. ანაშვილმა იმავე დროს სათავე დაუდო ქართული ლექსიკოლოგიის შესწავლის საკითხებს. ცნობილია მისი ნაშრომი „ფარსადან გორგიჯანიძე და მისი შრომანი“, რომელიც 1896 წელს გამოგვეყენა. ამ ნაშრომში მოცემულია 800 ინგილოური სიტყვის განმარტება. 1913 წელს „ძველი საქართველო“-ს მე-2 ტომში გამოქვეყნდა მისი შრომა „საინგილო“. ამ ნაშრომს ვრცელი რეცენზია მიუძღვნა აკაკი შანიძემ. ქართული ენის შესახებ მ. ჯანაშვილის ნაშრომებსა და რეცენზიებს წითელ ზოლად გასდევს ქართველურ ენათა ერთობლიობის იდეა. ამის საილუსტრაციოდ იგი წერდა: „ქართულ ენა ჩვენი ძირითადია. „ქართულ ენათ ჩვენ მიგვაჩინა ჯამი იმ სიტყვების და სამეტყველო საუნჯისა, რომელიც დროთა განმავლობაში შეუქმნია და შეუმუშავებია არა ქართულს, ან კახელს, არა იმერელს ან მესხს, არა სვანს, ან მეგრელს, არა აჭარაკ-

ლარჯელს, ან ჭანს, არამედ მთელ ქართველობას, ქართველთა გვარტომს“. ქართულ მწერლობიდან მ. ჯანაშვილმა ჭავჭავაძეს მიუძღვნა ვრცელი წერილი 1907 წელს. მ. ჯანაშვილმა დიდი ამაგი დასდო „საეკლესიო მშუზეუმების“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ და „საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წიგნსაცავების გამდიდრებას ხელნაწერებითა და სხვა სახის პუბლიციების შეგროვება-დაცვის თვალსაზრისით. აქ შენახულ თითოეულ ნივთს თუ სხვა სახის სულიერ საგანძურს მ. ჯანაშვილი „ქართველთა მილიონებს“ უწოდებდა. მ. ჯანაშვილმა სისტემაში მოიყვანა თედო ჟორდანიას მიერ შედგენილი კატალოგი, რომელიც 2 ტომად გამოიცა 1902 წელს. მე-3 ტომი გამოსცა მ. ჯანაშვილმა 1908 წელს. მასში აღწერილი იყო 240 ხელნაწერი. მან გამოსცა ცალკეული თავები „შატბერდის კრებულისა“, გიორგი მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი „სვინაქსარიდან“ ამოკრებილი ცნობები ქართველთა მეზობელ ხალხებში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი აპოკრიფული „ცხოვრება იოანე ღვთისმეტყველისა“. „წმინდა ნინოსა და ანდრია მოციქულის მიმოსვლა“. მანვე გამოსცა იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრება, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა, გიორგი მთაწმინდელისა, აბდულმესიანი იოანე შავთელსა და სხვა ნაშრომებს. მის კალამს ეკუთვნის ასევე ქართული მწერლობის ისტორიის გამოკვლევები მე-9 -12 საუკუნეების პერიოდისა. მან შექმნა მეცნიერული ხასიათის ვრცელი გამოკვლევა „История Грузинской церкви“. მ. ჯანაშვილი იკვლევდა ქართული ბიბლიის საკითხებს. გამოსცა „მეტეხის სახარება“, „ურბნისის სახარება“ და სხვა ნაწილები. ქართული ბიბლიის კვლევის საკითხებს მიუძღვნა არა ერთი და ორი წერილი ახალი ნუსხების შესახებ, რომლებიც მეცნიერებაში შევიდა როგორც ჯანაშვილისეული. ქართული მწერლობის ისტორიიდან მ. ჯანაშვილის

კალამს ეკუთვნის აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ხასიათის ნაშრომები, ქართულ ჰიმნოგრაფიას მან მიუძღვნა ნაშრომი „საუნჯე მეათე საუკუნისა“. ქართული მწერლობიდან მისი კვლევის საგანი იყო ისეთი თხზულებები, როგორებიცაა სარგის თმოგველის „დილარიანი“, მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანი“, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და სხვ. 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ გამოქვეყნდა წერილების სერია ქართული მწერლობის შესახებ.

ქართული ფოლკლორის საკითხებს მ. ჯანაშვილმა მიუძღვნა არა ერთი და ორი წერილი გაზეთებში „ივერია“, „დროება“, სახალხო ფურცელი“.

1889 წელს მ. ჯანაშვილი დაინიშნა გაზეთ „მეურნის“ რედაქტორად, სადაც მან გამოაქვეყნა უამრავი ნარკვევი სოფლის მეურნეობისა და მემცენარეობის საკითხებზე.

მ. ჯანაშვილის ცხოვრება, მისი მრავალმხრივი შემოქმედება ნათელი მაგალითია ქვეყნის მამულიშვილობისა. მან თავისი დაუღალავი შრომით, ინტელექტუალური ძალებით დაამტკიცა სამშობლოსადმი სიყვარული და ერთგულება. მომავალ, 2015 წელს სრულიად საქართველოში აღინიშნება მ. ჯანაშვილის დაბადებიდან 160 წლისთავი.

#### მ. ჯანაშვილის ნაშრომების უმთავრესი გამოცემები:

1. გიორგი სააკაძე და მისი დრო – თბ., 1914;
2. თამარ მეფე – თბ., 1917;
3. მესხეთი – თბ., 1915;
4. პოეტთა აკადემია საქართველოში – თბ., 1932;
5. ჟამი ძიებისა და განსჯისა – თბ., 2000;
6. საინგილო – თბ., 1910;
7. საქართველოს ისტორია – თბ., 1906;
8. ქართული გრამატიკა – თბ., 1906;
9. ქართული მწერლობა – თბ., 1900;
10. საქართველოს საეკლესიო ისტორია – თბ., 1880;
11. შოთა რუსთაველი – თბ. 1896
12. მოსე ჯანაშვილი – ბიობიბლიოგრაფია – თბ., 2000.

#### ნუნუ ჭილალიძე

გოდერძი ჩოხელი — 60

## ასეთი მინდა მახსოვდეს

გოდერძი ჩოხელი – წელს 60-ის გახდებოდა, მან კი 7 წლის წინ დატოვა ცოდვითა და ტკივილით სავსე სამყარო და, იმედი მაქვს, ისეთს შეაფარა თავი, სადაც ამქვეყნიური სიმძიმისგან თავისუფალია. გოდერძიმ მხოლოდ 53 წელი იცოცხლა – სამწუხაროა მისი ახლობლებისთვის, ყველასთვის, ვინც მისი შემოქმედების დამფასებელია. სამწუხაროა გოდერძის სიკვდილი, მაგრამ უფრო სამწუხაროა ის მტანჯველი განცდა, რომელსაც მას ბოლო წლების მოვლენები აყენებდა.

„... შეილმკვდარი მამასავით განიცდიდა თითოეული ადამიანის დაღუპვას. ეგ კი არა, გეგონებოდა, თითქოს, თვითონ გოდერძის კლავდ-

ნენ...“ – წერს გოდერძის მეუღლე ქალბატონი ნინო. (იხ. ნ. ზედელაშვილი, ნაწილიანი, თბ. 2012. გვ. 386).

„... გოდერძი ქართველთა ნებისმიერ დაპირისპირებას მწვავედ განიცდიდა და 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებმა მასზე საშინლად იმოქმედა. ღამეები არ ეძინა...“ ესეც ქალბატონი ნინოს სიტყვებია. (იხ. იქვე, გვ. 391) და გოდერძი 16 ნოემბრის ღამეს გარდაიცვალა... მას კი სიცოცხლე და საყვარელი საქმის კეთება სურდა, ახალი ფილმების გადაღება უნდოდა.

„... მინდა კიდევ დიდხანს ვიცოცხლო, ოღონდ აზრიანად, საქმიანად და არა ისე, როგორც ამჟამად, როცა ყველა გზა ჩაკეტილია“ – წერდა გოდერძი

2000 წლის იანვარში. (იხ. იქვე, გვ. 10).

დიდხანს სიცოცხლე არ გამოვიდა, მაგრამ აზრიანად კი ნამდვილად იცხოვრა – ადრე წავიდა, მაგრამ დატოვა შესანიშნავი ლიტერატურული და კინომატოგრაფიული მემკვიდრეობა.

გოდერძი ჩოხელზე, მის შემოქმედებაზე ბევრი დაინერა, ალბათ, კიდევ დაინერება. დღეს გოდერძის თითქმის მთელი საქართველო იცნობს. მისი სევდიანი ამბავი ბევრს სმენია. მე კი მინდა, გოდერძი სრულიად სხვანაირი გავიხსენო, ისეთი, როგორც მე მახსოვს. მის შესახებ პირველად გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს გავიგე.

მაშინ შორს იყო შემდგომში მოსახდენი. წყნარად ვცხოვრობდით. მთარვობა პარტიის გადაწყვეტილებების თანახმად ხალხის თავისუფალი დროის შინაარსიანად ორგანიზებაზე „ზრუნავდა“....

მთელ საქართველოში უამრავი თვითშემოქმედებითი კოლექტივი მუშაობდა, მათ შორის ბევრი სახალხო თეატრი იყო, რომელთა შემოქმედებითი დონის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ფესტივალებსა და დათვალიერებებს ვაწყობდით (ასეთი იყო ჩემი მაშინდელი სამსახური).

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება ქუთაისსა და ტყიბულში იყო დაგეგმილი. ჩემი უშუალო შეფისა და შემდგომში ჩემი უფროსი მეგობრის ქალბატონ ელენე ერქომაიშვილის შემწეობითა და გამოისობით აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა უნდა მიეღო იაკობ ტრიპოლსკის – ყველასათვის ცნობილსა და საყვარელ მსახიობს. მე და ქალბატონი ელენე ადრე ჩავედით და საღამოს ველოდით ბატონ იაკობს... ის კი დანიშნულ დროზე ადრე ჩამოვიდა. თან ორი ყმაწვილი ახლდა. – ბიჭები საქმეზე მოდიოდნენ და მეც წამოვყევით – გვითხრა და გაგვაცნო – ეს ჩემი ვაჟია – ირაკლი, ეს კი ჩემი ახლო ნათესავი – გოდერძი ჩოხელი. ახალგაზრდები რამდენიმე წუთში წავიდნენ. ღონისძიების დაწყებამდე ორიოდე საათი რჩებოდა და ჩვენ საუბრით შევიქცით თავი, უფრო სწორად, ქალბატონი ელენე და ბატონი იაკობი საუბრობდნენ, მე კი განაბული ვუსმენდი. ისინი იხსენებდნენ თეატრის ამბებს, რაც ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო. არანაკლებ საინტერესო გამოდგა ბატონ იაკობის ნათქვამი გოდერძი ჩოხელთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ციტირება არ შემიძლია, მაგრამ მახსოვს, როგორი გაბრწყინებული სახით ლაპარაკობდა ჩოხიდან ჩამოსულ ბიჭზე, რომელმაც ყოველგვარი მომზადების გარეშე თავისი არაჩვეულებრივი ნიჭის წყალობით შეძლო, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გამხდარიყო. ბატონი იაკობი ამბობდა, რომ გოდერძი არაჩვეულებრივ მოთხრობებს წერდა, რომ ის აღ-



ფრთოვანებული იყო მისი წარმოსახვის უნართა და წერის მანერით.

გავიდა ხანი და ერთ დღეს ჩემი უახლოესი მეგობარი ბორენა (დოდო) ჯაჭვლიანი მეუბნება – ისეთი ნიჭიერი ბიჭი გამოჩნდა, გაგიჟდები, როგორ წერსო და მოაყოლა ამ ბიჭის ქება–დიდება. დოდო აღფრთოვანებული ლაპარაკობდა. ის თვითონ შესანიშნავი პოეტი იყო, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება ჰქონდა, იშვიათად აქებდა ვინმეს და თუ აქებდა, ამას წყალი არ გაუვიდოდა. დოდოს ნათქვამიდან ზოგი რამ მენიშნა და ვკითხე, შენ გოდერძი ჩოხელზე ხომ არ ლაპარაკობ–მეთქი. გაოცდა, შენ საიდან იციო? (სამწუხაროდ, დოდოც ძალიან ადრე წავიდა ჩვენგან).

როცა გოდერძი თითქმის ნახევარმა საქართველომ გაიცნო, როცა ის უკვე ცნობილი მწერალი და რეჟისორი გახდა, მეორედ მქონდა მასთან შეხვედრის ბედნიერება.

არ მახსოვს, რომელი წელი იყო. სტუმრად მივედი დოდოსთან „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში. ცოტა ხანში გოდერძი ჩოხელმაც შემოიარა; საქმე არ ჰქონდა, უბრალოდ, მეგობრების სანახავად მოვიდა. ათას რამეზე იყო საუბარი. გოდერძი ძალიან კარგ გუნებაზე იყო, მისი თვალებიდან სითბო იღვრებოდა, თითქოს ნაპერწკლები ცვიოდა, რაღაც საოცრად ხალისიანი იყო. ყვებოდა ამბებს სახალისოსა და სასაცილოს. ერთი შეხედვით, უმნიშვნელო წვრილმანებს ისეთი იუმორით ყვებოდა, ისე სასაცილო ელფერს აძლევდა, ისე კარგად ბაძავდა მისთვის ახლობელ ადამიანებს, ისეთ კომიკურ ამბებს იხსენებდა კინოსტუდიის ცხოვრებიდან, რომ ჩვენ მთელი გულისწინადად ვიცინოდით. ეს პატარა მონოსპექტაკლი იყო, რომელმაც სრულიად სხვანაირი გოდერძი ჩოხელი გამაცნო და რომელიც დღემდე ასეთი მახსოვს. ასეთი მინდა მახსოვდეს ყოველთვის – ლაღი, მოცინარი, თვალეში პატარა ემპაკუნებით, თითქოს ყველა ნუხილისაგან თავისუფალი, უბრალოდ, ძალიან საყვარელი ადამიანი.

# უმობრუნება ღიბნიერებისაკენ

## წერილი 2

როგორც წინა ნომერში აღვნიშნავდით, საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებში მასობრივი ღონისძიებები ტარდება მთელი წლის განმავლობაში.

კვირეულის დღეებში, აპრილის ბოლო კვირას,



72-ე საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეები

საჯარო ბიბლიოთეკებში იმართება საჩვენებელი ღონისძიებები. ამ დროს მკითხველთა ფართო წრისათვის ეწყობა შეხვედრები, კონფერენციები, ახალი წიგნების წარდგენა, ვიქტორინა – კონკურსები და ა. შ. თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში მოქმედი ლიტერატურული სალონი „საგულისონი“ (ხელმძღვანელი ც. ქორჩიაშვილი) სისტემატურად ატარებს შეხვედრებს პოეტებთან, მწერლებთან, გამორჩენილ ადამიანებთან და ა. შ. ამჯერად სალონი მასპინძლობდა ქართველ პოეტს თემურ ჩალაბაშვილს და მხატვარს ოთარ ფანასკერტელ-ციციშვილს.



კლასის დამრიგებელი  
მ. დვალიშვილი

პოზიტივით ალექსანდრე ბასილაიამ შექმნა ორი სიმღერა. შეხვედრაზე თ. ჩალაბაშვილის ლექსები წაიკითხეს ბიბლიოთეკის მკითხველებმა. მხატვარმა ოთარ ფანასკერტელ-ციციშვილმა დამსწრეთ გააცნო მისი მოთხრობა, რომელიც ინგლისელ მწერლის ალან სილიტოუს შთაგონებითაა

დაწერილი. ღონისძიების შესახებ მასალები მოგვანოდა ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ მთავარმა სპეციალისტმა ნ. ყიფიანმა.


თბილისის საჯარო ბიბლიოთეკების დიდ ნაწილს ახლო ურთიერთობა აქვს საჯარო სკოლებთან. სკოლის ბიბლიოთეკასთან ერთად ატარებენ მასობრივ ღონისძიებებს, სწავლობენ და აანალიზებენ მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვას საკითხებს. ამ მხრივ კვირეულის პროგრამით კომპლექსური ღონისძიება ჩაატარა თბილისის 21-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ (გამგე ზ. ზაქარიაშვილი). ბიბლიოთეკის საქმიანი ურთიერთობა აკავშირებს 72-ე საჯარო სკოლასთან (დირექტორი მ. კიკაჩიშვილი), ბიბლიოთეკამ ინდივიდუალურად იმუშავა ამ სკოლის მე-4 კლასთან (დამრიგებელი მ. დვალიშვილი)... სკოლაში სწავლობენ სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები, ამან განაპირობა მოსწავლეებთან ინდივიდუალური

მუშაობის აუცილებლობა. საანბანო პერიოდის დასრულების შემდეგ მოსწავლეები დიდი ინტერესით კითხულობდნენ ქართულ ხალხურ ზღაპრებს. მეორე ეტაპი მათი კითხვის მართვისა დაეთმო სათავგადასავლო ლიტერატურის კითხვას, ქართველი მწერლების ნ. დუმბაძის, რ. ინანიშვილის, ო. იოსელიანის და სხვათა ნაწარმოებების გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა მათთან კითხვის პროგრამის შინაარსი. საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ბიბლიოთეკარები მოდიოდნენ ორ კვირაში ერთხელ, მიჰქონდათ ახალი წიგნები. მე-4 კლასის მოსწავლეებმა ბიბლიოთეკარებს დახმარებით აქტიური მონაწილეობა მიიღეს სკოლაში მიმდინარე ისტორიის კვირეულში, რომელიც მიეძღვნა დავით აღმაშენებლის ეპოქის შესწავლას. ამასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკამ სკოლასთან ერთად ჩაატარა ერთობლივი ღონისძიება „ძლევაი საკვირველი“. მოსწავლეებმა წაიკითხეს დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ლექსები, გამოუშვეს კედლის გაზეთი. სიტყვებით გამოვიდნენ ბიბლიოთეკის გამგე ზ. ზაქარიაშვილი, კლასის დამრიგებელი და სკოლის დირექტორი. ბიბლიოთეკისა და მე-4 კლასის ურთიერთობის შესახებ თავიანთი შთაბეჭდილებები წერილობით ჩამოაყალიბეს მოსწავლეებმა: ონისე თიმიქიამ, საბა ხაბეიშვილმა და ნინო სიღამონიძემ. მათ მაღლობის სიტყვები არ დაიშურეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებისადმი, რომლებმაც შეაყვარეს წიგნი, ბიბლიოთეკა.

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარებული ღონისძიებების დიდი ნაწილი მიეძღვნა ქართული ენის, მამულისა და სარწმუნოების საკითხებს.



ამ მხრივ საინტერესო იყო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის კვალითის სასოფლო განყოფილებაში ჩატარებული ღონისძიება. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის მკითხველები, კვალითის საჯარო სკოლის მოსწავლეები, საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. ღონისძიებაზე სოფელ კვალითისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს ა. და ზ. არაბიძემ, გ. ხუსკივაძემ და სხვებმა. ლექსის ავტორია ბიბლიოთეკის წამყვანი



სპეციალისტი მ. კაპანაძე. თემატურ საღამოს უძღვებოდნენ კვალითის საჯარო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები ი. ხუსკივაძე და გ. ედიბერიძე. აფხაზეთის ომში დაღუპულის ხ. ჯულუხაძის ხსოვნას მიუძღვნა ლექსი მ. კაპანაძემ. ქართული ენის სინმინდესა და მის დაცვას მიეძღვნა კვალითის საჯარო სკოლის მოსწავლის მ. შენგელიას მიერ წაკითხული ლექსი „სანამ ჩვენ ენაზე ვლაპარაკობთ“. ღონისძიებაზე გაიხსენეს და მხატვრული ნომრები მიუძღვნეს ქართველ მამულიშვილებს, გმირებს, მონამეობრივი სიკვდილით დასჯილ ქართულ წმინდანებს.

სამტრედიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ლ. დუნდუა) კვირეულის დღეებში გაიმართა პოეტების ლ. ბიბიჩაძისა და ა. ჯალაღონიას

პირველი პოეტური კრებული „ადამიანი დამეკარგა ადამიანში“ წარდგენა. ღონისძიება ეძღვნებოდა ქართული ენის დაცვისა და მოვლა-პატრონობის თემატიკას. ქართული ენის შესახებ ვრცლად ისაუბრა ადგილობრივი გაზეთის „მაცნეს“ პასუხისმგებელმა მდივანმა ყურნალისტმა ლ. ვაბეჩავამ. წარმოდგენილი პოეტური კრებულიდან ლექსები წაიკითხეს ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველმა: ქ. აბრამიშვილმა, მ. ჩხაიძემ, ს. ჩაჩუამ, ქ. ივანაიძემ, შ. პაპავამ და სხვებმა, პოეტებს მიესალმნენ პედაგოგი თ. რაზმაძე, პოეტი თ. ჯულაყიძე, მუნიციპალიტეტის გამგებელი ა. თაღუმაძე, ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მ. ჩხლაძე, კულტურის სამსახურის თანამშრომელი ე. კიკაჩიშვილი და სხვები.

ლაგოდეხის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ლ. ხაჩიძე) ჩატარდა თემატური საღამო „წიგნი საუკეთესო მრჩეველია“. ღონისძიება ჩატარდა დევიზით „ბიბლიოთეკა ჩვენი სამყაროა“. ღონისძიება მიეძღვნა რაიონის ცენტრს მონყვეტილი სოფლის თამარიანის სკოლის მოსწავლეებს. ამ სოფელში არ მოქმედებს ბიბლიოთეკა. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ბავშვები გაცვენენ ბიბლიოთეკის ფონდებს, მომსახურების ფორმებსა და საშუალებებს, მათ ჩაუტარდათ კონსულტაცია წიგნისა და ბიბლიოთეკის მნიშვნელობის შესახებ. ბავშვებმა წარმოადგინეს მხატვრული ნიმუშები. იმავე დღეს სოფლის ცენტრალურ სკვერში მოეწყო საბავშვო წიგნების წარდგენა-გამოფენა-გაყიდვა; ჩატარდა ახალი საბავშვო წიგნების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები. ბავშვებს აჩვენეს მულტფილმები.



72-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ონისე თურქია



72-ე საჯარო სკოლის მოსწავლე საბა ხაბეიშვილი



72-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ნინო სიღამონიძე



ლონისძიებამ დიდი ინტერესი გამოიწვია პატარა მკითხველებში.

თბილისის მე-4 საქალაქო ბიბლიოთეკამ 43-ე საჯარო სკოლასთან ერთად ჩაატარა გოდერძი ჩოხელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო. მწერლის შემოქმედებიდან ნიმუშები წარმოადგინეს მე-7 კლასის მოსწავლეებმა, ლონისძიებას ამშვენებდა მუსიკალური ნომრები.

თბილისის 38-ე საქალაქო ბიბლიოთეკაში (გამგელ. ხოფერია) ჩატარდა ქართული ენისადმი მიძღვნილი ლონისძიება „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს“. ლონისძიებაში მონაწილეობდნენ სკოლამდე-

ლი ასაკის ბავშვებიც, რაც თავისთავად მიუთითებს ბიბლიოთეკის პოპულარიზაციაზე. ლონისძიებაზე მონაწილეები იყვნენ პროფესორი შუქია აფრიდონიძე და დოქტორი ნანა კოპალეიშვილი. ლონისძიებაზე საკუთარი ნახატები წარმოადგინეს მოსწავლეებმა ი. მაჭავარიანმა და თ. ქავთარაძემ.

ლონისძიებას ესწრებოდა ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი, თბილისის 55-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე სალომე ლაჭავა. იგი არის მოსწავლეთა 68-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონკურსის „დიდი მოაზროვნეები“ გამარჯვებული ქართული ლიტერატურის სექციაში.

## ჩვენი სახელოვანი მოღვაწეები

გურამ თაყნიაშვილი

გენო ჯორჯაძე - 100, გახსენება

# სულით სპეტაკი, ამაღლებული და თავმდაბალი

ეს ტანმორჩილი ქალბატონი ყოველ დილას მტკიცე, აუჩქარებელი ნაბიჯით დაუყვებოდა თავდაღმართს, გაივლიდა გურჯაანის მთავარ მოედანს და მონივნებით შეაღებდა საყვარელ დანესტრულეებს, ცენტრალური ბიბლიოთეკის კარს. გურ-



ჯაანელებს კარგად ახსოვთ ბოლო წლებში შავით მოსილი, სანდომიანი სახისა და ერთი შეხედვით მკაცრი გამომეტყველების თანამემამულე. ეს გახლდათ გენო (ევგენია) ჯორჯაძე - ბიბლიოთეკის სული და გული, მკითხველთა გულების მესაიდუმლე, წიგნის დიდი მცოდნე, აქტიური, მებრძოლი ხასიათისა, საბიბ-

ლიოთეკო საქმის ჩინებული ორგანიზატორი და წიგნის მოტრფიალე, ნამდვილი ქომაგი. წიგნი იყო მისი ცხოვრების თანამგზავრი, მისი შინაგანი ბუნების, სულიერი სამყაროს სრულყოფის უებარი საშუალება და წამალი. ქალბატონი გენო წიგნს უყურებდა და აფასებდა მკითხველის თვალთ, მისთვის წიგნი იყო მოძრავი, მკითხველთა სულიერი წვრთნის ერთი უიმპიათესი საშუალებათაგანი, ქალბატონმა გენომ კარგად უწყოდა ბიბლიოთეკაში შემოსული წიგნის გზა. წიგნი მექანიკურად არ ემატებოდა თაროებს, იგი მაშინათვე მკითხველის ხელში უნდა მოხვედრილიყო, რათა ავტორის აზრს სინათლე ეხილა, შეეცვალა მისი აზროვნება და ამა თუ იმ ფორმით დაეხატა ყოფიერება. ახალ წიგნს, უპირველეს ყოვლისა, ქალბა-

ტონ გენოს ხელში უნდა გაეცლო; ეს უკანასკნელი დაკვირვებით, მკითხველის თვალთ ეცნობოდა მის არსს და იცოდა, ვინ, რომელი მკითხველი გამოიჩენდა მისდამი ცხოველ ინტერესს. წიგნის სიყვარულმა გადააწყვეტინა მას დაუფლებოდა ბიბლიოთეკარის უსპეტაკეს პროფესიას. გასული საუკუნის 30-იან წლებში გურჯაანის სარაიონო ბიბლიოთეკაში შემოსულ 20 წლის ქალიშვილს თვალწინ გადაეშალა წიგნების უკიდევანო სამყარო, გარკვეული წესით ორგანიზებული და დავანებული. წიგნების სამყაროში მოხვედრილი გოგონა იმთავითვე მიხვდა, რომ აქ შემთხვევით არ შემოსულა. ამ სამყაროში განგების ძალით შემოვიდა, შემოვიდა და დამკვიდრდა როგორც წიგნის ტრფიალი და ჭეშმარიტი პატრონი. ქალბატონმა გენომ იმთავიდანვე კარგად იცოდა, რომ სწორედ ბიბლიოთეკას მივყავართ ადამიანთა გულებამდე, მის აზროვნებაში ერთბაშად წამოტივტივდა კითხვები, როგორ ვაზიაროთ ბავშვი, მოზარდი, თუნდაც ზრდასრული მოქალაქე წიგნისადმი სიყვარულს, როგორ ავამაღლოთ იგი სულიერად და გავუძლიეროთ სწავლის წყურვილი. ეს კითხვები იმთავითვე ანუხებდა დამწყებ ბიბლიოთეკარს, ანუხებდა და მთელი თავისი მოღვაწეობის პერიოდში ეძებდა პასუხებს, ეძებდა და ხშირ შემთხვევაში ისეთი ზუსტ პასუხებს პოულობდა, რომლითაც ალაგზნებდა მკითხველის გულს, აკმაყოფილებდა მის ცნობისმოყვარეობას და ეს იყო ერთი წარმატებათაგანი ბიბლიოთეკარის პრაქტიკაში. ამ პერიოდისა და იდეა ფეხი ქალბატონმა გენომ როგორც პროფესიონალმა ბიბლიოთეკარმა, ამ გზას გაჰყვა უყოყმანოდ, თავდაუზოგავად, საკუთარი ფიზიკური და სულიერი ძალების უშურველად ხარჯვის პირობებში. ბიბლიოთეკარს კარგად ესმოდა მკითხველისა და წიგნის ურთიერთობის სიძნელეები, იცოდა და ფრთხილობდა შემთხვევით შერჩეული წიგნით არ დაემახინჯებინა მოზარდის უსათუთესი სულიერი სამყარო. ქალბატონი გენო თავისი მოღვაწეობის

ჟამს შემოქმედებითად იყენებდა იმ დროისათვის პრაქტიკაში მიღებულ ფორმებსა და მეოთხედს, გაბედულად ცვლიდა შაბლონურს და ეძებდა მკითხველის სულიერ სამყაროში შეღწევის ორიგინალურ გზებს. მაძიებელი, შემოქმედებითი ბიბლიოთეკარი ნიადაგ იზიდავდა მკითხველ საზოგადოებას, ესაუბრებოდა, ურჩევდა და ასეთ ურთიერთობაში გრძნობდა იგი კმაყოფილებას. მართალია, თავისი მოღვაწეობის დიდი პერიოდი ქალბატონ გენოს მოუხდა საბჭოთა იდეოლოგიის პირობებში, მაგრამ ამ გარემობას ხელი არ შეუშლია მისთვის, ეკეთებინა ქართული საქმე – წიგნის საშუალებით აღეზარდა გურჯანელთა მომავალი თაობა პატრიოტული სულისკვეთებით.

ქალბატონი გენო წიგნს იცავდა, ეფერებოდა, უფლიდა არა იმიტომ, რომ იგი უთუოდ თაროზე უნდა ყოფილიყო თავის რიგში. ბიბლიოთეკის წიგნი სხვათადასხვათა ხელში უნდა გადასულიყო, იგი უნდა გადაეფურცლათ, წაეკითხათ, დაენერათ შთაბეჭდილებები; წიგნს უნდა აენთო მკითხველის გულში ისეთი ცეცხლი, რომელიც მას მოქმედებისაკენ უბიძგებდა, აამაღლებდა სულიერად, გაუძლიერებდა პატრიოტულ გრძნობას. ქალბატონი გენო ასეთი ნიშნით აფასებდა წიგნს და ასეთივე მიდგომა ჰქონდა მკითხველთანაც. ქალბატონ გენოსათვის უცხო იყო წიგნისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, მისი დაზიანება, დაგვიანება, მის ხასიათში კახურ სიფიუტეს სწორედ ასეთ ვითარებაში შენიშნავდით, როცა საქმე ეხებოდა მკითხველის ინტერესს, მის დაუკმაყოფილებელ მოთხოვნებს, თანამშრომელთა ზერელე დამოკიდებულებას საქმისადმი. მისთვის ზეიმი იყო მაშინ, როდესაც ბავშვი, მოსწავ-

ლე ზეპირად იტყოდა რომელიმე ქართველ კლასიკოსის ლექსს, ან სწორი ქართულით ჩამოაყალიბებდა საკუთარ შთაბეჭდილებას წაკითხულზე.

გურჯაანის ცენტრალური ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში მიჩნეული იყო როგორც მონიავე გამოცდილების სკოლა. ამ ბიბლიოთეკაზე და მის წინამძღოლზე სისტემატურად იტყობინებოდნენ რესპუბლიკური თუ საკავშირო პრესა, რუსული სპეციალური ორგანოები. აქ იმართებოდა თათბირი – სემინარები, სხვადასხვა დონის კონფერენციები, შეხვედრები. ასეთ შეხვედრებს ახალ იმპულსს აძლევდნენ მის ხელმძღვანელს, ხოლო გურჯაანელები სიამაყის გრძნობით შეჰყურებდნენ კულტურის ამ უსაჩინოეს დაწესებულებას. ბიბლიოთეკის დირექტორს არ აკლდა სამადლობლო სიტყვები მაღალი ტრიბუნიდან, მისი საოჯახო არქივი ახლაც იცავს დვანღმოსილი დიასახლისის ღვანლის ამსახველ მასალებს. ქალბატონ გენოსათვის ყველაზე დიდად ღირებული იყო მკითხველთა სამადლობლო სიტყვები, მათი გულითადი სალამი და ის სიტბო, რომლებსაც ისინი ასე უსიტყვოდ გამოხატავდნენ მსცოვანი თანამემამულის მიმართ. დღეს, როდესაც მისი დაბადებიდან საუკუნოვან თარიღს აღვნიშნავთ, თვალწინ გვიდგება სახლიდან თავდაღმართში მომავალი შავოსანი ქალბატონი, რომელიც მყარად იდგა გურჯაანის მიწაზე და თავისი უსპექტაკესი სულით უფალს ავედრებდა სამშობლოს აყვავებას, თანამოქალაქეთა სულიერ სიმშვიდეს და შრომით მოპოვებული ნაყოფის გამრავლებას, მისი ღვანლი, მცდელობა, შემართული ხასიათი და უტეხი ნება დღესაც უქრობ ჩირაღდნად ანთია გურჯანელთა გულებში.



გენო ჯორჯაძე ზაქათალის სარაიონო ბიბლიოთეკაში

## სიტიყვა პროფესიონალზე

მზია ტომონიძე

## ცოდნით მოპოვებული სიმაღლე

ნუნუ შოთას ასული აბუაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის განყოფილების თანამშრომელი, თავის საქმეზე შეყვარებული პროფესიონალია. პუნქტუალური, კეთილშობილი, სიკეთით აღსავსე, თავმდაბალი პიროვნება, რომ-



ლისთვისაც უცხოა ამბიციურობა და რომელიც ბიბლიოგრაფის რთულ პროფესიას ასრულებს დიდი პასუხისმგებლობითა და მისთვის ჩვეული სიძინჯით და თავდადებით.

ნუნუ აბუაშვილი დაიბადა ქ. თბილისში ინტელიგენტის ოჯახში. 1978 წელს წარჩინებით დაამთავრა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი. დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლასთან ერთად, პარალელურად მუშაობდა მაშინდელ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკის აბონემენტისა და მკითხველთა მომსახურების განყოფილებაში, შემდეგ დეპოზიტარულ განყოფილებაში.

1981 წლიდან დღემდე ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ განყოფილებაშია და სამ ათეულ წელიწადზე მეტია მისთვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმით და ბიბლიოგრაფიისათვის ჩვეული პუნქტუალობით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს.

საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი ის დიდი მუშაობა, რომელსაც წლების მანძილზე ეწეოდა ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილება. მას დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია უამრავი ბიბლიოგრაფიული ნაშრომების გამოცემებისა. ეს ტრადიცია დღესაც წარმატებით გრძელდება და ამ განყოფილების დამსახურებაა ქართველ მეცნიერთა ბიბლიოგრაფიების შედგენა და გამოცემა. ნუნუ აბუაშვილი ამ განყოფილების ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომელია და მას გვერდს უმშვენიებენ მისი კოლეგები, რომელთა პროფესიონალიზმი სამეცნიერო წრეებში დიდ პატივისცემას იმსახურებს. ამ

განყოფილების თითოეული მუშაკი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ ერთობლივი ძალებითა და გამოცდილებით აკეთონ ეს დიდი საქმე და მომავალ თაობას დაუტოვონ ქართველ მეცნიერთა და გამოცემათა ბიბლიოგრაფიები.

საბიბლიოთეკო დარგის პროფესიონალებმა იციან, თუ როგორი შრომატევადი და შემოქმედებითი სამუშაოა თითოეული ბიბლიოგრაფიის შედგენა, რამდენ წყაროსა თუ საინფორმაციო-საძიებო სისტემაში უხდება ბიბლიოგრაფს ძიება, აღმოჩენა, აღრიცხვა და გადმოტანა. შემდგომი ეტაპი აღმოჩენილი მასალის, არის წიგნში სათანადო წყაროს მითითება და აღწერილობის საერთაშორისო სტანდარტის დაცვა. ბიბლიოგრაფები ასობით და ათასობით ასეთ აღწერილობას უკეთებენ სისტემატიზაციას და შემდგომ ათავსებენ შესაბამისი რუბრიკების ქვეშ. აუცილებელია თითოეული წყარო შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტით იყოს აღწერილი, ხოლო ეს აღწერილობები პერიოდულად იცვლება და ბიბლიოგრაფი ვალდებულია იცნობდეს ყველა იმ საერთაშორისო სტანდარტს, რომელიც ამ გარკვეულ პერიოდში მოქმედებს. ბიბლიოგრაფი ვალდებულია მუდმივად იმაღლებდეს თავის კვალიფიკაციას ამ განხრით.

ბიბლიოთეკის ერთ-ერთ წამყვან და საპასუხისმგებლო განყოფილებაში მუშაობს ნუნუ აბუაშვილი და მას თავის კოლეგებთან ერთად წლების განმავლობაში შედგენილი, რედაქტირებული, რეცენზირებული აქვს ათეულობით ქართველ მეცნიერთა ბიობიბლიოგრაფიები. მათ შორის არიან გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, აკადემიკოსები: არჩილ ძიძიგური, აკაკი სურგულაძე, ჯუმბერ ლომინაძე, გიორგი ციციშვილი, გიორგი გედევანიშვილი და სხვები, რომელთა ჩამოთვლა ერთ წერილში შეუძლებელია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ჟურნალ „ცისკრის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, რომლის შემდგენელი ნუნუ აბუაშვილთან ერთად არის მისი კოლეგა მ. ბარკავა. ბიბლიოგრაფია წარმოადგენს ფუნდამენტურ ნაშრომს და ის ამ განყოფილების სიამაყეა.

სწორედ ქართველ მეცნიერთა ბიობიბლიოგრაფიის გამოცემებმა მიკარნახეს ათეული წლების წინ „ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგში გამოჩენილი ქართველი მეცნიერების“ ბიბლიოგრაფიების შედგენა და გამოცემა. ბიბლიოგრაფების ღვანლის გარეშე ქართველ მეცნიერთა ბიობიბლიოგრაფიების გამოცემა შეუძლებელი იყო.

ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდ-



წილისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე გადამყდა „ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის დარგის მოღვაწეთა“ ბიბლიოგრაფიის გამოცემა. კათედრის ერთობლივი ძალებით გამოიცა დოცენტ ნიკო ლორთქიფანიძის ბიბლიოგრაფია, რომელიც მიეძღვნა მისი დაბადების 100 წლისთავს. ამ ნაშრომის შედგენისას გვერდს ვერ ავუვლიდით მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიის განყოფილებას და სწორედ მუშაობის პერიოდში გამოჩნდა ყოფილი სტუდენტის და ამჟამად კოლეგის ნუნუ აბუაშვილის უანგარო თავდადებული პროფესიონალიზმით აღსავსე დახმარება. ასეთი ერთობლივი მუშაობის შედეგია პროფესორ ალექსანდრე ლორიას, ოთარ ოსაძის, ზემფირა ტყაბლაძის, გურამ თაყნიაშვილის ბიბლიოგრაფიები.

მიმდინარე წელს ნუნუ აბუაშვილთან ერთად

გამოიცა პროფესორ ალექსანდრე ლორიას ბიბლიოგრაფიის მეორე გამოცემა, რომელიც ეძღვნება საბიბლიოთეკო დარგის ამ გამოჩენილი მეცნიერისა და მოღვაწის მე-80 წლისთავს. მზად არის გამოცემად საბიბლიოთეკო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკის ქალაქ თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების გენერალური დირექტორის, თბილისის საპატიო მოქალაქის ქალბატონ ციალა კალმახელიძის ბიბლიოგრაფია, რომელიც უახლოეს მომავალში გამოიცემა.

ნუნუ აბუაშვილთან ჩემი პროფესიული თანამშრომლობა წლებს ითვლის და ერთობლივად მასთან მუშაობა მართლაც ურთიერთსასარგებლოა. ვისურვებდი, ეს საქმიანობა კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყოს და ერთობლივი ძალებით კიდევ ბევრი სასარგებლო პროფესიული ბიბლიოგრაფია გამოგვეცეს.

## კორესპონდენციები

გიორგი სარაჯიშვილი

მურმან გელენიძე - 70

### უნიკალური „კალიბრაჟიული ანბანი“

საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ გამოცემათა სამსახურში გავიცანი ზნეობით შემკული, ყურადღებიანი, ადამიანი ბატონი მურმანი. დავმეგობრდით. ბატონმა მურმანმა 2004 წლის ერთ დღეს მითხრა: „60 წლის გავხდი, ჩემთან უნდა იყო“. მივულოცე. არ ჰქონდა სიბერეში ნაბიჯგადადგმული კაცის გარეგნობა. იუბილეზე დამპატიყა. თბილისიდან ქ. ხონში ჩასულეხს მშობლიური კუთხე დიდი ზეიმით კულტურის სხალში დაგვხვდა. თავი მოეყარათ რაიონის თავკაცებს, ოჯახის წევრებს, ნათესავეებს, მეზობლებს, კლასელებს, მეგობრებს. ყველასთვის სამახსოვრო დღე იდგა. ფოიეში გამოფენილი იყო ბატონი მურმანის შემოქმედების ამსახველი ნამუშევრები, რომელთა შორის გამოირჩეოდა შრიფტები, მასში ჩაქსოვილი ქართული ასონიშნების მოხაზულობით.

სიტყვებში გამოსულებმა დიდი სითბოთი ისაუბრეს ბატონი მურმანის ცხოვრებაში მოკრძალებულად გავლილი გზის შესახებ. ლადო გრიგოლიას მონაფე, როგორც შეგვეძლო შევაქეთ. ვისაუბრეთ, 33 ასონიშნის ერთ მთლიან კომპოზიციაში მოქცეული შრიფტების ესთეტიკურად აღთქმადი, წერის დროს მოქნილი ნიშნების შესახებ.

ბატონ სერგი საჯაიას ბატონი მურმანის ასონიშნებისათვის, მტკიცე ბუნების შრიფტების ოჯახისათვის - „ლასკარი“ დაურქმევია, რადგან ხელნაწერების, კალიგრაფების ასონიშნები, მტკიცე ბუნებით გამოირჩევიან.

ბატონი მურმანის დასრულებულმა ნაღვანმა, სისრულეში მიყვანილმა შრიფტების გარნიტურებმა მაფიქრებინა, რომ ბატონი მურმანის შრიფტების

ლაბორატურაში ვიმყოფებოდი: 1999 წელს ბატონმა მურმანმა შექმნა ედვარდ შევარდნაძის ხელნაწერის კალიგრაფიის მიხედვით, ასონიშნების ერთი ალბომი, 6 შრიფტის გარნიტურით; 2009-11 წლებში შექმნა უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის 2 ალბომი, 12 შრიფტის გარნიტურით. 2011-13 წლებში კი დაამზადა გენიალური ვაჟა-ფშაველას ერთი ალბომი, 2 შრიფტის გარნიტურით.

ადვილია ჩამოთვლილი ალბომების გადაფურცვლა. დიდი შრომა, მოუსვენარი ღამეები ჭირდება თითოეული მათგანის შექმნას.

შრიფტის გარნიტურების შემქმნელი 70 წლის გამხდარა - ჩვენი მეგობარი ბატონი მურმანი. აფერუმ! იდღეგრძელე ბატონო მურმან! უფალმა ნიჭი გიბოძათ, თქვენ მოგძებნათ ჩვენს შორის, დიდი საქმის გამკეთებლად.

ბატონო მურმან! თქვენი შრიფტების გარნიტურები გასაოცარი ბუნებით ეთანადებიან მსოფლიოში უნიკალურად აღიარებულ 14 ანბანთა შორის მდგარ ქართულ ანბანებს. თქვენი შექმნილი - „კალიგრაფიული ანბანი“, მხედრულის ბუნებითი გაგრძელების მატარებელია.

სიტყვებში გამოსვლების შემდეგ, დარბაზიდან საკუთარი სახლის ეზოში გადავინაცვლეთ, სადაც წარმოსადგევი თამადა შეგვეგება და სუფრასთან მიგვიპატიყა. როგორც იტყვიან, ჩიტის რძე არ აკლდა სუფრას.

თამადამ ისახელა თავი. განსხვავებული სასმისები შემოჰქონდათ სუფრაზე, იყო სიტყვა-პასუხები, სიმღერები. გამოირჩეოდნენ სამეჯლისო ცეკვების მსოფლიოში აღიარებული დიდი ოსტატები, ბატონი

მურმანის მეგობრები, სპორტული ცეკვების ფედერაციისა და სტუდია – „თელას“ ხელმძღვანელი ბატონი თენგიზ გაჩეჩილაძე მეუღლითურთ. საიუბილეო ზეიმმა გვიანობამდე გასტანა.

ბატონი მურმანის „კალიგრაფიული შრიფტების“ შესახებ ვესაუბრე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბის ყოფილ ინჟინერს, ვინც ერთ ადგილზე 52 წლის მანძილზე იმსახურა, ვინც 2009 წელს გამოაქვეყნა უნიკალური ნაშრომი – „სტამბის ისტორია საქართველოში“,

ეროვნული ბიბლიოთეკის საპატიო, ყოველდღიურ მკითხველს 94 წლის მხნე ადამიანს ბატონ ანტონ მამრიკიშვილს. მან მითხრა: „ჩემთვის ეს ფაქტი ძალიან საინტერესოა, ასეთი შემთხვევა არ გამიგია... 18 საწერი შრიფტის შემქმნელი ანტონ დუმბაძე ჩვენს სტამბასთან მუდმივად თანამშრომლობდა... კარგი იქნება თუ ბატონი მურმან გელენიძე ითანამშრომლებს საპატრიარქოს უწყებასთან ან გამომცემლობასთან, მის შრიფტებს სიცოცხლე მიეცემოდა“.

**კაა ლაკიაშვილი  
ქეთი ავაქიძე**

# სოციოლოგიური კვლევა № 42 ბიბლიოთეკაში

იმის გამო, რომ საქართველოში ნებისმიერ დონეზე სწავლების პროცესმა და მეთოდებმა დიდი ცვლილება განიცადა, შეიცვალა მკითხველის დამოკიდებულება საბიბლიოთეკო მომსახურებისადმი, გაიზარდა მოთხოვნების დიაპაზონი, მომრავლდა ისეთი თემები, რომლებიც ადრე არ იყო მითითებული სასწავლო პროგრამებში, სკოლის სახელმძღვანელოები მხოლოდ მწირ ინფორმაციას იძლევა. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით მკითხველთა ინტერესების შესწავლამ თანამედროვე სახე მიიღო. ასეთი გამოკითხვა ქთბილისის ბიბლიოთეკების პრაქტიკაში პირველად ჩატარდა 2012-2013 წლებში №42 ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებაში. კითხვარი შედგენილ იქნა ჩენს მიერ მკითხველთა ინტერესების შესაბამისად სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდის დაცვით. გამოკითხული იქნა 10-დან 14 წლამდე ასაკის მკითხველი. კვლევის მიმდინარეობის და დამაჯერებლობის შესამოწმებლად შემაჯამებელ კონფერენციაზე საჭიროდ ჩავთვალეთ საბიბლიოთეკო დარგის გამორჩენილი მოღვაწეების ბ-ნ ალექსანდრე ლორიას და ბ-ნ გურამ თაყნიაშვილის მოწვევა, რომლებმაც მათთვის დამახასიათებელი პროფესიონალიზმით მოისმინეს გამოკვლევის შედეგები და საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს აღნიშნული სოციოლოგიური გამოკვლევის შემდგომი გაგრძელებისა და გაღრმავებისათვის.

2014 წელს ამ კვლევამ მაშტაბური სახე მიიღო: კითხვარს დაემატა წინა კვლევის დროს წამოჭრილი საკითხები, რომლებმაც ასახვა პოვა მიმდინარე წლის კითხვარში. გადაწყდა, რომ კვლევა უნდა გაფართოვებულიყო და მასში ჩართულიყო არა მარტო საბავშვო განყოფილების, არამედ მოზრდილთა განყოფილების მკითხველები. კვლევა მიმდინარეობდა პარალელურად ორივე განყოფილებაში, სადაც ჩაერთო ორჯერ მეტი მკითხველი.

გამოკითხულთა 60% - ქალია და 40%- ვაჟი. აქედან 45%-სკოლის მოსწავლეა, 35%- სტუდენტი, 15%- საშუალო დამთავრებული და 5%- უმაღლესი

განათლების მქონე მკითხველი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობს სხვადასხვა სოციალური ფენა, მათ შორის დიასახლისები და ხანდაზმულები.

ძირითადი საშუალება ინფორმაციის მისაღებად 60%-ისათვის არის წიგნი, 35%- კომპიუტერი, 5% ორივე საშუალებას თანაბრად იყენებს. გამოკითხულთა მხოლოდ 8%-ს არ ჰქონდა სახლში პერსონალური კომპიუტერი.

წიგნის შეძენასთან დაკავშირებით კითხვაზე აღმოჩნდა, რომ მკითხველთა 50% ინტერესისთვის ყიდულობს წიგნს, 25%- საჭიროების შემთხვევაში, 17%- საოჯახო ბიბლიოთეკის გასამდიდრებლად, 8% საერთოდ ვერ ყიდულობს. უმრავლესობა წელიწადში 10-12 წიგნის შეძენას ახერხებს.

ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს და იღებს პერიოდულ გამოცემებს. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 12% არის ინფორმირებული ამის შესახებ. გამოკითხულთა მხოლოდ 8% -მა დაასახელა ის გამოცემები, რომელთა წაკითხვასაც ისურვებდა. მაგრამ ბიბლიოთეკა ამ უცხოური პერიოდული გამოცემებით უზრუნველყოფილი არ არის.

ბიბლიოთეკაში სიარულთან დაკავშირებით შეკითხვას — რა სიხშირით დადიხართ ბიბლიოთეკაში: 51%- კვირაში ერთხელ, 26%- თვეში ერთხელ, 15%-ყოველდღე, 10% იშვიათად.

კითხვაზე — რა სახის ლიტერატურით სარგებლობთ, გაირკვა, ეს იყო:

- მხატვრული;
- საცნობარო ლიტერატურა( ენციკლოპედიები, ცნობარები, გზამკვლევები);
- ხელოვნება;
- ისტორია;
- ფილოსოფია, ფსიქოლოგია;
- რელიგია;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- სამართალი, ეკონომიკა, ბიზნესი — თანაბრად მოთხოვნადია. ბოლო ადგილს მედიცინა და პერიოდული ბეჭდვითი გამოცემები იკავებს.

რადგან თანამედროვე გამოცემები ბიბლიოთეკას თითქმის არ გააჩნია.

ყურადღებას იმსახურებს მკითხველთა მიერ ბიბლიოთეკაში არსებული ფონდით დაკმაყოფილება. ბიბლიოთეკის ფონდს კარგი შეფასება მისცა გამოკითხულთა 88%-მა, 12% ბიბლიოთეკის ფონდი საშუალოდ აკმაყოფილებს. გამოკითხვიდან ჩანს, რომ ძირეულ განახლებას მოითხოვს და შეესებას საჭიროებს რელიგიური, ეკონომიური, ბიზნესის, სამართლის, მედიცინის, სპორტის, ხელოვნების განყოფილებები. მხატვრული ლიტერატურის მომხმარებელთა უმრავლესობისათვის მისაღებია ჩვენი ბიბლიოთეკის ფონდი და 10 ქულით შეაფასეს მკითხველებმა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ბოლო ერთი წლის მანძილზე წიგნით სარგებლობაზე უარის აღნიშვნა ყველაზე ხშირად მოთხოვნადი წიგნები აღრიცხული გვაქვს უარების აღრიცხვის ყურნალში. ვეცდებით, ეს ხარვეზი რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტურად აღმოვფხვრად.

სოციოლოგიური გამოკვლევის ანალიზს ტრადიციულად ვატარებთ „საბიბლიოთეკო კვირეულის“ დღეებში. 2014 წელს ჩატარებული ღონისძიებების სიახლე იყო გლდანი-ნაძალადევის რაიონის კოორდინატორის ნინო კალანდარიშვილისა და ამავე რაიონის ბიბლიოთეკების გამგეების დასწრება, რომლებმაც დიდი ინტერესით მოისმინეს და დადებითი მოსაზრებები გამოთქვეს აღნიშნული გამოკითხვის მიმართ.

მომავლისათვის დაისახა გეგმები სოციოლოგიური გამოკვლევის ხანგრძლივობისა და მისი კიდევ უფრო გაფართოვების შესახებ, რადგან 2014-2015წწ-ის გამოკვლევაში ჩვენთან ერთად პარალელურად ჩაერთვება მკითხველთა ის აქტიური და ძირითადი მასა, რომელსაც უხელმძღვანელებს ჩვენთან ერთად მკითხველთა ის კატეგორია მკითხველებისა, როგორცაა ცალკეული კლასელები, ჯგუფები და სხვა ფენის წარმომადგენლები.

## რეცენზია

ალპარდ ბატიაშვილი

# წიგნები ისტორიასა და თანამედროვეობაზე რეცენზია წიგნზე – „საქართველო და ქართველები“

ზაზა აბაშიძის რედაქციით გამოცემულ ამ საკმაოდ სქელტანიან წიგნს ასეთი „წინათქმა“ ახლავს: „წინამდებარე წიგნი არ გახლავთ სახელმძღვანელო. მას არც სამეცნიერო ნაშრომის პრეტენზია აქვს. წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ“.

„საკითხავი წიგნი“ – ასეთი ქვესათაური ახლავს წიგნს და ამით გაცხადებულია ავტორთა მიზანი: „ჭეშმარიტი, უტყუარი ისტორია“ მიაწოდონ ხალხს, როგორც ამას ივანე ჯავახიშვილი თხოულობს და ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ამ პრინციპის ერთგულნი დარჩნენ I თავიდან XXIII თავის ჩათვლით.


„ისტორია ჭეშმარიტის მეტყუელება არს“ – წერს გიორგი ბრწყინვალის ჟამთაღმწერელი და სწორედ ამით ამართლებს მის მიერ ლაშა-გიორგის უგუნური პოლიტიკის დაუნდობელ მხილებას. ივანე ჯავახიშვილი იმასაც უსვამს ხაზს, რომ ამით ჟამთაღმწერელმა ამ პოლიტიკას დაუპირისპირა გიორგი V-ის ბრძნული და გონივრული პოლიტიკა, ხმლის მოუქნევლად რომ მოაშორა მონღოლთა უღელი ხალხს და ქვეყანას. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება მარად – უგუნური, შედეგზე გაუთვლელი და ემოციებზე დაფუძნებული პოლიტიკა ანგრევს, გონიერი და ბრძნული პოლიტიკა კი, აშენებს ქვეყანას... ილია ჭავჭავაძე არის ასეთი ბრძნული პოლიტი-

კის ფუძემდებელი თანამედროვე საქართველოში. მისი და მისი თანამოაზრეების „საერთო ნიადაგის“ თეორია, ამ თეორიის ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები უნდა გახდეს ახალი საქართველოს და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის ორიენტირები. ეს იდეა არის გატარებული 1938 წლის ივანე ჯავახიშვილის ნაშრომში – „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“. ჩვენი ვალია დიდი ივანეს ეს დიდი იდეა სიტყვიდან საქმედ ვაქციოთ.

ამაზე ბევრია ლაპარაკი სარეცენზიო ნაშრომის ბოლო თავებში, განსაკუთრებით იმ თავში, რომლისთვისაც მის ავტორს, ბატონ ოთარ ჯანელიძეს მეტად სიმბოლური სახელდება მიუცია – „ილიას ეპოქა“. სიმბოლურია ამ თავის დასაწყისიც: „მსოფლიოში არც ისე ბევრია ერი, რომლის ცხოვრებაში ეპოქა მწერალს შეექმნას... ილიას მასშტაბის მოღვაწე და მოაზროვნე ნებისმიერი სახელმწიფოს ღირსეული მეთაური იქნებოდა, მაგრამ მწერალს ბედმა საქართველოს იმ დროის შვილობა არგუნა, როცა ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოებრიობა საერთოდ არ გააჩნდა“.

მაგრამ ესეც ხომ სათქმელია – დღეს, როცა მადლობა ღმერთს ეს სახელმწიფოებრიობა გვაქვს, იქნებ დადგა დრო მთელი სერიოზულობით და ეროვნუ-

ლი პასუხისმგებლობით მოვკიდოთ ხელი ილიას მემკვიდრეობას, ილია მართლის მართალი სიტყვის და მართალი საქმის რეალიზაციას გარდამავალი პერიოდის სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.



## საქართველო და ქართველები

ამაზეც არის ლაპარაკი ნაშრომში, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენმა დღევანდელმა პოლიტიკურმა ძალებმა თეორიულიდან სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკად აქციონ ყოველივე ეს.

სარეცენზიო ნაშრომი სწორედ იმითაც იმსახურებს ყურადღებას, რომ აქ ძალიან ბევრია ის პრობლემა, რომელიც „საქართველოს ისტორიის

ფილოსოფიას“ ეხება, ანუ იმის განზოგადოებას, რასაც ილიას უკვდავი ფორმულით გააზრება — გათავისება ჰქვია, — „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“. ილია და მასთან ერთად, ივანე ჯავახიშვილი სამომავლოდ სწორედ „საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის“ ანუ თანამედროვე ტერმინოლოგიით, „საქართველოს ისტორიისა და პოლიტოლოგიის“ მეცნიერული კვლევის პრობლემას აყენებდნენ ნინა პლანზე. ეს ნაშრომიც ამ გზაზე გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

გლობალიზმი სულ უფრო მწვავედ აყენებს ამ პრობლემას. ეს განსაკუთრებით ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერს ეხება. ჩვენთვის ჩვენი ისტორიის დავინყება თვითმკვლევლობის ტოლფასია. ამიტომ წერს ილიაც: „ერის პირქვე დამხოვა და გათახსირება იწყება მაშინ, როცა იგი თავის საუბედუროდ თავისსავე ისტორიას ივინყებს“, და იქვეა ცნება „ისტორიის“ ზემოთნახსენები ილიასეული დეფინიცია: „რა არის ისტორია! — ისტორია მთხრობელია იმისა, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“.

ყველაფერს ამას დღეს პოლიტიკურ მეცნიერებებში „გამოყენებითი პოლიტოლოგია“ ეწოდება და იგი ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის ამაღლების აუცილებელი წინაპირობაა. დღეს კულტურის დიდი დეფიციტია ჩვენს ქვეყანაში.

ამას ნათლად აჩვენებს ჩვენი დღევანდელი ყოფა, როგორც მატერიალური, ისე სულიერი. ეს იმიტომ, რომ მოვწყდით ჩვენს ისტორიულ ფესვებს და როგორც ილია იტყოდა, „უცხო ბაძიას მონები გავხდით სულ ერთიანად“. სწორედ ეს „უცხო ბაძია“ საფრთხეს რომ უქმნის ჩვენს ეროვნულ თვითმყოფადობას. ეს კი აკაკის „ღამურას“ ბედს გვიმზადებს ქართველობას.

ნიგნი — „საქართველო და ქართველები“ ამ მხრივაც ბევრ საყურადღებო მასალას აძლევს მკითხველს. მთავარია, რომ ყველა ერთად დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შევქმნათ ნამდვილად ეროვნული ინტერესების დამცველი და გამტარებელი ქართული სახელმწიფო და ამ გზით შევძლოთ მართლაც „ვიყუნდით ჩვენი თავი ჩვენად“.

## პარღის ფურცლით გამურალი სტრიქონები

ვარღის საამო სურნელს გაგახსენებთ მერაბ თათელაძის პოეტური კრებულის „თუ სიყვარულში გამოგიტყდი“ (თბ., 2013). თითოეული ტაეპის წაკითხვა. ლექსების უმრავლესობა სიყვარულისადმი მოძღვნილი. პოეტი მორიდებითა და მოწინებით მიმართავს გულის სატრფოს, მზადაა ზებუნებრივი ძალებიც კი დაიპყროს მისი გულის „დავაჩოქებდი შენს ნილ ყველა ღმერთს რას ჩავიდენდი კიდევ ვინ იცის“, რომ არ შეხვედროდა ოცნების ქალიშვილს „აფეთქდებოდა რომ არ მენახე სული ნამების

მრუმე ფერებად“. პოეტი ნატრობს, ახლოს იყოს შეყვარებულთან, თუნდაც „ერთი სანთლის მანძილზე“, ოღონდ დაიღალოს მისი მზერით. პოეტისათვის აპრილის ღამე ერთგვარად ნუგეშის მომტანია: „მხოლოდ იმ ღამემ, აპრილის ღამემ წუთით მომხიბლა, სევდას გამყარა“ (აპრილის ღამე), სიყვარულით აღფრთოვანებული პოეტი მზადაა, აედევნოს ნიავს მინდორში, თუმცა კარგად უწყის, რომ ვერ გაექცევა სატრფოს მზერას: „ვერ გავექცევი მონობას შენსას, ბედაურები უქმად მიცდიან“ („ვიცი, იტყვი-

„ნ“), პოეტი მზადაა გული მიუშვიროს სატრფოს ნასროლ „ოქროს ტყვიას“, რითაც სატრფო ურჩევს ჭაბუკს სხვასთან გაინანილოს ბედი. ჭაბუკი სთხოვს სატრფოს დაუბრუნოს ოცნება, რათა დავინყებას არ მიეცეს მის თვალეში ჩაღვრილი ფირუზი („ოქროს ტყვია“). ჭაბუკი ცრემლითა და დიდი გრძნობით დანერილი სტრიქონს ვარდის ფურცლით აშრობს და დასძენს, რომ თუ ვარდს ვერ მოწყვეტს, ბალშიც არ შევა: „თუ ვიცი, რომ ვერას მოვწყვეტ, მე იმ ბალში რაღად შევალ“ („შველა მსურდა“); ცხადია, სიყვარულის თემაზე დანერილი მისი ლექსებს მარადიული გრძნობა ღიად გამოხატულება. პოეტს სწამს, რომ სიყვარულის პირველი მაცნე თვალეშია, საიდანაც გამოკრთის თრთოლვა ნეტარი სიყვარულისა, მ. თეთელაძე ბუნების შვილია, ბუნებაში აღზრდილი და მისი გულწრფელი მომღერალი. პოეტი ტრიალებს თავის მშობლიურ მხარეში, იქ, სადაც ბუნებას აურჩევია მრავალნაირი საღებავები და საოცარი ფერებით მოუხატავს გარემო. იგი მზად არის მშობლიურ მიწაზე დაეცეს, შეიგრძნოს მიწის სურნელი და დაელოდოს ყოველ გაზაფხულს, „ოღონდ მკერდზე მეც მეყაროს ქართული მიწის პეშვი“. ბუნების უშუალო განცდითაა დანერილი ლექსი „ყვავილი თოვლში“, თითქმის ხალხურ მოტივზე დანერილი ეს ლექსი ერთი ამოსუნთქვით იკითხება. თოვლ ქვეშ ყვავილი რა ნახა მწყემსმა, მონყვიტა და მზეს დაანახვა „შვილი თოვლის და ნიავის“, მაგრამ მზის სხივზე ყვავილმა ვერ გასძლო და დაჭკნა, „სხივთ ვერ გაუძლო საბრალომ, ჩამოემალა გვირგვინი“.

პატრიოტულ თემაზე შეთხზულ ლექსებში ავტორი სიამაყით, მაგრამ ღრმად სევდიანი ფიქრით აშლილი უმღერის დღევანდელობას, ქართულ მიწას, მშობლიურ მხარეს; საგომარეთოსადმი მიძღვნილ ლექსში ნატრობს უკეთეს გაზაფხულს: „დაე, ველი აყვავდეს, გაზაფხულდეს ტყეში, ოღონდ მკერდზე მეყაროს ქართულ მიწის პეშვი“. ლექსში „გასხვისებული საქართველო“ პოეტი სინანულით წერს „ფერი ნაუხდა ქართულ ყაყაჩოს, იბერიის ცა ცრემლით აივსო“. ავტორი მოუწოდებს ახალგაზრდობას, ერთგულად დაუდგეს „არწივთა ენას“, მათ ბრძოლით უნდა დაიბრუნონ ძველი დიდება: „საქართველოში გაზაფხული აპრილით მოდის, რომ საქართველოს ცაზე ამოსულ მზეს მოჰყვება თავისუფლება“. მშობლიური კუთხის გულწრფელი სიყვარულითაა დანერილი ლექსი „საგომარეთო“. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს მხარე ნამდვილი „სავანეა გმირობის“. პოეტი აღფრთოვანებულია მშობლიური კუთხის სიძველეთა სიმრავლით, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. პოეტი აღფრთოვანე-

ბულია საგომარეთოს სიმწვანით, ჰავითა და ჩქარი მდინარეებით, არწივთა საბუდრებით, რომლებიც უხვადაა მდინარე ხრამის კლდოვან ნაპირებში. ამ მთებისა და ლალი ბუნების შემხედვარე პოეტი მზა-



დაა თავი ანაცვალოს მის გაძლიერება-გალამაზებას. „რამდენჯერ ამათ შევხედავ, იმდენჯერ დავიბადები“. ხალიჩასავით ნაქარგი ველ-მინდვრები ესაა საგომარეთო, რომელიც „მართლა ეძმოა სამოთხეს“. პოეტი ღრმად არაა დარწმუნებული, რომ სწორედ მშობლიური კუთხის სიყვარულით იწყება სამშობლოს სიყვარული. მის ლექსებში ადვილად შეამჩნევთ თრთოლვას ნეტარი სიყვარულისა, არა უიმედობით აღვსილს. პოეტის ბევრი სტრიქონი ოპტიმიზმითაა ბეჭედდასმული. მას სწამს, რომ მღვრიე სიტკბოება დროებითია, მას ურჩევნია იმოძრაოს, იმოქმედოს, იბრძოლოს, მარად ელტვოდეს ბუნებასა და ადამიანთა სილამაზეს, რათა „სულზე ნისლი არ შემოიხვიოს“. სიამოვნების ვნებათაგან სრულიად განთავისუფლებული პოეტი თავისუფლება და ჰარმონიულ გარემოს ელტვის, რაც ერთობ აუცილებელია სულიერი სილამაზის შენარჩუნებისათვის.




# „თქვენთვის ვწერ, მუდამ თქვენთან ვარ“

ჭეშმარიტად, ყოველთვის პატარებთანაა ამ სტრიქონის ავტორი ქალბატონი ყამარ ტიელიძე-ბლიაძე. მის მიერ ახლახან გამოცემული კრებული „ყამარ ბებოს ნობათი“ წიგნი – 2 ამის ნათელი დადასტურებაა. პატარები იცნობენ ამ წიგნის პირველ ტომს. წინამდებარე კრებულის გადაკითხვით ადვილად დარწმუნდებით ავტორის მრავალმხრივ ნი-

ბი, ზღაპრები, გამოცანები, ენის გასატეხი და სხვა ჟანრის მასალები. საინტერესოა წიგნის სასულიერო-შემეცნებითი ნაწილი. ამ ნაწილში წარმოდგენილია ჩანახატები ათი მცნების მიხედვით და ძალიან მარტივი ფორმით, მსტერულად განმარტებულია ათივე მცნება. გალექსილი სახითაა წარმოდგენილი ამ ნაწილში ცხრა ნეტარება. ასევე მხატვრულ

ფორმებშია ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი წმინდანთა შესახებ გალექსილი ეპიზოდები. ამ ნაწილში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მასალებს წმინდა გიორგის, წმინდა ნიკოლოზ საკვირველმოქმედის, წმინდა ბარბარეს მარტვილობის და სხვა წმინდანთა შესახებ გალექსილ ეპიზოდებს, რომლებიც იკითხება ბავშვების გონებისათვის ხელმისაწვდომით ფორმით, ბავშვები დიდი ინტერესით გაეცნობიან წმინდა ქეთევან დედოფლის წამებისა და აღსრულების სცენებს.

კრებული აგებულია გააზრებული პედაგოგიური პრინციპით – მარტივიდან რთულზე, ნაცნობიდან უცნობზე გადასვლის წესით. ბავშვები შესავალ ნაწილში გაეცნობიან ქართული დამწერლობის სამივე სახეს. „ანბანთ-ქება“ შედგენილია ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მიხედვით. პატრიოტულ მოტივზეა შექმნილი ლექსები „დედა ენა“, „იაფანა“, „სიმღერა საქართველოზე“, „ზიარი ქვეყანა“, „ხევსური ბიჭის სიმღერა“ და სხვ., რომლებიც ხალხურ მოტივზეა შედგენილი და ადვილად აღსაქმელია პატარებისათვის. დიდტანიან კრებულს დაერთვის საცნობარო აპარატი. პასუხები გამოცანებსა და სხარტულეზზე და ცალკეულ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი. ამ მხრივ წიგნი ნამდვილად ატარებს აკადემიური



ჭიერებაში, მის უნარში, შეაყვაროს ბავშვებს წიგნი, მშობლიური ლიტერატურა, განუვითაროს მათ თვალსაწიერი ცოდნის ყველა დარგში. წინამდებარე კრებულში შესულია ლექსები, მოთხრობები, იგავე-

გამოცემის ფორმას. წიგნი საინტერესო ნობათია პატარებისათვის, სასურველია, იგი ხელმისაწვდომი იყოს წიგნის მალაზიებისა და საბიბლიოთეკო ქსელის საშუალებით.

# ღვაწლის ამსახველი წიგნი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის თაოსნობითა და გამოცემაზე პასუხისმგებლობით გამოქვეყნდა ბიობიბლიოგრაფიულ ნაშრომი: „ალექსანდრე ლორია: ბიობიბლიოგრაფია“. წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „წიგნი+ერი“ 2014 წელს, შეიცავს 108 გვერდს.

წიგნის გამოცემაზე მუშაობდნენ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ცნობილი სპეციალისტები, პრაქტიკული მოღვაწეობის პროფესონალები: შემდგენლები არიან მზია ტოგონიძე და ნუნუ აბუაშვილი, რედაქტორია გურამ თაყნიაშვილი, ტექნიკური რედაქცია – მაია მიქაბერიძე.

გამოცემა განხორციელდა დარგის გამოჩენილი მოღვაწის, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალისტის, პროფესიული ჟურნალის „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორის პროფ. ალექსანდრე ლორიას დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით.

ბიობიბლიოგრაფიაში მოცემულია 1962–2014 წლების მასალის – შრომების, ალ. ლორიას რედაქციითა და რეცენზირებით გამოქვეყნებული გამოცემების, პუბლიცისტური წერილების, მხატვრული ნაწარმოებებისა და ალ. ლორიას შესახებ არსებული ლიტერატურის აღწერა, სადაც თავმოყრილია ყველაფერი, რაც მის ნაღვანს წარმოადგენს ბიბლიოთეკათმცოდნეობასა, ბიბლიოგრაფიასა, პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ლიტერატურაში.

წიგნს წინ უძღვის ალ. ლორიას სამეცნიერო-შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა როგორც ქართულად, ისე ინგლისურ და რუსულ ენებზე.

მასალა დაჯგუფებულია შემდეგ ქვეთავებად: ალექსანდრე ლორიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები; ალექსანდრე ლორიას სამეცნიერო შრომები (ცალკეული გამოცემები, სა-

მეცნიერო სტატიები, თეზისები და მასალები); რეცენზირებული წიგნები; რედაქტირებული წიგნები; პუბლიცისტური ნაწერები; თარგმანები; მხატვრული ნაწარმოებები (ცალკეული გამოცემები, წიგნებსა და პერიოდულ ორგანოებში გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებები); თეატრალური დადგმა; ტელეფილმის სცენარი; ლიტერატურა ალექსანდრე ლორიას შესახებ.

წიგნს დართული აქვს დამხმარე აპარატი:

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ლორია

ბიობიბლიოგრაფია

თბილისი  
2014

ძირითადი შრომების ანბანური საძიებელი; ალ. ლორიას ფსევდონიმები, სახელთა საძიებელი.

ყოველი ქვეთავის დასახელება მოცემულია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

# ერთად შეკინძული ფრაგმენტები

ახლახან მკითხველებმა მეტად საინტერესო წიგნი მიიღეს: ალექსანდრე ლორიას „წარსულის ექო“ – (მოგონებათა ფრაგმენტები), რომელიც მიმდინარე წელს დაბეჭდა საგამომცემლო სახლმა „ემ-პი-ჯიმ“ („ნიგინი+ერი“), ავტორმა თავისი დაბადების 80 წლისთავზე გამოაქვეყნა მოგონებები. როგორც ანოტაცია გვამცნობს, ამ ავტობიოგრაფიულ ნაშრომ-


მაგრამ ცდილობს მიზეზ-შედეგობრივად დაუკავშიროს ისინი ერთმანეთს; გამოთქვამს მოსაზრებებს, შეხედულებებს, გამოხატავს თავის გრძობებს; ასახავს იმ სოციალურ გარემოს, რომელშიც მოუხდა ცხოვრება და გვიჩვენებს იმ მოვლენებს, რომლის მომსწრე თავად ყოფილა.

წიგნი დაყოფილია თავებად: დროა; ლანდებად მოსაგონარი; ქარცეცხლიანი წლების გამოძახილი; სკოლა და თანაკლასელები; ჩემი ყმანვილური შემოქმედებითი მისწრაფებანი; რაც მერე იყო; მე და პოლიტიკა, მრწამსი და რწმენა; ჩემი შემოქმედება; ეპილოგი. ინერებოდა ის სხვადასხვა წლებსა და სხვადასხვა ადგილას (რეჯო-ემილია, ბათუმი, თბილისი). თვით ავტორის წინაგანზრახულობით მასალა მოვლენების თანმიმდევრული ქრონიკის მიხედვით მთლიანად წარმოდგენილი არ არის, რადგანაც ხანდაზმულობის გამო დროის ფარგლებში მოვლენების განსაზღვრა სირთულეებთანაა დაკავშირებული. სწორედ ამიტომაც მას განუსაზღვრავს ამ სახით წარმოეჩინა მასალა.

ნაწარმოებს ავტორი თავის ქალიშვილებს – ეფემიასა და ირინეს უძღვნის. ეპილოგში თითქოს საანდერძო სიტყვით მიმართავს ის მათ.

წიგნში მრავალმნიშვნელოვან ფაქტზე, პიროვნებასა და მოვლენაზეა ლაპარაკი. ნაწარმოები საინტერესოა ჩვენი არც თუ შორეული წარსულის ამსახველ სურთებისა და სოციალური გარემოს ჩვენებით; საყურადღებოა ავტორის შეხედულებები, მისი ხედვა ძველისა თუ ახლის, მისი დამოკიდებულება მრავალმნიშვნელოვან მოვლენაზე.

წიგნის რედაქტორია ეფემია ლორია. წიგნში მრავლადაა მოცემული ფოტომასალა. განკუთვნილია მკითხველთა ფართო ფენებისათვის.



ში მოცემულია ალ. ლორიას მიერ 80 წლის მანძილზე განვლილი ცხოვრების ფრაგმენტები. ავტორი ხატოვანი ენით გადმოგვცემს ძირითად ფაქტებს,

## ღაზით გიგიწიხვილი

## რევიუ

# ვერდის „ბედის ძალა“ ბავარიის ნაციონალურ ოპერაში

დასავლურ საოპერო სცენებზე, როგორც ვერდის მოყვარული, მისი ოპერების სპექტაკლებს უფრო უნდა ვენაფებოდე, ვიდრე სხვას. მაგრამ ოქროს ხანის (მე-XX საუკუნის დასაწყისიდან 70-ან წლებამდე) შემდეგ ვერდის ხმების „განლევამ“ ჩემი ინტერესიც შეანელა ცოცხალი შესრულებების მიმართ. ამიტომაც ბაროკო, მოცარტის ან როსინის მუსიკის ნიმუშების თეატრალური წარმოდგენები უფრო მეტად ინვევდა ჩემს ინტერესს.

შარმან, ბავარიის ნაციონალურ ოპერაში ვერდის „ბედის ძალა“ „La Forza del Destino“ დაიდგა, სადაც ალვაროს პარტია იონას კაუფმანმა (ყონას აუფმან) იმღერა. სპექტაკლი ტელევიზიით ტრანსლირდებოდა. ჩანაწერმა იმდენად დამაინტერესა, რომ გადავწყვიტე, ცოცხლად მომესმინა ეს სპექტაკლი, რომელთანაც

დაკავებული იყო საოპერო სცენის ამომავალი ვარსკვლავი იონას კაუფმანი. 2014 წლის მიუნხენის ზაფხულის საოპერო ფესტივალში ამ სპექტაკლის ჩართვამ ხელი შეუწყო ჩემს სურვილს. დროულად მიღებული აკრედიტაციის შემდეგ ფესტივალის სამ სპექტაკლზე მოვიპოვე ბილეთი, მათ შორის „ბედის ძალაზეც“. მოულოდნელობას ადგილი არ ჰქონია და ბრწყინვალე შემადგენლობა, რომელთაც ჩანაწერში მოვუსმინე, 25 ივლისს უცვლელად წარსდგა მსმენელის წინაშე. ლეონორას პარტიას ასრულებდა ანია ჰარტეროსი (ნჯა არტეროს), დონ ალვაროს – უკვე ხსენებული ი.კაუფმანი, დონ კარლოსის პარტიას – ლუდოვიკ ტეზიე (უდოვიც თეზიერ) და მამა გუარდიანოს – ვიტალი კოვალისი.

ბავარიის ნაციონალურ თეატრში ყველაზე






ტრადიციული პუბლიკა დადის. სმოკინგისა და სალ-  
ამოებისათვის განკუთვნილი სამოსის გარეშე იქ ძალ-  
ზედ უხერხულია გამოჩენა. ეს სნობისტური პუბლიკა,  
შესვენებისას თევზეულს და ხიზილალას მიირთმევს  
შამპანიურთან ერთად თეატრის კიბეებზე ჩამომ-  
ჯდარი, სადაც ზაფხულის ნიაგი აგრილებს მსმენელ-  
ებს და მზე ნელ-ნელა მაღავს თავის სხივებს მიუნხ-  
ენის ძველთაძველ ნაგებობებში.

სპექტაკლის სიუჟეტი აღებულია ანხელ დე საავე-  
დრას დრამიდან „დონ ალვარო“. ლიბრეტო ეკუთვნის  
ფრანჩესკო მარია პიავეს, გადაკეთდა ანტონიო გის-

მომღერლებმა თავიდანვე აჩვენეს მაღალი კლასი,  
არც ერთი ჩავარდნა, ზერეულე ან ნახევარი ძალით ნამ-  
ღერი ნოტი. პირველმა აქტმა იმდენად გამიტაცა, რომ  
ყურადღება არ მიმიქცევია თანამედროვე დიზაინისა  
და ინსცენირებისთვის. ეს იყო ალვაროს არაბუნე-  
ბრივად გრძელი თმები მოღური ვარცხნილობით,  
ტყავის ქურთუკებიანი მსახიობები და ფართე კოსტი-  
უმებში გამოწყობილი დაქირავებული მცველები რე-  
ვოლვერებით ხელში. გამოგიტყდებით, ვერდის „ბედის  
ძალა“ ჩემი საყვარელი ოპერაა, საკმარისი რაოდენო-  
ბით მაქვს მოსმენილი და ნანახი ჩანაწერებში (ხმოვანი



ლანცონის მიერ 1869 წელს და სწორედ ეს ვერსია შეს-  
რულდა ამ საღამოს. არ იქნება გადაჭარბებული, თუ  
ვიტყვით, რომ ამ ოპერაში ვერდი დიდ ადგილს უთმობს  
რელიგიურ თემას. ამ სევედიან დრამაში ნაჩვენებია  
ლეონორაში შეყვარებულ ალვაროს ბედუკუღმართო-  
ბა, ალვაროსი, რომელსაც ბედი შემთხვევით აქცევს  
ლეონორას მამის მკვლელად და ამის შემდეგ, ომში  
გადახვეწილს ახვედრებს ლეონორას ძმას – დონ კარ-  
ლოსს, რომელსაც დაუძმობილდება კიდეც, თუმცა  
მისი საიდუმლოს გამხელისას დუელი გარდაუვალი  
ხდება და ამჯერად დონ კარლოსი სულს დაღვეს  
მის ხელებში, რითაც საბოლოოდ იკარგება ლეონო-  
რასთან ურთიერთობის აღდგენის იმედი. გმირების  
ესოდენ დიდ განსაცდელს და ტვირთს მხოლოდ ეკლე-  
სია თანაუგრძნობს და ინანილებს. სამწუხაროდ, უკვე  
დაგვიანებით.

ორკესტრს აშერ ფიში (სჰერ ისცჰ) ედგა სათავე-  
ში და რაოდენ განცვიფრებული დავრჩი, როდესაც  
ოპერის უვერტიურა, რომელიც დამოუკიდებლად  
მუსიკალურ შედეგს წარმოადგენს, მან უკიდურესი  
სიზუსტითა და დიდი მანერის ნაცადი ხელით შეა-  
სრულა. მისმა მანერამ ჯუზეპე სინოპოლის შეს-  
რულება მომაგონა. დასაწყისი დამაინტრიგებელი და  
გამოაგნებელიც კი აღმოჩნდა წინა საღამოს ფიასკოს  
შემდეგ. ამ ჯერზე ორკესტრი ისე უბადლო პროფე-  
სიონალიზმით ასრულებდა ვერდის, რომ გვეგონებო-  
დათ მხოლოდ ვერდის მუსიკისთვის იყო შექმნილი და  
ანყოფილი ორკესტრი.

უვერტიურის შემდეგ იწყება ლეონორას სცენა და  
რომანსი (ე პელლეგრინა ედ ორფანა), რაც გრძელდე-  
ბა ულამაზესი ლირიული დუეტით ალვაროსთან (ჰ პერ  
სემპრე, ო მით ბელლ ანგიოლ) და მთავრდება ლეონო-  
რას მამის, მარკიზ ედ კალატრავას დაღუპვის სცენით.

და ვიდუო), ასევე სცენაზე - ვენის სახელმწიფო საოპე-  
რო თეატრში. ამჟამინდელმა სპექტაკლმა მოლოდინს  
გადააჭარბა – ყველანაირი „გახურებისა“ და შეჩვევის  
გარეშე მომღერლები ასრულებდნენ მთელი ხმითა და  
უდიდესი ექსპრესიით. ჰარტეროსის დიდი ხმა, შეი-  
ძლება ითქვას, არა მხოლოდ ავსებდა ბავარიის ოპერის  
უზარმაზარ დარბაზს, არამედ დრო და დრო იგი „ზან-  
ზარებდა“ ხმის სიძლიერით. კაუფმანი კი ამ ფონზეც  
ეფექტურად გამოჩნდა – მისი დრამატული, ჰეროიკუ-  
ლი (ოდნავ ბარიტონული ელფერის) ხმა იდეალურად  
მოერგო ალვაროს როლს. მსმენელ-მაყურებელთან  
ერთად სულგანაბული ვუსმენდი ნამდვილ ვერდის  
ხმებს და დრამის შემდგომი განვითარების მოლოდინ-  
ში ვიყავი – წინ ხომ ალვაროსა და დონ კარლოსის სამი  
უბრწყინვალესი და რთული დუეტი გველოდა, ვშიშობ-  
დი, შემსრულებლები ხომ არ დაიცლებოდნენ მანამდე?

მეორე აქტის სცენებში გამოჩნდება დონ კარლოს-  
იც – ლ.ტეზიე, იგი საუკეთესო ფორმაში იყო. სცენები  
პრეციოზილასთან და სხვა მცირე პერსონაჟებთან, ის-  
ევე როგორც მამა მელიტონესა და გუარდიანოსთან,  
იძლევა ბრწინვალე საშუალებას, ერთი მხრივ, დაას-  
ვენო ძირითადი პერსონაჟები, მეორე მხრივ - გაშა-  
ლო სიუჟეტური ხაზები და სხვა თემები შემოიტანო  
და მართლაც, ასეთი სიუჟეტური ხაზები ოპერაში  
უხვადაა. მაყურებლის წინაშე მანერის დიდი ტა-  
ლანტიც კარგად წარმოჩინდა არა მხოლოდ უკვდავი  
მუსიკალური ტილოს შექმნაში, არამედ დრამატურ-  
გიულად ღრმა ფილოსოფიური საკითხების დასმაში  
და დისკუსიაში. ინსცენირების ხელმძღვანელმა –  
მარტინ კუსნიმ თავისებურად გადაწყვიტა ეს ამოცა-  
ნა – თანამედროვე ეპოქაში გადაიტანა მოქმედება.  
ომის სცენებმა, რომელიც ნაჩვენები იყო დაბომბვის



შედგად სახურავმოცილო სახლში, სადაც გმირები ზემოდან ჩანან (სინამდვილეში კი უხერხულად, ჰიროზინტალურად იმყოფებოდნენ სცენის მიმართ) თავისებური, თუმცა არაშთამბეჭდავი ნალექი დატოვა. პრეციოზილას – გამომწვევ თანამედროვე თავისუფალ ქალს – ასეთ ჭრილში, დიდი ვოკალიზმი არ სჭირდებოდა, ბულგარელი ნადია კრასტევა ბუნებრივად ასახიერებდა ამ როლს. მამა მელიტონე (რენატო ჯიროლოამი) მაქსიმალურად დააპირისპირეს მასას, რითაც ხაზი გაესვა ამჟამინდელი ქრისტიანული მორალის ვაფერმკრთალებას მასებში. დიდი და ერთადერთი შესვენების შემდეგ მესამე და მეოთხე აქტები შესრულდა. არიაში (ა ვიტა ე ინფერნო) კაუფმანმა ბოლო ნოტი პიანოზე აიღო და ეფექტურად გადააბა ფორტისიმოზე. ტეზიე და კაუფმანი, ორივენი, დუეტებში დამაჯერებლები იყვნენ. დაქვევებული დონ კარლოსის არია (რნა ფატალე დელ მიო დესტინო) შთამბეჭდავი ექსპრესიით შესრულდა – ტეზიეს მალღები, იყო უბადლო და წკრიალა, რასაც აპლოდისმენტები მოჰყვა, მომღერალი დაიცალა და შემდგომი კაბალეტა (გლი ე სალვო! ოჰ გიოია) ჩავარდა, თანაც შემოკლებული ვარიანტით შესრულდა. ამ მომენტის გარდა ტეზიეს და სხვა ძირითადი პერსონაჟის მხრიდან არანაირი ხარვეზი არ შეიმჩნეოდა. აღსანიშნავია, რომ იმ საღამოს სპექტაკლი იწერებოდა რვა (მაღალი ხარისხის) კამერით – ოთხი მათგანი პირდაპირ ჩემი რიგის (მეთექვსმეტე) უკან იყო განთავსებული, ამ რიგის ზუსტად შუა ადგილი აკუსტიკურად იდეალური აღმოჩნდა (წინა საღამოს მოცარტის ოპერას აკუსტიკურად უფრო ხარვეზიან მეთოთხმეტე რიგის მარჯვენა მხრიდან ვუსმენდი). შესაძლოა მომღერლებისა და ორკესტრის ასეთი თავდადება იმიტაც აიხსნებოდა, რომ ეს კონკრეტული სპექტაკლი იწერებოდა, სავარაუდოდ

შემდგომი დედ/ბლურეი-ზე რეალიზაციის მიზნით. ძირითად სამეულს კარგად აუბეს მხარი ბანებმა – მამაო გუარდიანო და ძმა მელიტონე თავისი მყარი ხმებით კარგად ისმოდა დარბაზში. ვიტალი კოვალიოვი, ჟღერადი და ლამაზი ხმის პატრონი, რომელიც ასევე მარკიო დე კალატრავას როლს ასრულებდა – ამ პარტიაში ნამდვილად მოგეწონებოდათ. საერთოდ, ამ მომღერლის გამოსვლები არასოდეს არ იყო შეუმჩნეველი და უხასიათო. ზოგადად, მელიტონეს ინტერპრეტაცია არ მოიცავდა ტრადიციულ იუმორსა და სირბილეს – სავარაუდოდ, რეჟისორული თვალთხედვით არც ერთი პერსონაჟი არ იყო ზედმეტად მგრძნობიარე და მელანქოლური. მკვეთრი, მეტყველი სახეები და განსხვავებული ხასიათებისა და ბედისწერის შეჯახება – ეს მკაფიოდ და პირდაპირ ჩანდა, თუნდაც ხმების გარკვეული სიხისტისა და სიმძლავრის მეშვეობით. სცენებში, რომლებიც ეკლესიაში ვითარდება, ვერდიმ გამოიყენა ორლანი და მუსიკას მესის ელფერი მისცა. ბავარიის ოპერის ორკესტრი და გუნდი შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ესეც საერთო რეჟისორულ ჭრილში, რასაც მგრძნობიარე, სუფთა და ზანზარა ჰარტეროსის ხმა ემატებოდა (აღრე პიეტოსა ვერგინე... ლ სანტო ნომე დი იო / ფინალური აცე, პაცე მიო იო).

შესრულება ძალიან მომწონა – მეტიც, ჩემი შეფასებით ვიტყვოდი, რომ აი, როგორ უნდა იმღერო ვერდი! მიმაჩნია, რომ ვერდის მოყვარულთათვის ეს აუცილებლად სანახავი „მუსტ“ სპექტაკლია და ვფიქრობ, ეს სპექტაკლი, 2013–2014 წლის სეზონის ევროპის საოპერო სცენებზე ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლია. შესაბამისად ეგზალტირებული მაყურებელი მადლიერი იყო მომღერლებისა და დირიჟორისადმი, რომელთაც ოცი წუთის მანძილზე მხურვალე ოვაციებით არ უშვებდა სცენიდან.

### ნ ა ქ რ ო ლ ო ბ ი

## ს ი ყ ვ ა რ უ ლ შ ი დ ა ხ ა რ ჯ უ ლ ი

ნამდვილად სიყვარულით განვლო თავისი ცხოვრების შინაარსიანი გზა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა ლიანა ქუთათელაძემ. იგი წავიდა უხმოდ, მოულოდნელად, ისე, რომ ახლობლებმა და თანამშრომლებმა გამომშვიდობება ვერ მოასწრეს. ასეთი იყო იგი ცხოვრებაში, სამსახურში, ადამიანებთან ურთიერთობაში – თავმდაბალი, ხალისიანი, მომღიმარი, ყურადღებიანი, სათნო და სამართლიანი. ცხოვრობდა და იღვნოდა ქრისტიანულ ცხოვრების წესით, – მიმტვევებელი, მდაბალთა მოსარჩლე და ადამიანთა მოსიყვარულე. ბიბლიოთეკის თანამშრომლებს კარგად ახსოვთ მასთან ერთად გატარებული დღეები – საქმიანი მშვიდი, გულითადი ღიმილითა და სასიყვარულო სიტყვებით აღვსილი. შესაშური



იყო მისი ენერჯია; იგი მუდამ მოძრავი, საქმიანი და აზრიანი მოსაუბრე გახლდათ.

ბიბლიოთეკაში მისთვის უზენაესი იყო ადამიანი, თანამშრომელთა ხალისიანი განწყობილება, აფასებდა პროფესიონალს და დღენიადაგ ზრუნავდა პიროვნების კეთილდღეობისთვის. მან დროულად და გონივრულად განსაზღვრა ბიბლიოთეკის მისია და მიმართულებები ახალი ტექნოლოგიების პირობებში. ქალბატონ ლიას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს წამყვან საბიბლიოთეკო დაწესებულებთან, პროფესიონალებთან, ყურად იღებდა მათ რჩევებს და დროულად შეჰქონდა ყოველგვარი სიახლე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის პრაქტიკულ საქმიანობაში.

იგი ვალმოხდილი და პირნათელი გადავიდა ზესთასოფელში. ოჯახს, მეგობრებსა და თანამშრომლებს დაუტოვა მარად მომღიმარი და სხივნათელი სახე.



ლ. ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა — „აურზაური ანბანეთში“



გოდერძი ჩოხელი — 60

თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკის თანამშრომლები სტუმრად  
გოდერძი ჩოხელთან 2004 წ.

თ 219/60



წამოდექით, ემაწვილებო,  
თქვენც ახსენეთ ღვთის სახელი, —  
ზარმაცები ღმერთს არ უყვარს, —  
წიგნს მოჭკიდეთ აბა, ხელი!..

